ქრისტიანის თვალით დანახული ისლამი

ქრისტიანის თვალით დანახული ისლამი

შაუკათ მაკარი

წიგნი იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ინიციატივით

ავტორი: შაუკათ მაკარი

© 2008 წლის დოკუმენტზე საავტორო უფლება ეკუთვნის Christ on Campus Initiative-ს (CCI), არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას კარლ ფ. ჰ. ჰენრის თეოლოგიური შემეცნების ცენტრისა (Carl F.H.Henry Center for Theological Understanding; ტრინიტარული მისიონერული ღვთისმსახურების სკოლა) და MAC ფონდის (MAC Foundation) აქტიური მხარდაჭერით. CCI-ს ამოცანაა კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მთელ რიგ ფუნდამენტურ საკითხებზე ქრისტიანულ შეხედულებათა შესახებ მასალის მომზადება და გავრცელება. CCI-თან დასაკავშირებლად, გთხოვთ, მიმართოთ ორგანიზაციის მდივანს, დოქტორ სკოტ მანეტჩს, ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: smanetsc@tiu.edu.

CCI-მ დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა ციფრულ ფორმატში და იგი ხელმისაწვდომია ონლაინ შემდეგ მისამართებზე:
http://www.thegospelcoalition.org/publications/cci
http://christoncampusinitiative.org/
გამოყენებულია CCI-ის ნებართვის საფუძველზე.

ინგლისური ვერსიის რედაქტორი: კატი კლოპმანი, ანა აბრაჰამი;
ტექსტის კორექტირება: ჯო მარი დული;
დიზაინი: ელის კონტრერასი;
გვერდების დაკაბადონება: ნატა ნოზაძე.

ინგლისურიდან ქართულ ენაზე გამოცემა ითარგმნა World Vision საქართველოს მხარდაჭერით. CCI არ არის პასუხისმგებელი თარგმანის სიზუსტესა და სისრულეზე.

ქართული ვერსიის გამოცემა: World Vision საქართველო

ISBN 978-9941-0-8904-6

წინასიტყვაობა

იმ ქვეყნებს შორის, სადაც World Vision-ი ახორციელებს თავის საქმიანობას, ოცდათოთხმეტ ქვეყანაში ქრისტიანობა უმცირესობის რელიგიაა და იქ ადამიანთა უმრავლესობა ერთი (ან მეტი) სხვა მსოფლიო რელიგიის მიმდევარია. ამგვარად, მეტ წილ ქვეყნებში, იმ ადამიანთა უმეტესობა, ვისაც World Vision-ი ემსახურება, შეიძლება განსხვავებული რელიგიის მიმდევარი იყოს. World Vision-ი აგრეთვე ემსახურება განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე თემებს იმ ქვეყნებშიც, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება დომინირებს (მაგ.: აფრიკის მთელ ტერიტორიაზე, ფილიპინებსა და რუსეთის ფედერაციაში).

ეს, გარკვეულწილად, აკისრებს World Vision-ს პასუხისმგებლობას, სერიოზულად მოეკიდოს და გაითვალისწინოს რელიგიური ტრადიციები მოცემულ გარემოში, თუნდაც იმიტომ, რომ სარწმუნოება აზიისა და აფრიკის ხალხთა ცხოვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც თუ ისე ბევრ ქრისტიანს აქვს ადეკვატური წარმოდგენა საკუთარ ქვეყანაში არსებულ სხვა რელიგიურ ტრადიციებზე. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იზოლირებული ქრისტიანული გარემო იყოს, სადაც ისინი იზრდებოდნენ. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივ თუ უცხოელ პერსონალს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მრავალფეროვან ტრადიციებზე. ეს წიგნი არის ნაწილი იმ გამოცემებისა, ვიდეო თუ PowerPoint-მასალისა, რომელიც ქვეყნდება და ვრცელდება იმისათვის, რომ World Vision-მა დააკმაყოფილოს ისლამის შესახებ ცოდნის მიღებისა და მისი გაგების მოთხოვნილება, რათა უკეთ ემსახუროს მუსულმანურ საზოგადოებას.

ანალოგიურად, World Vision-ის განსახვავებული სარწმუნოებრივი ტრადიციების მქონე პერსონალმა იცის, რომ ეს ორგანიზაცია არის ქრისტიანული, თუმცა შეიძლება არ ესმოდეს, თუ რას ნიშნავს ქრისტიანული სარწმუნოება; ამგვარად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ორგანიზაციის არსი და იდეა, აგრეთვე მისი საქმიანობის პრინციპები, არასწორად იქნეს გაგებული. ეს წიგნი უმთავრესად გათვლილია ქრისტიანებისათვის, თუმცა მისი დანიშნულებაა, დაეხმაროს World Vision-ის თანამშრომლებს, დაამყარონ კონტაქტი და საერთო ენა იპოვონ სხვადასხვა რელიგიურ თემთან, რომელთაც ისინი ემსახურებიან.

World Vision-ი არ ცდილობს ადამიანთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადაყვანას და არც ქრისტიანთა ეკლესიური კუთვნილების შეცვლას. ღმერთის რწმენის ნიშნად, „გიყვარდეს მოყვასი შენი“ მცნებისა და წითელი ჯვრის ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, World Vision-ი არ იყენებს ადამიანთა საჭიროებებს (გაჭირვებას) ქრისტიანობის ან რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიისა თუ კულტურის ხელშეწყობისთვის.

ეს წიგნი არის ნაწილი მასალათა კრებულისა, სახელწოდებით ნარკვევები ისლამზე: *კონფესიათაშორისი ურთიერთობების მეგზური ისლამურ კონტექსტში.* აღნიშნული მასალა შეადგინეს იმ კომპეტენტურმა პირებმა, რომელთა ხანგრძლივი გამოცდილება და აკადემიური ცოდნა ეხმარება World Vision-ს უკეთ გაიგოს ისლამი და კავშირი დაამყაროს მუსლიმ ხალხთან მთელ მსოფლიოში. შაუკათ მაკარი, ავტორი ორი წიგნისა, რომელიც შესულია ამ კრებულში, არის არაბი ქრისტიანი სირიიდან და იგი მუშაობს World Vision International-ში კონფესიათაშორისი ურთიერთობების დირექტორად. კოლინ ჩეპმანს, ავტორს წიგნისა სახელწოდებით *„საერთო ღირებულებების აღმოჩენა. ქრისტიანობისა და ისლამის სასწავლო მეგზური“*, ისლამის თემაზე რამდენიმე წიგნი აქვს დაწერილი და წლების განმავლობაში ცხოვრობდა ახლო აღმოსავლეთში. ორივე ავტორის ქრისტიანულ ხედვაში ასახულია ისლამის მიმართ უდიდესი პატივისცემა, მიუხედავად ამ მსოფლიო რელიგიის კრიტიკული შეფასებისა. აღნიშნული მასალის გამოქვეყნებით World Vision-ი მიზნად ისახავს სხვადასხვა სარწმუნოებრივი ტრადიციის მქონე ადამიანთა შორის დადებითი ურთიერთობის ხელშეწყობას. World Vision-ის თანამშრომლები, რომელთაც განსხვავებული რელიგიური წარმომავლობა აქვთ, მუშაობენ იმ საზოგადოების თითოეული წევრის საერთო სიკეთისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს მასალა ხელს შეუწყობს მათ მუშაობას, გაამდიდრებს მათ ურთიერთობებსა და სულიერ ცხოვრებას.

დასასრულ, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ Christ on Campus Initiative-ს, რომლის თავაზიანი და დიდსულოვანი ნებართვით შესაძლებელი გახდა აღნიშნული მასალის გავრცელება ისლამის ნარკვევების მასალათა კრებულის ფარგლებში.

ტიმ დირბორნი
პარტნიორობის ხელმძღვანელი ქრისტიანული ურთიერთობების საკითხებში

სარჩევი

წინასიტყვაობა (შემოკლებით) i

1. ბიბლია: ქრისტიანული წმინდა წერილი 4
გაყალბების თეორია 4
ზეშთაგონება თუ კარნახი 7
თავად ღმერთი თუ ღვთის ნება. 9
წმინდა წერილის განმარტება. 9
ბიბლიის სანდოობის დამადასტურებელი მტკიცებულება. 10
იესო ქრისტეს შეხედულება წმინდა წერილზე. 12

2. ღმერთი. 14
ღმერთი ისლამში 14
ღმერთი ქრისტიანობაში 16
ღმერთის მამობა ქრისტიანობაში 19
რას არ გულისხმობს ღმერთის მამობა 22

3. იესო ქრისტე. 26
რით არის ქრისტე გამორჩეული?. 27
ქრისტიანული პასუხი ისლამურ კონტრარგუმენტებზე
ქრისტესთან დაკავშირებით. 34

4. ცოდვა და მიტევება. 39
ცოდვა ქრისტიანობასა და ისლამში. 39
ცოდვების მიტევება ისლამში. 42
ცოდვების მიტევება ქრისტიანობაში. 46

5. მუჰამედი. 51
მტკიცებულება 1: ბიბლიური წინასწარმეტყველებანი. 52
მტკიცებულება 2: სასწაულები. 54
მტკიცებულება 3: ისლამური კანონი 55
მტკიცებულება 4: სამხედრო და პოლიტიკური წარმატება. 57

6. ღვთის სასუფეველი. 59
ორი საპირისპირო მიმართულების მოძრაობა 59
საღვთო ომი და სახარება. 65

7. დასკვნითი მოსაზრებები. 70

ანოტირებული ბიბლიოგარფია. 72

ქრისტიანის თვალით დანახული ისლამი

ისლამი აცხადებს, რომ იუდაიზმი, ქრისტიანობა და თავად ისლამი ღმრთის მიერ ბოძებული რელიგიებია. ყველა წინასწარმეტყველი (მათ შორის: მოსე, იესო და მუჰამედი) არსებითად ერთი და იმავე გზავნილს ქადაგებდა: ღმერთი ერთია და ყველა უნდა დაემორჩილოს და ეთაყვანოს მას, ვინაიდან განკითხვის დღეს ადამიანები სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მოხვდებიან იმისდა მიხედვით, სწამდათ თუ არა მათ შემოქმედის და რამდენად ემორჩილებოდნენ მის რჯულს. ეს თეოლოგიური ინკლუზიურობა არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან ისლამი ერთადერთ მხსნელ რელიგიად არის მიჩნეული (3:19,85).[1] ეს საკმაოდ უარყოფითად აისახება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. მართლაც, ისლამი უარყოფს ქრისტიანული წმინდა წერილის სანდოობას, რომელიც, სულ მცირე, სამ საკვანძო საკითხში ეწინააღმდეგება ყურანს: ღმერთის სამპიროვნება (წმინდა სამება), იესო ქრისტეს განსაკუთრებულობა, ღვთის მხსნელი მადლი, რომელიც ყველაზე ნათლად გამოვლინდა ქრისტეს სიკვდილსა და მის მკვდრეთით აღდგომაში. აღნიშნული ნაშრომის პირველი ოთხი ნაწილი იკვლევს და პასუხობს ისლამურ კრიტიკას ქრისტიანული რწმენის მიმართ.

თავის მხრივ, არანაკლებ ექსკლუზიურია ქრისტიანობა. ეკჰარდ შნაბელის თქმით, ადრეული ქრისტიანული მისიის გზავნილი „ექსკლუზიურია“ იმ გაგებით, რომ იგი სთავაზობს ცოდვათა მიტევებას, ხსნასა და გამართლებას განკითხვის დღეს მათ, ვინც იწამა ქრისტე, ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი მესია; იგი „ინკლუზიურია“ იმ თვალსაზრისით, რომ მოუწოდებს სხვადასხვა ერისა თუ ტომის წარმომადგენელს, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხს, ირწმუნონ იესო ქრისტე.[2]

---

1 თუ სხვა რამ არ არის მითითებული, აღნიშნული ციფრები, რომელიც ისლამის ავტორიტეტს იმოწმებს, აღნიშნავს ყურანის თავსა და მუხლს (სურას და აიას). ციტატები ყურანიდან მოყვანილია გიორგი ლობჟანიძის თარგმანიდან, თბ., 2006. ციტატები ბიბლიიდან მოყვნილია ბიბლიის საპატრიარქოს გამოცემიდან, თბ., 1998, იხ.: http://www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm

2 ეკჰარდ შნაბელი, ადრეული ქრისტიანული მისია, დაუნერს გრუვი IVP, 2004, 2:1585–86. (Eckhard Schnabel, *Early Christian Mission;* Downers Grove: IVP, 2004, 2:1585–86).

ახალ აღთქმაში იესო ქრისტე წარმოდგენილია, როგორც ღმერთის სრულყოფილი და საბოლოო გამოცხადება ყველა ერისათვის, რაც გამორიცხავს შემდგომში რაიმე სხვა საღვთო გამოცხადებას, მათ შორის ისლამს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ისლამის, როგორც მსოფლიო რელიგიის, უბრალოდ უგულვებელყოფა გააზრებული და თავაზიანი მიდგომის გარეშე. მაგალითად, უნდა ავხსნათ, რატომ მიგვაჩნია არა-დამაჯერებლად (მე-5 თავში) ისლამური მტკიცებულება მუჰამედის წინასწარმეტყველური მისიის შესახებ და რატომ არის ასეთი განსხვავება ისლამურ იურისპრუდენციასა და სახარებას შორის (მე-6 თავში).

ამასთანავე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად თეოლოგიური წინააღმდეგობისა, ქრისტიანობას და ისლამს, როგორც მონოთეისტურ რელიგიებს, მნიშვნელოვანი საერთო საფუძველი აქვთ. ეს საერთო საფუძველი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება ისლამთან შინაარსიანი და სამართლიანი გავხადოთ. წინამდებარე ნაშრომში განმარტებულია, რატომ არის სახარება, ყურანისგან განსხვავებით, მართლაც სასიხარულო უწყება მათთვის, ვინც მას ყურს დაუგდებს, მათ შორის, მუსლიმებისთვის. ეს სასიხარულო უწყებაა, რადგან ის ღმერთის საყოველთაო და უპირობო სიყვარულის შესახებ იუწყება სხვადასხვა ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობისა თუ ენის მქონე ადამიანთა მიმართ.

1. ბიბლია: ქრისტიანული წმინდა წერილი

გაყალბების თეორია

იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი მონოთეისტური რელიგიებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ებრაელები, ქრისტიანები და მუსლიმები აღიარებენ ერთ ღმერთს, შემოქმედს. მათ სწამთ, რომ ღმერთმა თავისი სიტყვა მოავლინა წიგნების სახით, რომელიც წმინდა წერილის – ბიბლიისა და ყურანის სახელით არის ცნობილი.

ქრისტიანებისთვის ბიბლია ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ძველი აღთქმა (რომელიც დაწერილია იესო ქრისტემდე) და ახალი აღთქმა (რომელიც დაწერილია პირველ საუკუნეში იესო ქრისტეს შემდეგ).[3] ყურანის მიხედვით, სანამ ღმერთი ყურანს მთავარანგელოზ გაბრიელის მეშვეობით მუჰამედს გადმოუვლენდა, მან მოუვლინა თორა მოსეს, ზაბური (ანუ, ფსალმუნები) – დავითს, ხოლო ინჯილი (ანუ, სახარება) – იესოს. სწორედ ამიტომ ებრაელები და ქრისტიანები ყურანში „წიგნის ხალხად“ არიან მოხსენიებულნი.[4]

მუსლიმებს სჯერათ, რომ ბიბლიამ ცვლილება განიცადა. სწორედ ასე ხსნიან ისინი ყურანსა და ბიბლიას შორის არსებულ შეუსაბამობებს. ეს შეუსაბამობები არ წარმოადგენს პრობლემას ქრისტიანებისთვის, ვინაიდან ისინი არ ცნობენ ყურანს, როგორც ღმრთის მიერ ბოძებულ სიტყვას.

---

3 სიტყვა „აღთქმას“ ებრაულსა და ბერძნულში შეიძლება „შეთანხმების“ მნიშვნელობაც ჰქონდეს. ძველი აღთქმა მიუთითებს შეთანხმებაზე, რომელიც ღმერთმა მოსეს მეშვეობით ისრაელის ხალხთან დადო, ხოლო ახალი აღთქმა - შეთანხმებას, რომელიც ღმერთმა იესო ქრისტეს მეშვეობით კაცობრიობასთან დადო. ბიბლიის ორი ნაწილის აღსანიშნავად ყურანში გამოყენებულია სიტყვა „თაურათ“(თორა) და „ინჯილ“. ეს ნაშრომი ზოგჯერ ყურანში გამოყენებულ ტერმინებს იყენებს. სიტყვა „სასიხარულო უწყება/სახარება“ შეიძლება ნიშნავდეს იესო ქრისტეს გზავნილს (ინჯილ), რომელსაც ოთხივე სახარებაში და ახალი აღთქმის ნაწერებში ვნახულობთ. რიგ შემთხვევაში კი ამ ნაშრომში გამოყენებულია ტრადიციული ქრისტიანული ტერმინები „ძველი აღთქმა“ და „ახალი აღთქმა“.

4 „წიგნის ხალხი“ განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს ისლამში. პოლითეისტი ხალხისგან განსხვავებით, მათ მუსლიმურ თემთან გვერდიგვერდ თანაცხოვრების უფლება აქვთ, როგორც „დაცულ უმცირესობებს (დჰიმი/*dhimmis*). მათ არ ევალებათ ისლამის მიღება, თუმცა უნდა დაემორჩილონ ისლამის კანონს (9:29).

თაჰრიფი *(Taẖrif)* არაბულად ფაქტების დამახინჯებას (გაყალბებას) ნიშნავს. ზმნა ჰარრაფა *(ẖarrafa)* („გაყალბება") ყურანში ოთხჯერ გვხვდება (2:75; 4:46; 5:13,41). ამ ტექსტების მნიშვნელობა გაუგებარია. გაურკვეველია, როდის მოხდა აღნიშნული ფაქტების დამახინჯება (მოსეს, იესოს თუ მუჰამედის დროს)? კონკრეტულად რომელი „სიტყვა" იქნა დამახინჯებული (თორა, სახარება თუ თავად ყურანი?)? ვინ დაამახინჯა ეს ფაქტები (ებრაელებმა და ქრისტიანებმა, მხოლოდ ებრაელებმა თუ კონკრეტულად რომელიმე მათგანმა)? სად მოხდა ეს (ისრაელში, არაბეთში თუ სხვაგან) და რა ფორმით მოხდა (ტექსტობრივად თუ ზეპირად)? მუსლიმი მეცნიერები, რომლებიც ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში უაღრესად პატივცემული და ავტორიტეტული თეოლოგებია გაერთიანებული.

პირველი ჯგუფის მტკიცებით, ბიბლიის ტექსტი დამახინჯებულია (თაჰრიფ ლაფზი *(taẖrif lafzi)*). ამ მოსაზრებას იზიარებენ იბნ ჰაზმი (Ibn Ḫazm; 456/1064), ჯუვეინი (Juwayni; 478/1085) და იბნ თაიმია (Ibn Taymiyya; 728/1328)[5]. ისინი აცხადებენ, რომ ებრაული წმინდა წერილი განადგურდა იმ პერიოდში, როდესაც ნაბუქოდონოსორმა გაანადგურა იერუსალიმი და მისი ტაძარი (ძვ.წ.აღ.-ით VI საუკუნე). მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ებრაელი ბაბილონში განდევნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა, ებრაელთა ერთ-ერთმა მეთაურმა, ეზრამ, თორა დაწერა. ვინაიდან ეზრა წინასწარმეტყველი არ იყო, მისი ნაწერიც არასრულფასოვანი იყო. რაც შეეხება ახალ აღთქმას, სახარებაში იესოს სწავლების „დამახინჯებას" მიაწერენ არსებულ ენობრივ და დროის ბარიერს (მაგალითად, სახარება დაწერილია ბერძნულ ენაზე, ქრისტე კი საუბრობდა არამეულად; სახარება დაიწერა აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ). ისინი, ვისაც სჯერა სავარაუდო ტექსტობრივი სიყალბის, ამტკიცებენ, რომ ღმერთმა ქრისტეს მოუვლინა ერთი სახარება (ყურანის მიხედვით), მაშინ, როდესაც ქრისტიანებს ოთხი სახარება აქვთ. არც ერთ სახარებას არ მიაწერენ ქრისტეს და ამტკიცებენ, რომ ეს სახარებები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. რაც შეეხება ახალი აღთქმის სხვა ნაწერებს, მუსლიმებს უჭირთ რაიმე დასკვნის გაკეთება მათთან დაკავშირებით, ვინაიდან ისინი დაწერილია ქრისტეს მიმდევრების მიერ,

5 ფრჩხილებში მოყვანილი ორი ციფრი მიუთითებს აღნიშნული მეცნიერის გარდაცვალების წელს: პირველი – ისლამური, ხოლო მეორე – ქრისტიანული კალენდრის მიხედვით.

რომლებიც თავად წინასწარმეტყველები არ იყვნენ.[6] დღეს მუსლიმთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბიბლია გაყალბებულია. მათ არც იციან ალტერნატიული ხედვის არსებობის შესახებ. მეორე ჯგუფის მტკიცებით, შეიცვალა არა ბიბლიის ტექსტი, არამედ მისი მნიშვნელობა (თაჰრიფ მანავი *(taḫrif ma`nawi))*. ამ მოსაზრებას იზიარებენ ავტორიტეტული მუსლიმი მეცნიერები, როგორიცაა: ბაქილანი (Baqillani (403/1013)), ღაზალი (Ghazali (505/1111)), რაზი (Razi (606/1209)), და აბდუჰი (`Abduh (1323/1905)). რაზი თავის (*ყურანის*) დიდ კომენტარში *(Great Commentary)* აცხადებს, რომ ღვთის სიტყვაში ასახულია ღმერთის ნიშნები. ამგვარად, იმის თქმა, რომ ღმერთმა დაუშვა თავისი სიტყვის (ანუ, თორას და სახარების) სიყალბე, ძირს უთხრის ღმერთის სიმართლესა და უტყუარობას. საკმაოდ გონივრული არგუმენტი აქვს მუჰამად აბდუჰს ყურანის თავის ცნობილ კომენტარში *Tafsir al-Manar.* წმინდა წერილის ფართოდ გავრცელების გამო ებრაელები და ქრისტიანები, მათი დიდი სურვილისდა მიუხედავად, ვერ შეძლებდნენ მის შეცვლას. აღნიშნული ჯგუფის მეცნიერებს გაყალბება აღქმული აქვთ, როგორც მუჰამედის, ღმერთისა და იესო ქრისტეს შესახებ ბიბლიის ტექსტში არსებული ცნობების არასწორი ინტერპრეტაცია. თორასა და სახარების მცდარი განმარტება ახლა შეიძლება გაქარწყლდეს, – აღნიშნავს რაზი, ვინაიდან ჩვენ ყურანში ვპოულობთ ბიბლიის მარტივ და გასაგებ მნიშვნელობას.

---

6 დღეს ზოგიერთი მუსლიმი ამტკიცებს, რომ ბიბლია, ყურანისგან განსხვავებით, ეწინააღმდეგება მეცნიერებას, რაც მის სიყალბეზე მეტყველებს. ეს შეხედულება მოცემულია მ. ბიუკაილის (M. Bucaille) წიგნში „ბიბლია, ყურანი და მეცნიერება: წმინდა წერილის შესწავლა თანამედროვე ცოდნის ჭრილში“ *(The Bible, the Qur'an and Science: The Holy Scriptures Examined in the Light of Modern Knowledge* (Indianapolis: American Trust Publications, 1979). ქრისტიანული პასუხი ამ წიგნზე მოცემულია უ. კემბელის წიგნში „ყურანი და ბიბლია ისტორიისა და მეცნიერების ჭრილში" (W. Campbell, *The Qur'an and the Bible in the Light of History and Science* (Marseilles: Middle-East Resources, n.d.). კლასიკური ისლამის მომხრე თეოლოგები არასოდეს იყენებენ ამ მეცნიერებაზე დაფუძნებულ არგუმენტს. თანამედროვე ისლამის მომხრეების კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ ე. წ. ბარნაბას სახარება არის ის ჭეშმარიტი სახარება, რომელიც ღმერთმა ქრისტეს გადასცა. ეს ფსევდო-სახარება, რომელიც, სავარაუდოდ, ისლამზე მოქცეული იტალიელის მიერ არის დაწერილი, ბევრ საკითხში ეწინააღმდეგება ყურანს (მაგ.: მუჰამედია მესიად გამოცხადებული და არა იესო).

ზეშთაგონება თუ კარნახი

ისლამური არგუმენტები ბიბლიის უტყუარობასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს წარმოაჩენს. ერთ-ერთი მათგანი არის გამოცხადების განსხვავებული აღქმა ქრისტიანობისა და ისლამის მიერ.

ზეშთაგონება

ქრისტიანებს სწამთ, რომ ღვთის სიტყვის გამოვლენა მოხდა ზეშთაგონებით, რაც ნიშნავს, რომ ეს არ მომხდარა ბიბლიის დამწერ ადამიანთა გვერდის ავლით. პირიქით, უფალმა სულიწმინდის შთაგონებით დააწერინა მათ თავისი სიტყვა მათი პიროვნული თვისებების გამოყენებით და იმ ხალხის ისტორიული თუ კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ვისთვისაც თავდაპირველად იყო განკუთვნილი ეს ნაწერები (2 პეტრე 1:20-21).[7] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიბლიის დამწერი ადამიანები ჩართულნი იყვნენ ღვთაებრივი გამოცხადების წერილობითი ფორმით დაფიქსირებაში. მაგალითად, იესო ქრისტეს მიერ განცხადებული სასიხარულო უწყება//სახარება არის ერთი გზავნილი, თუმცა ის დაიწერა ოთხი ვერსიის სახით, კერძოდ, ოთხი სახარების სახით. ამგვარად, იესო ქრისტეს სასიხარულო უწყება შეიძლება ამოვიკითხოთ მათეს სახარებაში, ისევე, როგორც მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებში. გარდა ამისა, იესო თავის მოწაფეებს ესაუბრებოდა არამეულად, რომელიც იმ დროს პალესტინაში მცხოვრებ ებრაელთა სასაუბრო ენა იყო. თუმცა ოთხივე სახარება ბერძნულად დაიწერა, ვინაიდან განკუთვნილი იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის, ვისთვისაც ბერძნული საერთო ენა იყო.

შესაბამისად, ბიბლია არის ერთდროულად ღვთის სიტყვაც, რაც ამტკიცებს მის უტყუარობას, და კაცთა სიტყვაც, რაც ხაზს უსვამს მის ადამიანურ ბუნებას.

---

7 იხ.: კარლ ფ.ჰ. ჰენრი, „ბიბლია, შთაგონება...“, ევანგელური თეოლოგიური ლექსიკონი (გამომც. უოლტერ ა. ელველი; II გამოც.; გრანდ რაპიდსი, ბეიკერი, 2001)(Carl F. H. Henry, *Bible, Inspiration of*, *Evangelical Dictionary of Theology* (ed. Walter A.Elwell; 2d ed.; Grand Rapids: Baker, 2001), გვ.159–63. Cf. , აგრეთვე ორტომეული დ.ა. კარსონისა და ჯონ დ. ვუდბრიჯის რედაქციით (D. A. Carson and John D. Woodbridge): „წმინდა წერილი და ჭეშმარიტება“ *(Scripture and Truth)* (გრანდ რაპიდსი, ზონდერვანი (Grand Rapids: Zondervan), 1983)) და „ჰერმენეუტიკა, ავტორიტეტი და კანონი” *(Hermeneutics, Authority, and Canon)* (გრანდ რაპიდსი; ზონდერვანი, 1986 (Grand Rapids: Zondervan, 1986)).

ის, რომ წმინდა წერილის ავტორები ადამიანები იყვნენ, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია ბიბლიის შესწავლა ისევე, როგორც ვსწავლობთ სხვა წიგნებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რა სახის ტექსტთან გვაქვს საქმე (ისტორიული, პოეტური, წინასწარმეტყველური, თხრობითი, საკანონმდებლო, აპოკალიპტური, სიბრძნის, ლიტერატურა და ა.შ.) და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ, როგორი ინტერპრეტაცია მივცეთ მას. მეორე მხრივ, წმინდა წერილის ღვთაებრივი ავტორობა გულისხმობს, რომ ბიბლიას სათანადო თავმდაბლობით უნდა მივუდგეთ, რადგან ჩვენი მიზანი ღვთის სიტყვის გაგება და მისდამი მორჩილებაა.

კარნახი

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, მუჰამედ წინასწარმეტყველის ფუნქცია ყურანის ზეპირად სწავლა და მისი ქადაგება იყო თანამოქალაქეებისთვის მექასა და მედინაში. მას ტექსტი სიტყვასიტყვით გადმოეცა. მას არ შეეძლო, შეეცვალა გზავნილის ფორმულირება, არამედ ვალდებული იყო, ზუსტად გაემეორებინა ის სიტყვები, რაც ესმოდა. გაბრიელმა მუჰამედს უბრძანა „წაიკითხე“ („იყრა“ (iqra’)). ზმნა „ყარაა“ (qara’a), როგოც წესი, კითხვას ნიშნავს. თუმცა, მსგავს რელიგიურ კონტექსტში ის ღვთის სიტყვის გამოცხადებას ან ციტირებას ნიშნავს. სიტყვა ყურანიც (qur’an) იმავე ფუძიდან მოდის და, ამგვარად, საკრალური ტექსტის რიტუალურ ციტირებას ნიშნავს. ამ სიტყვამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და თავად ტექსტის აღმნიშვნელი გახდა. ის ფაქტი, რომ ყურანი ამგვარად ნაკარნახები იყო მუჰამედისთვის, ნიშნავს იმას, რომ ისლამური წმინდა წერილი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის სიტყვა. ამიტომაც არის, რომ ყურანის ტექსტი, როგორც წესი, პირველი პირის მრავლობით რიცხვშია და ეს მრავლობითი რიცხვი ღვთაებრივ უდიდებულესობას აღნიშნავს. ამგვარად, „ყირაა“ (წაკითხვა, ციტირება) მიუთითებს, თუ როგორ მიიღო და გადასცა მუჰამედმა ღვთის სიტყვა.

ვინაიდან მუჰამედი წარმოშობით არაბი იყო, ყურანი მას არაბულად მოევლინა. განსხვავება ზეშთაგონებასა და კარნახს შორის გვიჩვენებს, თუ რატომ არის ბიბლია მუსლიმებისთვის უფრო ადამიანური წიგნი, ვიდრე ღვთის სიტყვა. აგრეთვე ხსნის იმ ფაქტს, რომ სხვა ენაზე თარგმნისას ბიბლია კვლავ ღვთის სიტყვად რჩება, მაშინ, როცა ყურანი ღვთის სიტყვად ითვლება მხოლოდ არაბულ ენაზე.

თავად ღმერთი თუ ღვთის ნება

ისლამური წმინდა წერილი არ ამჟღავნებს ღმერთის ვინაობას მისი ტრანსცედენტურობის შელახვის შიშით. ყურანი გვიმხელს მხოლოდ ღვთის ნებას, რაც გამოხატულია მის რჯულში, რათა ადამიანი დაემორჩილოს შემოქმედს და თაყვანი სცეს მას. ერთ-ერთი მუსლიმი მეცნიერი აღნიშნავს: „სრული ტრანსცენდენცია და თვითგამოცხადება ერთდროულად შეუძლებელია"[8]. ეს სრულებით ეწინააღმდეგება ქრისტიანთა შეხედულებას თავიანთ წმინდა წერილზე. ბიბლიას აქვს პრეტენზია იმისა, რომ ის არის როგორც ღვთის ნების, ისე თავად ღმერთის გამოცხადება.

ქრისტიანებისთვის ღმერთის გამოცხადებამ კულმინაციას ორი ათასი წლის წინ მიაღწია: იესო ქრისტე არის ღმერთის უზენაესი გამოცხადება, ადამიანის ფორმით მოვლენილი ღვთის სიტყვა (იოანე 1:1,10,14). წმინდა წერილი მიუთითებს იესო ქრისტეზე, იესო ქრისტე კი მიუთითებს ღმერთზე (გამ. 1:1-2; 19-10). ღმერთი ერთსა და იმავე დროს ტრანსცენდენტულიცაა (მისი ქმნილებისგან რადიკალურად განსხვავებული) და იმანენტური (ის თვით გამოცხადდა ადამიანში).

წმინდა წერილის განმარტება

ბიბლია არის კრებული ოცდაათზე მეტი ავტორის მიერ შექმნილი სამოცდაექვსი წიგნისა, რომელიც დაახლოებით ცამეტი საუკუნის მანძილზე იწერებოდა. ყურანი კი, პირიქით, ერთი ადამიანისთვის ოცდასამი წლის განმავლობაში ბოძებული წიგნია. თითოეულ წმინდა წერილს თავისი განმასხვავებელი თვისებები აქვს.

ვიდრე კონკრეტული წმინდა წერილის სხვა წმინდა წერილებთან შედარებას დავიწყებდეთ, შეძლებისდაგვარად უნდა ჩავწვდეთ ამ წერილის არსს. ორივე წმინდა წერილის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ინტერპრეტაციის საყოველთაოდ მიღებული წესები (მაგ.: ისტორიული კონ-

8 ისმაილ ალ-ფარუკი, „ქრისტიანული მისია და ისლამური მოწოდება", ლესტერი, ისლამური ფონდი, 1982, გვ. 48. (I. Faruqi, *Christian Mission and Islamic Da`wah*; Leicester, Islamic Foundation, 1982.)

ტექსტის გათვალისწინება, თითოეული წმინდა წერილის ცალ-ცალკე ინ-ტერპრეტაცია, სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის გათვალისწინება).

უნდა შევეცადოთ წმინდა წერილის გაგებას ადამიანური რაციონალიზმის ნატურალისტური მიდგომის გარეშე. მიუკერძოებლად და საღი გონებით თუ მივუდგებით, შევძლებთ ბიბლიასა და ყურანს შორის არსებული წინააღმდეგობების გაქარწყლებას, თუმცა, გარკვეული წინააღმდეგობების გადაჭრა შეუძლებელია.

ბიბლიის სანდოობის დამადასტურებელი მტკიცებულება

ბრალდება, რომ თორას და სახარების ტექსტები დამახინჯებულია, საფუძველს მოკლებულია. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე არგუმენტი, რომელიც ბიბლიის უტყუარობაზე მიუთითებს.

ყურანში დაცული მტკიცებულება: ყურანი იწონებს ბიბლიას

ყურანის რამდენიმე ტექსტში ნათქვამია, რომ ყურანი ადასტურებს ადრე არსებულ წმინდა წერილებს (2:41,89,91,97,101; 3:3,81). დაადასტურებდა კი ყურანი თორასა და სახარებას, ისინი გაყალბებული რომ ყოფილიყო? თორა წარმოდგენილია, როგორც „სინათლე და კაცობრიობისთვის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი“ (6:91), აგრეთვე, მსგავსი ტერმინები გამოყენებულია სახარებასთან მიმართებითაც (5:46). ეს ქრისტიანული წმინდა წერილები ყალბი რომ ყოფილიყო, განა იქნებოდა ის აღწერილი ამგვარად?

თეოლოგიური მტკიცებულება: ღვთის სიტყვაში ასახულია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები

რაზის მტკიცებით, წმინდა წერილის ტექსტის დამახინჯება შეუსაბამოა ღმერთის ჭეშმარიტებასთან. მისი სიტყვა სანდო რომ არ ყოფილიყო, არც თავად იქნებოდა ის სანდო. ამიტომაც ყურანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ „ვერავინ შეცვლის ღვთის სიტყვებს“ (6:34;10:64; 18:27).

ორივე რელიგია მსგავსად აცხადებს საკუთარ წმინდა წერილთან დაკავშირებით. ბიბლიაში თავად ღმერთი აცხადებს, რომ დაიცავს თავის სიტყვას რაიმე სახის ცვლილებისაგან (ფსალმუნი 119:89). იესო ადასტურებს,

რომ ღვთის სიტყვა უცვლელია: „უმალ ცა და მიწა გადავლენ, ვიდრე ერთი წერტილი ამოვარდება რჯულიდან“ (ლუკა 16:17). ყურანშიც, ანალოგიურად, ღმერთი ბრძანებს: „ჩვენ გარდმოვავლინეთ ეს გზავნილი და ჩვენ თავად ვიცავთ მას” (15:9). ზემოაღნიშნულის განმარტება ორივე რელიგიაში საკმაოდ განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ თითოეულის განცხადებით როგორ იქნა დაცული გამოცხადების ორიგინალური ვარიანტი. თუმცა აქ არ არის შესაფერისი ადგილი იმისათვის, რომ ჩავეძიოთ აღნიშნულ განსხვავებებს. ამ ნაშრომის მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე.

მეცნიერული მტკიცებულება: ხელნაწერები სანდოა და წინ უსწრებს ისლამის გაჩენას

ბიბლიის თარგმანები ეფუძნება ისევ ებრაულ და ბერძნულ ხელნაწერებს. სწორედ ამ ხელნაწერებში დევს წმინდა წერილის უტყუარობისა თუ სიყალბის დამადასტურებელი არსებითი მტკიცებულებები. მათი შესწავლით დადასტურდა ბიბლიის მთლიანობა. თვით ამ ხელნაწერების არსებობამ საშუალება მისცა მეცნიერებს, დაედგინათ, რომ ბიბლიის ტექსტი საოცრად კარგად იქნა შემონახული. მათი რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, ხელნაწერთა ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ბიბლია განსაკუთრებული სიზუსტით იქნა გადმოცემული.[9]

მთლიანი ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმა) ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერი წინ უსწრებს ისლამის გაჩენას. სინაის კოდექსი (Codex Sinaiticus, რომელიც ლონდონის ბრიტანულ მუზეუმშია დაცული) და ვატიკანის კოდექსი (Codex Vaticanus, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება) IV საუკუნით თარიღდება. ალექსანდრიის კოდექსი (Codex Alexandrinus, ასევე დაცულია ბრიტანულ მუზეუმში) V საუკუნეს მიეკუთვნება. ახალი აღთქმის ზოგიერთი ხელნაწერი II საუკუნით თარიღდება, ხოლო ძველი აღთქმის ხელნაწერთა უმეტესობა ძვ.წ.აღ.-ით I-II საუკუნეებით. ადრეულ ხელნაწერებთან შედარებისას ამ ხელნაწერებში ვლინდება გადამწერის

9 იხ.: ქრეიგ ლ. ბლომბერგი, „იესო ნაზარეთელი: საიდან აქვთ ისტორიკოსებს ცნობები მის შესახებ და რატომ აქვს ამას მნიშვნელობა“ (Craig L. Blomberg, *Jesus of Nazareth: How Historians Can Know Him and Why It Matters);* Christ on Campus Initiative, 2008, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.thegospelcoalition.org/ pdf/blomberg.pdf.

მიერ დაშვებული სხვადასხვა სახის შეცდომა, თუმცა ამ შეცდომათაგან არც ერთი უარყოფით გავლენას არ ახდენს ბიბლიის რომელიმე ფუნდამენტურ მოძღვრებაზე. და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ადრეული ხელნაწერები ადასტურებს, რომ ბიბლიის ტექსტი ოდნავაც არ შეცვლილა ებრაელებისა და ქრისტიანების მიერ მუჰამედის ღვთის წინასწარმეტყველად არაღიარების გამო.

რაციონალური მტკიცებულება: გაყალბებას აზრი არა აქვს

მუჰამად აბდუჰი მიუთითებს, რომ წმინდა წერილის ფართოდ გავრცელებამ, ფაქტობრივ, შეუძლებელი გახადა მისი გაყალბება. ნებისმიერი მცდელობაც კი წარუმატებელი იქნებოდა პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე: ის აუცილებლად იქნებოდა გამოვლენილი და უარყოფილი. ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ნიშნავდა, რომ წმინდა წერილის შეცვლის მცდელობა ერთი თემის მხრიდან აუცილებლად იქნებოდა მხილებული და დაგმობილი მეორის მიერ. ქრისტიანული წმინდა წერილები არა მარტო ფართოდ იყო გავრცელებული, არამედ ნათარგმნი იყო სხვადასხვა ენაზე. ქრისტეს მოღვაწეობის პერიოდში ძველი აღთქმა ხელმისაწვდომი იყო ბერძნულ ენაზე. III საუკუნის მიწურულს ძველი აღთქმის დიდი ნაწილი ნათარგმნი იყო ლათინურ, სირიულ და კოპტურ ენებზე. ციტატები ახალი აღთქმიდან მოყვანილი იყო ჯერ კიდევ II საუკუნის ქრისტიანულ ნაწერებში.

იესო ქრისტეს შეხედულება წმინდა წერილზე

მე-2 სურას 159-ე აიას განმარტებაში აბდუჰი აცხადებს, რომ, მსგავსად იმისა, თუ როგორ შეცვალეს ებრაელებმა თორა, რათა უგულებელეყოთ ქრისტე, ისევე არასწორად განმარტეს მათ თორას ის მონაკვეთი, რომელიც მუჰამედის მოსვლას წინასწარმეტყველებდა. ქრისტემ მართლაც დაადანაშაულა ებრაელი მეთაურები თორას არასწორ ინტერპრეტაციაში და იმ ადამიანურ ტრადიციებზე მითითებით, რაც ღვთის სიტყვის გაბათილება იყო (მარკოზი 7:1-13). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მას არ გაუკრიტიკებია ისინი თანახის (Tanakh) (რასაც ქრისტიანები „ძველ აღთქმას“ უწოდებენ) ტექსტის შეცვლის გამო. პირიქით, მან მისადმი დიდი პატივისცემა გამოხატა, ამტკიცებდა რა, რომ ის მასზე მიუთითებდა: „მოსე

რომ გერწმუნათ, მეც მირწმუნებდით, რადგან მან დაწერა ჩემზე. თუ მისი დაწერილი არა გწამთ, ჩემს ნათქვამს როგორღა ირწმუნებთ?“ (იოანე 5:46-47).

ქრისტემ იცოდა, რომ როგორი მარადიულიც იყო თავად ღმერთი, ისეთივე უცვლელი იყო მისი სიტყვა. ეს მართებული იყო როგორც თორასთან, ისე სახარებასთან მიმართებით: „ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ“ (მათე 24:35). იესოს შეხედულება წმინდა წერილის უტყუარობასთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმოა. სულიწმინდის მეშვეობით, რომლის მითითებითაც გაცხადდა ღმერთის სიტყვა, ნათელი და გასაგები ხდება წმინდა წიგნის მთავარი გზავნილი. სხვაგვარად ღვთის გადაწყვეტილება ჩვენთვის მისი სიტყვის გამოცხადების შესახებ ყველანაირ აზრს დაკარგავდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბიბლიაში ყველაფერი ადვილად გასაგებია. რთული ტექსტები მოითხოვს ჩვენგან შემდგომ კვლევას, მეტ მორჩილებასა და წმინდა წერილის ღვთაებრივი ავტორისადმი მეტ ნდობას. არ უნდა დავუშვათ, რომ მათ ბუნდოვანება შეიტანონ ჩვენს ხედვაში წმინდა წერილის მთავარი გზავნილის სიცხადესთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოვჩნდებით ისეთ სიტუაციაში, სადაც ხეებს მიღმა ტყეს ვერ დავინახავთ.

2. ღმერთი

იმ პერიოდში, როდესაც წინასწარმეტყველმა ყურანის ქადაგება დაიწყო (ახ.წ.აღ.-ით 610 წ.), არაბთა უმრავლესობა პოლითეისტური რელიგიის მიმდევარი იყო. მათ სწამდათ უზენაესი ღმერთი – ალაჰი, თუმცა მასთან ერთად სხვა მრავალ ღმერთსა თუ ქალღმერთსაც აღიარებდნენ. ყურანში მათი რელიგია აღწერილია, როგორც შირქი, რაც სიტყვასიტყვით „კავშირს“ ან „პარტინორობას“ ნიშნავს. ზოგი არაბი ებრაელი ცენტრალურ არაბეთში ცხოვრობდა, განსაკუთრებით იათრიბში (Yathrib). მას შემდეგ, რაც იქ 622 წელს წინასწარმეტყველი დასახლდა, ამ ქალაქს მედინა („ქალაქი“) დაერქვა. მხოლოდ რამდენიმე ქრისტიანი ცხოვრობდა მექაში, მუჰამედის მშობლიურ ქალაქში. მაგალითად, მუჰამედის პირველი ცოლის, ხადიჯას, ბიძაშვილი – ვარაკა იბნ ნავფალი.

ღმერთი ისლამში

ალაჰი ღმერთის აღმნიშვნელი ერთადერთი არაბული სიტყვაა, რომელსაც ყველა – არაბი, ქრისტიანი თუ მუსულმანი ერთნაირად იყენებს.[10] ამგვარად, გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, ეს სიტყვა არ აღნიშნავს მხოლოდ „მუსლიმთა ღმერთს“. იგი ღმერთის მნიშვნელობით გამოიყენება როგორც ყურანში, ასევე ბიბლიის არაბულ თარგმანშიც.

ისლამურ თეოლოგიაში მოხსენიებულია 99 ღვთაებრივი სახელი (ან თვისება), რომელიც „ღმერთის უმშვენიერეს სახელებად” არის ცნობილი. თავისთავად, ამ სიტყვის საყოველთაო ხმარება არ გულისხმობს იმას, რომ ის, ვისაც ეს სიტყვა ეხება და აღნიშნავს, ერთი და იგივეა ორივე რელიგიაში ან ღმერთი ერთნაირად აღიქმება ორივე რელიგიურ ტრადიციაში: ეს საკითხი კვლავ განხილვის საგნად რჩება. მუსლიმური წინას-

10 არაბ ლინგვისტთა უმეტესობა სიტყვა „ალაჰ“-ს (Allah) განსაზღვრულ არტიკლ „ალ”(al)-ისა და ღმერთის აღმნიშვნელი არაბული სიტყვის „ილაჰ“-ის შემოკლებულ ფორმად მიიჩნევს. ამგვარად, სიტყვა „ალაჰი” სიტყვასიტყვით „ღმერთს“ ნიშნავს. სიტყვა „ილაჰ” *(ilah)* ნაწარმოებია ფუძისგან, რომელიც გაღმერთებას, დაცვას, მარადისობას, ძალაუფლებასა და შექმნას ნიშნავს. სხვები მიიჩნევენ, რომ „ალაჰი” ღმერთის საკუთარი სახელია და არ არის სხვა სიტყვის ფუძისგან ნაწარმოები. ღმერთის აღმნიშვნელი არაბული სიტყვა სხვა სემიტურ ენებში არსებული სიტყვების მსგავსია: არამეული „ელაჰ” *(Elah)*, სირიული ალაჰა *(Alaha)* და ძვ. ებრაული „ელ”, „ელოაჰ”, „ელოჰიმ” *(El, Eloah, Elohim)*.

წარმეტყველური ტრადიცია გვთავაზობს სახელთა ორ, ნაწილობრივ თანმხვედრ ნუსხას.[11] მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელები ღმერთის ერთობას (ერთადერთობა) აღნიშნავს, რაც ისლამური რელიგიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

წინასწარმეტყველის ქადაგების მიზანი იყო, დაერწმუნებინა მისი ხალხი, ეწამათ ალაჰი და სხვა არავინ მის გარდა. ისლამური სარწმუნოებრივი მოძღვრების პირველ ნაწილში ხაზგასმით ნათქვამია: „არ არსებობს სხვა ღვთაება, გარდა ღმერთისა“ *(la ilaha ill-allah)*. მუსლიმი თეოლოგები გამოყოფენ შვიდ საღვთო თვისებას (სიძლიერე, ცოდნა, სიცოცხლე, ნება, მეტყველება, მხედველობა და სმენა), რომელთაც ღმერთი სრულფასოვნად და შესანიშნავად ფლობს, თავისი ქმნილებებისგან განსხვავებით.

ღმერთის ერთარსობის გარდა, საღვთო თვისებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, უნიკალური თვისებები. ის თვითმყოფადია („არ არის რამე მისი მსგავსი“ (42:11); მარადიულია – მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული; თავისთავადია – მისი არსებობა მხოლოდ მას უკავშირდება და არავის სხვას; და თვითკმარია (ყოვლისმფლობელი) – მას არ აქვს რაიმე მოთხოვნილება.

ღმერთის სახელი, რომელიც მის ქმნილებას უკავშირდება, გამოხატავს მას, როგორც სამყაროს შემოქმედს (7:54), სამყაროთა უფალს, რომელსაც აქვს უზენაესი ძალაუფლება, რომ გააკეთოს ის, რაც მას სურს (1:2); სამსჯავროს დღის მბრძანებელს (1:4) და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მწყალობელს. ყურანის თითოეული თავი (მეცხრე თავის გარდა) იწყება შემდეგი მიმართვით: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“. ისლამის მისტიურ ტრადიციაში განსაკუთრებულად სათაყვანებელი სიტყვაა „ალ-ვადუდ“ (*al-wadud*) – მსახურთა მიმართ სიყვარულის მქონე და თვით სიყვარულის ღირსი.

---

11 ჰადისი, ანუ წინასწარმეტყველური ტრადიცია, არის გადმოცემა წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ. ისინი კანონიკურად ქცეულ ცხრა კრებულშია გაერთიანებული. ღმერთის სახელების ორ ნუსხას ვპოულობთ თირმიდჰისა და იბნ მაჯაჰის მოწოდებებში: Tirmidhi (*da`awat* [მოწოდება] 87) და Ibn Majah (du`a' [მოწოდება] 10). აღნიშნულ სახელთაგან 26 მხოლოდ თითოეულ ნუსხაში გვხვდება. ისინი აგრეთვე მოცემულია შ. მაკარის „ორი ლოცვა დღევანდელი დღისთვის: ღმერთის ლოცვა და ფათიჰა“ *(Two Prayers for Today: The Lord's Prayer and the Fatiha)*; Tiruvalla: Christava Sahittya Samithi, 2007, 125–30.

ღმერთი ქრისტიანობაში

მსგავსი საღვთო თვისებები ხაზს უსვამს ღმერთის სიდიადეს ქრისტიანობაშიც. თუმცა, ღმერთის სიდიადე ქრისტიანულ სარწმუნოებაში აისახება სხვა თვისებებითაც, რაც ისლამში ან საერთოდ არ მოიძებნება, ან არ ენიჭება მსგავსი მნიშვნელობა.

ბიბლიის თანახმად, ღმერთი არის უნიკალური იმიტომ, რომ მისი ღვთაებრივი ბუნება ექსკლუზიურია, დამახასიათებელია მხოლოდ მისთვის. ბიბლიის პირველი თავი ცხადყოფს, რომ ადამიანიც ასევე უნიკალურია იმდენად, რამდენადაც ის ღვთის ხატად არის შექმნილი: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1:27). ქრისტიანებში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს ზუსტად გამოთქმა „ღვთის ხატი“, მაგრამ, არც ერთი ქრისტიანული მიმდინარეობა არ ცდილობს ამ განსაზღვრების გაუქმებას.

ამის საპირისპიროდ, მაშინ, როცა მუსლიმური წინასწარმეტყველური ტრადიციის თანახმად, „ღმერთმა შექმნა ადამი თავის ხატად“[12], ზოგიერთ მუსლიმ თეოლოგს გაუჭირდა ამ ფრაზის შეთავსება ღვთის განსხვავებულ ბუნებასთან და ამიტომ ეჭვი შეიტანა მის უტყუარობაში. ზოგი მუსლიმის განმარტებით, სხვა არსებებისგან განსხვავებით, ადამიანსაც გააჩნია გარკვეული საღვთო თვისებები.[13]

ეს ინტერპრეტაცია ახლოს დგას ქრისტიანების მიერ ღვთის განსხვავებული ბუნების აღქმასთან. წამყვანმა ქრისტიანმა თეოლოგმა შემოქმედსა და ჩვენს შორის მსგავსება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: პირველ რიგში, ჩვენ, ადამიანები, გონიერები და შეგნებულები ვართ. მეორე, ჩვენ გვაქვს ზნეობა და სინდისი, რაც გვიბიძგებს, გავაკეთოთ ის, რაც სწორად

12 ამ ფრაზის სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება. იხ.: ბუხარი, ისტიდბან (Bukhari, *isti'dhan*) [ნებართვის თხოვნა] 1; მუსლიმი, ბირ (Muslim, *birr*) [სამართლიანობა], 32.

13 დიდი მუსლიმი თეოლოგი და მისტიკოსი, აბუ ჰამიდ ელ-ღაზალი, თავის ტრაქტატში „ღმერთის 99 უმშვენიერესი სახელი“ (თარგმანი: დ. ბარელი და ნ. დაჰარი; კემბრიჯი, ისლამურ წერილობით ძეგლთა საზოგადოება, 1995) განმარტავს აღნიშნულ სახელთა მნიშვნელობას და იმას, თუ როგორ მიესადაგება ზოგი მათგანი ადამიანს.

მიგვაჩნია. მესამე, ისეთივე შემოქმედებითები ვართ, როგორც ჩვენი შემოქმედი; შეგვწევს უნარი, დავაფასოთ ის, რაც სასიამოვნოა დასანახად და მოსასმენად. მეოთხე, ვართ სოციალურნი და შეგვიძლია ჭეშმარიტ სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება ერთმანეთთან, რადგან ღმერთი სიყვარულია და შეგვქმნა რა თავის ხატად, დაგვაჯილდოვა მისდამი და სხვების მიმართ სიყვარულის უნარით. მეხუთე, გვაქვს სულიერი ნიჭი, რათა დავემორჩილოთ და მივსდიოთ უფალს. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ფიქრი და არჩევნის გაკეთება, შექმნა, სიყვარული და ღმერთის თაყვანისცემა.[14]

ამ ციტატიდან ჩანს, რომ სიყვარული ღმერთის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა: „ვისაც არ უყვარს, ვერ შეუცვნია ღმერთი, რადგანაც ღმერთი სიყვარულია“ (1 იოანე 4:8). იესომ ღვთის რჯულისა და წინასწარმეტყველთა სწავლება შეაჯამა ამ ორ მცნებაში: „გიყვარდეს ღმერთი შენი და გიყვარდეს მოყვასი შენი” (მათე 22:34-40).

ღმერთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელი ქრისტიანობაში არის „მამა“. ის არის ყველა ადამიანის მამა, განსაკუთრებით კი, თავისი ერის. იესომ ეს სახელი წინა პლანზე წამოწია. ძველ აღთქმაში ღმერთის შედარება მამასთან რამდენიმე ადგილას გვხვდება.

ღმერთი აღწერილია, როგორც ისრაელიანების მამა (გამ. 32:6; იერ. 3:19; 31:9). გარდა ამისა, მას აღთქმული აქვს მამაშვილური ურთიერთობა დავითის სამეფო დინასტიის შთამომავალთან (2 სამ. 7:14; ფსალმ. 89:26). ის „მამა არს ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“ (ფსალმ. 68:5). იესოც ღმერთს „მამას“ უწოდებს და ხშირად მიმართავს მას ამგვარად მთელი მისიის განმავლობაში. როდესაც მოციქულებმა სთხოვეს, მათთვის ლოცვა ესწავლებინა, მან უპასუხა: „ხოლო თქვენ ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ (მათე 6:9). ის, რომ ჩვენი მამა ცაშია, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის არა მხოლოდ მოსიყვარულე ღმერთია, არამედ ჩვენი უზენაესი უფალიც. „ასე ამბობს უფალი: ცა ტახტია ჩემი, დედამიწა კი – ჩემი კვარცხლბეკი“ (ესაია 66:1). ვინაიდან ღმერთი არის ჩვენი უფალი

14 ჯონ რ.ვ. სკოტი, „ბიბლია ერთ წელიწადში“ (R. W. Stott, *Through the Bible Through the Year*), Oxford: Candle Books/Grand Rapids: Baker, 2006, 18.

და მბრძანებელი, ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ მის წინაშე და ის განგვსჯის ჩვენ განკითხვის დღეს. ამრიგად, ჩვენი ზეციერი მამა არის სამყაროს მბრძანებელიც:

> სიტყვა „ცათა შინა“ არ აღნიშნავს მის ადგილსამყოფელს, არამედ მის, როგორც ამ ქვეყნად ყველაფრის შემქმნელისა და მმართველის ხელთ არსებულ ძალაუფლებასა და ავტორიტეტს. ამრიგად, მასში გაერთიანებულია მამობრივი სიყვარული და ზეციური ძალა, და რასაც მისი სიყვარული კარნახობს, და რაც მის ძალას შეუძლია განახორციელოს.[15]

ყურანი არ უარყოფს დებულებას იმის შესახებ, რომ ღმერთი არის მამა, მაგრამ ის უარყოფს, რომ იესო არის ძე ღვთისა. ის ამტკიცებს, რომ ღმერთს არ ჰყავს ძე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თანამეცხედრე უნდა ჰყოლოდა: „შემოქმედია ცათა და ქვეყნისა: საიდან ეყოლება მას ძე, როცა თანამეცხედრე არ ჰყოლია? შექმნა ყოველი და ყოვლისმცოდნეა” (6:101; იხ. აგრეთვე: 72:3). ეს უარყოფა ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ ღვთაებრივი და ადამიანური მამობა იდენტურია, რაც აშკარად ასე არ არის. ალბათ, ეს გაურკვევლობა გამოიწვია იმან, რომ ისლამის აღმოცენებამდე, ძირითადმა ქრისტიანულმა მიმდინარეობამ ქალწულ მარიამს „ღვთისმშობლის”[16] სახელწოდება მიანიჭა. ამ სახელწოდების შემოღება მიზნად ისახავდა იესოს სრულიად ღვთაებრივი ბუნების დადასტურებას და არა მარიამის გაღმერთებას. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სახელწოდება სწორი თეოლოგიური თვალსაზრისით, მას უთუოდ შეუძლია შეცდომაში შეყვანა, განსაკუთრებით ისლამურ კონტექსტში. ყურანი კონკრეტულად უარყოფს იმ იდეას, რომ მარიამს და ქრისტეს თაყვანი უნდა ვცეთ ღმერთის მსგავსად. ის ადანაშაულებს არა იესოს, არამედ ქრისტიან სასულიერო პირებს, რომლებიც ქადაგებენ მარიამისა და ქრისტეს ღმერთის მსგავსად თაყვანისცემას:

---

15 ჯონ რ.ვ. სკოტი „მთაზე ქადაგების გზავნილი”, ლესტერი: IVP, 1978; 146. (John R. W. Stott, *The Message of the Sermon on the Mount* (Leicester: IVP, 1978)). აგრეთვე იხილეთ ჯონათან ტ. პენინგტონის მნიშვნელოვანი კვლევა სახელწოდებით „ცა და დედამიწა მათეს სახარებაში”, (Jonathan T. Pennington, Heaven *and Earth in the Gospel of Matthew* (NovTSup 126; Leiden: Brill, 2007)).

16 სახელწოდება „თეოტოკოს“ (ღვთისმშობელი) ქალწულ მარიამს მიანიჭა ეფესოს კრებამ 431 წელს.

> „და აი, ჰკითხა ალაჰმა ისა იბნ მარიამს: განა შენ უთხარი ხალხს – აგვირჩიე მე და დედაჩემი ორ ღვთაება თვინიერ ალაჰისაო?!“
>
> მიუგო, „დიდება – შენდა! არასოდეს ყოფილა, მეთქვას ის, რისი უფლებაც არ გამაჩნია. და ეს რომ მეთქვა, გეცოდინებოდა კიდევაც. შენ უწყი, გულში რა მიდევს, მე კი არ ვიცი შენი ზრახვანი” (5:116).

ამრიგად ის, რომ ღმერთს „ჩვენს მამას“ ვუწოდებთ, დიდ გაუგებრობას იწვევს მუსლიმ ხალხში. იმისათვის, რომ ეს გაუგებრობა გავაქარწყლოთ, საჭიროა განვსაზღვროთ არა მხოლოდ ის, თუ რას გულისხმობს ეს სახელწოდება, არამედ ისიც, თუ რას არ გულისხმობს ის.

ღმერთის მამობა ქრისტიანობაში

ღმერთის მამობის შესახებ არსებული ბიბლიური ტექსტის შესწავლისას, უკეთესი წარმოდგენა გვექმნება ამ ცნების მნიშვნელობის შესახებ.

ის ჩვენი შემოქმედია

ჩვენს არსებობას და სიცოცხლეს მას უნდა ვუმადლოდეთ, რადგან მან შექმნა თითოეული ჩვენგანი:

> „და ახლა, უფალო, ჩვენი მამა ხარ შენ,
> ჩვენ თიხა ვართ, შენ კი ჩვენი შემქმნელი;
> შენი ხელის ნაკეთები ვართ ჩვენ ყველანი“ (ესაია 64:8).

ადამს შეეძინა თავისი პირველი ვაჟი, შეთი, „თავისი მსგავსი და თავისი ხატი“ (დაბ. 5:3). ეს გამოთქმა ანალოგიურია იმ ფრაზისა, რომელიც გამოყენებულია ღმერთის მიერ კაცობრიობის შექმნის აღწერისას (დაბ. 1:26; იხ. აგრეთვე: დაბ. 5:1-2). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამის ურთიერთობა შვილებთან სარკისებურად ასახავს ღმერთის ურთიერთობას კაცობრიობასთან. ეს გვიჩვენებს, რომ ღმერთის ურთიერთობა ჩვენთან მსგავსია იმ ურთიერთობისა, რაც მამას თავის შვილებთან უნდა ჰქონდეს.

ის ზრუნავს ჩვენზე

ის უზრუნველყოფს და აკმაყოფილებს ჩვენს მატერიალურსა თუ სულიერ საჭიროებებს. ფაქტობრივად, იესო ამბობს, რომ ღმერთი ჩვენზე გაცილებით მეტს ზრუნავს, ვიდრე ჩვენი მშობლები:

> „ან ვინ არის თქვენს შორის კაცი, რომელიც, თუ სთხოვს თავისი ძე პურს, განა ქვას მისცემს მას? და თუ თევზს სთხოვს, განა გველს მისცემს მას? თუ თქვენ, უკეთურებმა იცით კეთილი მისაცემის მიცემა თქვენი შვილებისათვის, რამდენად უფრო მამა თქვენი ზეცათა მისცემს კეთილს იმათ, ვინც სთხოვს მას?“ (მათე 7:9-11)

ის ჩვენდამი მოწყალეა

ჩვენი შემოქმედი უკეთ გვიცნობს, რადგან თავად შეგვქმნა. მან იცის ჩვენი სისუსტე და აქვს ჩვენდამი სიბრალული:

> „როგორც მამა იწყალებს შვილებს,
> ისე იწყალებს უფალი თავის მოშიშებს.
> მან კარგად იცის ჩვენი აგებულება
> და ახსოვს, რომ მტვერი ვართ“ (ფსალმ. 103:13-14).

ის გვმოძღვრავს ჩვენ

შემოქმედი ჩვენი მასწავლებელია. ის გვეხმარება ზნეობრივ და სულიერ განვითარებაში. საჭიროების შემთხვევაში ის გვმოძღვრავს ჩვენ:

> „ნუთუ სრულიად დაგავიწყდათ შეგონების სიტყვა თქვენდამი, როგორც შვილებისადმი? უფლის შეგონებას ნუ უგულებელყოფ, შვილო, და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ; რადგან, ვინც უყვარს, იმას ამხილებს უფალი და სწყალობს, როგორც მამა საკუთარ შვილს“ (იგავ. 3:11-12).

> „თუ ითმენთ წვრთნას, ღმერთი გექცევათ, როგორც შვილებს: ვინაიდან განა არის ისეთი შვილი, რომელსაც მამა არ წვრთნიდეს?... თუ ჩვენი ხორციელი მამები გვწვრთნიან და შიშით ვემორჩილებით მათ, განა მით უფრო მეტად არ უნდა ვემორჩილებოდეთ სულების მამას, რათა ვიცოცხლოთ? ისინი თვითნებურად გვზრდიან ორიოდე დღისთვის, ხოლო ეს – ჩვენივე სიკეთისათვის, რათა ვეზიარებოდეთ მის სიწმიდეს“ (ებრ. 12:5-10).

ბიბლიაში მოცემული ყოველივე ზემოაღნიშნული თვისება თუ ქმედება, რაც ღმერთის მამობას უკავშირდება, სავსებით მისაღებია ისლამის თვალსაზრისით. თუმცა, ეს ასე არ არის ქვემოთ მოყვანილ თვისებებთან მიმართებით:

ის ჩვენი ღვთიური მეგობარია

რადგან ღმერთი ჩვენი ზეციერი მამაა, მასთან ახლო და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს: „წეღან არ იყო, რომ მეძახდი: მამაჩემო, ჩემი სიყმაწვილის წინამძღვარი ხარო. განა სამუდამოდ იმრისხანებს, ბოლომდე ხომ არ ჩაიმარხავსო!“ (იერ. 3:4). იესო თავის მოციქულებს მეგობრებს უწოდებს და განუმარტავს, რომ ეს მეგობრობა მისი ბრძანებების დამორჩილებას გულისხმობს.

> „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ? უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგანაც გაუწყეთ ყველაფერი, რაც მსმენია მამაჩემისგან“ (იოანე 15:14-15).

ცხადია, ღმერთი არ არის უბრალო მეგობარი, ის ჩვენი შემოქმედია. მასთან მეგობრობა არ არის ურთიერთობა თანასწორთა შორის, ასევე, ჩვენი ურთიერთობაც ქრისტესთან: ჩვენ უნდა დავემორჩილოთ მის ბრძანებებს, ისე, როგორც ამას ქრისტე თავის მოციქულებს განუმარტავს. ამ თვალსაზრისით, ეს „მეგობრობა“ არ არის ბოლომდე ორმხრივი. ძველსა და ახალ აღთქმაში, ისევე, როგორც ყურანში, აბრაამი ღმერთის მეგობრად არის მოხსენიებული (2 ნეშტ. 20:7; ეს. 41:8; იაკ. 2:23; ყურანი 4:125), თუმცა, არსად არის მითითებული, რომ ღმერთია აბრაამის მეგობარი. ბიბლია წარმოაჩენს ღმერთს, როგორც ნებისმიერი ცოდვილი ადამიანის საუკეთესო მეგობარს, მაშინაც კი, როცა ბიბლიაში გამოყენებული ტერმინოლოგია იშვიათად მიუთითებს ამაზე. ისლამის ძირითადი მიმდინარეობის მიხედვით, ყველას როდი შეუძლია ისარგებლოს ღმერთთან მეგობრობით. ეს უპირატესობა მხოლოდ წმინდანებსა და წინასწარმეტყველებს ენიჭებათ. ახალ აღთქმაში ნათქვამია, რომ ღმერთის „მეგობრობა” ვრცელდება ყველა ადამიანზე, ვინც გულწრფელად აღიარებს იესოს უფლად.

ჩვენ მას ვუყვარვართ

ღმერთს ყველანი ვუყვარვართ იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ვართ ჩვენ (იოანე 3:16; 1 იოანე 4:8,16). სიყვარული უფრო ყოვლისმომცველი და მომთხოვნია, ვიდრე მოწყალება. მოწყალე ადამიანი მზად არის დაეხმაროს გაჭირვებულს, მაგრამ არ არის აუცილებელი, მას ის უყვარდეს და ჰქონდეს მასთან პირადი, მტკიცე და ღირებული ურთიერთობა. იესომ თავის მოწაფეებს აუხსნა, თუ რას ნიშნავს სიყვარული: „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოანე 15:13). ქრისტეს ჯვარზე გაღებული მსხვერპლი არის მოწაფეებისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის დემონსტრირება.

ის ჩვენი მხსნელია

ჩვენ ყველამ დავარღვიეთ ღმრთის რჯული და ავცდით სწორ გზას. ჩვენ არ მივაგეთ შემოქმედს სათანადო პატივი:

> „შვილი პატივს სცემს მამას და ყმა – თავის ბატონს. თუ მამა ვარ, სად არის ჩემი პატივისცემა? თუ მათი ბატონი ვარ, სად არის ჩემდამი შიში? თქვენ გეუბნებათ ცაბაოთ უფალი, მღვდლებო, ჩემი სახელის შეურაცხმყოფელნო“ (მალ. 1:6).

ჩვენ ღმერთის სასჯელს ვიმსახურებთ. ვინაიდან ღმერთი მოსიყვარულეა, მას ჩვენი ცოდვების მიტევება და ჩვენი გადარჩენა სურს. მან სიკვდილს გადაარჩინა ფარაონის ჯარისგან დევნილი ისრაელის ხალხი და ამით მოევლინა მათ, ვითარცა მხსნელი მამა.

> „შენა ხარ ჩვენი მამა, რადგან აბრაამმა არ უწყის ჩვენი თავი და ისრაელი არა გვცნობს ჩვენ; შენ, უფალი, ხარ ჩვენი მამა. ჩვენი გამომსყიდველია შენი სახელი უკუნითიდან“ (ესაია 63:16).

რას არ გულისხმობს ღმერთის მამობა

ღვთაებრივი მამობა არ არის ხორციელი მამობის იდენტური. როდესაც იესო ამბობს, რომ ღმერთი არის ჩვენი ზეციერი მამა, ის მიუთითებს, რომ, თუ ღმერთი გარკვეულწილად ხორციელი მამების მსგავსია, ის აგრეთვე სხვა მხრივ განსხვავდება მათგან:

1. ღმერთის ღვთაებრივი ბუნება მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. ჩვენ ისეთივე ადამიანური ბუნების ვართ, როგორც ჩვენი ხორციელი მამები. მაგრამ ჩვენი ბუნება განსხვავდება ღვთაებრივი მამის ბუნებისაგან. ზეციური მამა არც ერთ თავის ქმნილებას არ უზიარებს თავის ღვთაებრივ ბუნებას.

2. ღმერთს არც სქესი აქვს და არც თანამეცხედრე ჰყავს. ის არ ექვემდებარება დიფერენციაციას სქესობრივი ნიშნით, რაც დამახასიათებელია ადამიანისთვის და სხვა ცოცხალი არსებებისთვის. თუ ბიბლიაში მას მიზანმიმართულად მიმართავენ, როგორც „მამა“ და არა „დედა“, ეს მხოლოდ კულტუროლოგიური ანალოგიით არის გამოწვეული.

3. ღმერთი სრულყოფილია და თვითკმარი, ხორციელი მამები და დედები კი დამოკიდებულნი არიან, აქვთ შეცდომების დაშვებისა და ცოდვის ჩადენის მიდრეკილება. ამასთან, მისი ჩვენდამი სიყვარული ნებისმიერი მშობლის სიყვარულზე უფრო დიდია.

4. ღმერთი სულია (იოანე 4:42). ის არ არის მატერიალური. ის არ არსებობს ერთ კონკრეტულ ადგილზე, ის ყველგანაა.

5. ღმერთს პატივი უნდა ვცეთ და ვეთაყვანოთ, ხორციელ მშობელს კი პატივი ვცეთ (გამ. 20:12) და არა ვადიდოთ.

6. ხორციელი მამა ბევრია, ზეციერი მამა ერთადერთია. „განა ერთი მამა არა გვყავს ყველას? განა ერთმა ღმერთმა არ გაგვაჩინა?“ (მალ. 2:10).

7. ხორციელ მამებს მხოლოდ რამდენიმე შვილი ჰყავთ. რადგან ღმერთი შემოქმედია, ის ყველა ადამიანის მამაა. რამდენადაც ღვთის, როგორც მამის, როლი დაკავშირებულია იმ ადამიანებთან, რომელიც მან იხსნა, ის ყველა ასეთი ადამიანის მამაა.

ეს უკანასკნელი პუნქტი შემდგომი მსჯელობის საგანია. რაკი ჩვენ ღმერთმა შეგვქმნა, ჩვენ ყველას შეგვიძლია „მამა ჩვენი” ვუწოდოთ: ჩვენ ყველანი მის ხატად ვართ შექმნილნი. ეს ნიშნავს, რომ ღვთის წინაშე

ჩვენ ყველანი თანაბარნი ვართ, მიუხედავად ჩვენი ეთნიკური, სოციალური თუ რელიგიური წარმომავლობისა. როგორც ადამიანები, ჩვენ ყველანი ერთმანეთის ძმები და დები ვართ. თუმცა, ახალი აღთქმის ნაწერებში ღმერთი მოხსენიებულია მამად მისი განსაკუთრებული ურთიერთობის გამო იმ ხალხთან, რომელიც მან იხსნა ქრისტეს მეშვეობით. ისინი ხდებიან „ძმები" და „დები" ცოდვებისგან ხსნილ მორწმუნეთა თემში, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების და ენის მატარებლები არიან (გამოცხ. 5:9-10). მეოთხე საუკუნეში ნეტარი ავგუსტინე სამართლიანად აღნიშნავდა: „ამ მამის წინაშე მდიდარი და ღარიბი ძმები არიან; ამ მამის წინაშე ბატონი და მონა ძმები არიან; ამ მამის წინაშე სარდალი თუ რიგითი ჯარისკაცი ძმები არიან."[17]

ამრიგად, ღმერთის მამობა მსგავსია ხორციელი, ადამიანური მამობისა, მაგრამ არაიდენტური. ადამიანურ მამობაში, გარკვეულწილად, ასახულია ღვთაებრივი მამობა. ღმერთისთვის დამახასიათებელი თვისებები, მისი იმანენტურობა, ყოველთვის უნდა განიხილებოდეს მის უზენაესობასთან (ტრანსცედენტულობასთან) ერთად. ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენდამი მისი უსაზღვრო სიყვარული, არ უნდა ვიყოთ იმდენად ეგოისტურნი, რომ ვერ გავარჩიოთ განსხვავება ღმერთსა და ჩვენ, მის ხატად შექმნილ, ადამიანებს შორის. პირიქით, მისმა სიყვარულმა კიდევ უფრო უნდა გააღვივოს მისდამი ჩვენი სიყვარული, ჩვენი მორჩილება მისი სიტყვისადმი და ჩვენი მისდამი თაყვანისცემა. ქრისტე როდესაც გვასწავლის, რომ ღმერთს „მამაო ჩვენო"-თი მივმართოთ, გვიმხელს, თუ რამხელა უპირატესობა გვაქვს, როგორც ადამიანებს. ამ უპირატესობას თან სდევს მორალური პასუხისმგებლობაც:

> თუ ის [იესო] მოგვიწოდებს, რომ ლოცვებში ღმერთი „მამად" მოვიხსენიოთ, ის მიგვითითებს, რომ ჩვენი ცხოვრებით მივბაძოთ ჩვენს ზეციერ მამას. ეს მოწოდება კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს მის სიტყვებში: „მაშ, იყავით სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია თქვენი ზეციერი მამა" (მათე 5:48).[18]

---

17 ციტატა ა. ჰამანის ნაშრომიდან, *A. Hamman, Le Notre Père dans l'Église ancienne. Choix de textes des Pères de l'Église* (Paris: Les Éditions Franciscaines, 1995), 134.

18 გრიგოლ ნოსელის *(Gregory of Nyssa)* სიტყვები ციტირებული ჰამანის ნაშრომში, *Le Notre Père*, 77.

ჩვენი, როგორც ადამიანების, უპირატესობა ღმერთის მამობრივი თვისებების გარკვეულწილად მიმსგავსების უნარში მდგომარეობს, რაც განსაკუთრებით ჩვენს შვილებთან ურთიერთობით ვლინდება. მაგრამ, საბოლოოდ, ღმერთი რჩება შეუდარებელ მამად. ეს საკითხი ქრისტიანობისა და ისლამის თანხვედრის წერტილია. იესოს იმდენად მაღალი შეხედულება აქვს ღმერთის და საკუთარი თავის თვითმყოფადობაზე, რომ ის თავის მოციქულებს მოძღვრავს, არ მისცენ ხალხს უფლება „ბატონი“ ან „მოძღვარი” უწოდონ მათ და არ უწოდონ მამა სხვას, რადგან მათ ერთი მამა, ღმერთი და მოძღვარი ჰყავთ: „თქვენ კი ნუ იწოდებით ასე: რაბი! ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ. ნურც თქვენს მამას უწოდებთ ვინმეს ამ ქვეყნად, ვინაიდან ერთია მამა თქვენი ზეციერი. და ნურც წინამძღვრებად იწოდებით, ვინაიდან ერთია თქვენი წინამძღვარი - ქრისტე“ (მათე 23:8-10).

აქ იესო პირდაპირი გაგებით კი არ სთხოვს თავის მოწაფეებს, არ მიმართონ ადამიანებს აღნიშნული სახელებით. მისი სიტყვების არსი უფრო ღრმაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ადვილად უშვებს შეცდომებს და რომ ღმერთი არის ძალაუფლებისა და ცოდნის წყარო. აქედან გამომდინარე, ყოველთვის კრიტიკულად უნდა შევხედოთ ადამიანურ სწავლებასა და წინამძღოლობას. ჩვენი ერთგულება და მადლიერება მიმართული უნდა იყოს ღმრთისადმი და იმ ერთადერთისადმი, ვინც დაგვანახა, რომ ის არის „ჩვენი ზეციერი მამა“. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ჩვენი შემოქმედი და უფალი, ღმერთი გამოგვეცხადა, როგორც მოსიყვარულე მამა.

3. იესო ქრისტე

წინასწარმეტყველი მუჰამედი ყურანს პოლითეისტ არაბებს უქადაგებდა, სწორედ ამიტომ მის გზავნილში ხაზგასმული იყო ღმერთის ერთადერთობა (თავჰიდი/tawhid), რაც ისლამური სარწმუნოების ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, იესო თავის მისიას ებრალ ხალხში ახორციელებდა, რომელთაც, ჯერ კიდევ მოსეს დროიდან მოყოლებული, სწამდათ, რომ ღმერთი ერთია: „ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი" (რჯლ. 6:4). ამრიგად, მის გზავნილში აქცენტი კეთდება არა იმაზე, რომ ღმერთი ერთია, არამედ იმაზე, თუ ვინ არის ღმერთი: „ჩვენი ზეციერი მამა". იესომ თავისი მისიის დროს კიდევ უფრო უჩვეულო რამ განაცხადა, რითაც აღაშფოთა ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ებრაელები და ერთგვარად დაარღვია ოფიციალურად მიღებული შეხედულებები: ის არის ღვთის მხოლოდშობილი ძე (იოანე 1:14,18), მას აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა თავის მამასთან. სწორედ ამას ემსახურებოდა იესოს მისია, რომ მის მაგალითზე დაგვემყარებინა ჩვენი ურთიერთობა ზეციურ მამასთან:

> „ყველაფერი მამისაგან მომეცა მე და არავინ იცის ძე, გარდა მამისა; და არც მამა იცის ვინმემ, გარდა ძისა და იმისა, ვისთვისაც ძე ინებებს მის გამოცხადებას" (მათე 11:27).

ქრისტე ზოგჯერ ღმერთს „მამად" მოიხსენიებს სიტყვა „ღმერთის" გამოყენების გარეშე. ხშირ შემთხვევაში, ის ღმერთს მიმართავს, როგორც „მამა", „ჩემი მამა" და „თქვენი მამა". ის არასოდეს უკავშირებს საკუთარ თავს მოწაფეებს და არ მიმართავს ღმერთს, როგორც „ჩვენი (საერთო) მამა". ქრისტეს განცხადება მისი მეობის შესახებ მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ებრაულმა სასამართლომ ის ღვთის მგმობად შერაცხა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (მარკოზი 14:61-64). მკვდრეთით აღდგომის შემდეგ კი თავის მიმდევრებს განუცხადა: „მამაჩემსა და მამათქვენთან ავდივარ, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთთან" (იოანე 20:17). ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით, სხვა ფაქტორებთან ერთად, ღმერთმა ერთგვარად დაიცვა და გაამართლა ის და დაადასტურა, რომ ის სრულებით გამორჩეულია წინასწარმეტყველთა შორის.

რით არის ქრისტე გამორჩეული?

მოდით, მოკლედ განვიხილოთ იესოს გამორჩეული ბუნების სხვა ასპექტები, რომელიც სახარებებში გვხვდება. თავისი თავმდაბლობის გამო (მათე 11:29), იესო არამც თუ ტრაბახობს, არამედ არც ღიად და პირდაპირ არ საუბრობს თავის ღვთაებრივ ბუნებაზე. მას არასოდეს უთქვამს „მე ვარ ღმერთი“, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ფორმულირება შეცდომით აფიქრებინებდა ადამიანს, რომ ის ძირს უთხრის ღმერთის ერთადერთობას. თუმცა, მას ნათქვამი აქვს შემდეგი რამ: „მე და მამა ერთი ვართ“ (იოანე 10:30) და „რა ხანია თქვენთანა ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამაც იხილა“ (იოანე 14:9).

ის, ისევ და ისევ, აცხადებს თავის წინარე არსებობის შესახებ, მაგრამ საუბრობს ღმერთის სახელით: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: აბრაამზე უწინარესი ვარ“ (იოანე 8:58). იესოს შეუძლია თავისი „ძეობის“ განსაკუთრებულ ბუნებაზე საუბარი (მაგ.: იოანე 10:34-36). მათ შორის, საგულისხმოა მისი განსაცვიფრებელი განაცხადი იმის შესახებ, რომ, მიუხედავად მამაზე ფუნქციური დაქვემდებარებისა, ის, როგორც შვილი, იმავეს იქმს, „რასაც მამა აკეთებს“. მამა დაჟინებით მოითხოვს, რომ ყველანი პატივს სცემდნენ ძეს, როგორც პატივს სცემენ მამას (იოანე 5:16-30). ცხადია, პირველ მოწმეებს შეუძლიათ მიმართონ მას, როგორც ღმერთს (მიუგო თომამ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოანე 20:28) ან ისაუბრონ მასზე, როგორც ღმერთზე (იოანე 1:1). გარდა ამისა, სახარებებში არის ბევრი სხვა რამ, რაც მის ღვთაებრივ ბუნებაზე მიანიშნებს:

ქრისტეს დაბადება

კაცთაგან განსხვავებით, იესოს ბიოლოგიური მამა არ ჰყოლია. ყურანი ცნობს იესოს უმანკო ჩასახვას, ამიტომაც იესო ხშირად „მარიამის ძედ“ არის მოხსენიებული, თუმცა, ყურანი ამ სასწაულში მხოლოდ ღმერთის უსაზღვრო ძალას ხედავს (21:91). ქრისტეს შემქმნელი ყურანში შედარებულია ადამის (3:59) შემქმნელთან. ადამიც ასევე უშუალოდ ღმერთის მიერ იყო შექმნილი, თუმცა ეს მას ღმერთის ძედ არ აქცევს.

ბიბლიის მიხედვით, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ადამი, ისიც, გარკვეულწილად, „ღმერთის ძეა“ (ლუკა 3:37), თუმცა, ადამი და იესო უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან. ადამი იყო პირველი

კაცთაგანი, რომელიც ამქვეყნად მოევლინა ღმერთის პირდაპირი შემოქმედებითობის შედეგად. იესოს შემთხვევაში კი სხვაგვარად მოხდა. იესოსგან განსხვავებით, ადამის წინარე არსებობაზე არაფერი მიუთითებს[19]. ადამს არასოდეს ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს, ქრისტეს კი ეთაყვანებოდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ, რაც ქრისტეს დაბადებას უკავშირდება, არის ის სახელები, რაც თავად ღმერთმა მიანიჭა მას მარიამში ჩასახვის შემდეგ. მისთვის სახელად იესო უნდა ეწოდათ, „რადგან ის იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“ (მათე 1:21) და იმანუილი, რაც „ჩვენთან არს ღმერთს“ ნიშნავს (მათე 1:23). ამ ორ სახელში შეჯამებულია ქრისტეს ვინაობა და მისია. მთავარანგელოზმა გაბრიელმა მარიამს უთხრა, რომ მისი შვილი აგრეთვე „უზენაესის ძედ იწოდება“ და რომ „არ იქნება დასასრული მისი სუფევისა“ (ლუკა 1:32-33): ზოგჯერ „ღვთის ძე” ქრისტეს შემთხვევაში მიუთითებს იმას, რომ ის დავითის შტოს გამორჩეული მეფე მესიაა (მიაქციეთ ყურადღება, როგორ არის გამოყენებული 2 მეფეთა 7:14 და მე-2 ფსალმუნი იესოსთან მიმართებით ახალ აღთქმაში, განსაკუთრებით ებრაელთა მიმართ: იხილეთ ქვემოთ).

იესოს წოდებები

ყურანიც და ბიბლიაც ქრისტეს სამ წოდებას ანიჭებს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის: ღვთის სიტყვა (3:39, 45; 4:171), მესია (3:45) და ღვთის სული (4:171). ყურანი არ განმარტავს ამ წოდებათა მნიშვნელობას. მუსლიმი მეცნიერები მათ სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, თუმცა არც ერთი მათგანი არ შეესაბამება მათ ბიბლიურ მნიშვნელობას.[20]

ღვთის სიტყვა

იესო ღვთის მარადიული „სიტყვაა“ ადამიანის სახით მოვლენილი. ის ღმერთის გამოცხადებაა ადამიანის სახით, მსგავსად ღმერთის „სიტყვის“ გამოცხადებისა წიგნში:

---

19 იესოს წინარე არსებობასთან დაკავშირებით იხილეთ სიმონ ჯ. გათერკოლის „წინარე არსებული ძე: მათეს, მარკოზისა და ლუკას ქრისტოლოგიის აღდგენა” (Simon J. Gathercole, The Preexistent Son: Recovering the Christologies of Matthew, Mark, and Luke (Grand Rapids: Eerdmans, 2006).

20 იხ.: შ. მაკარი, „წინასწარმეტყველი და მესია: ისლამი და ქრისტიანობა არაბი ქრისტიანების ხედვით”, *(The Prophet and the Messiah: An Arab Christian's Perspective on Islam and Christianity),* Downers Grove: IVP, 2001, 175–83.

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა... სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის“ (იოანე 1:1-3, 14ა).

ქრისტიანები იყენებენ სიტყვა „განკაცებას“ იმის აღსანიშნავად, რომ ღმერთი მოევლინა ქვეყანას მისი ძის - იესო ქრისტეს სახით, თუმცა თავისი ღვთაებრივი ბუნება მას არ დაუკარგავს. ბიბლიაში მითითებულია, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის საბოლოო და სრულქმნილი გამოცხადება.

მესია

მესია, ანუ ქრისტე არის მეფე, რომელიც ღმერთს, დაპირებისამებრ, დავითის ერთ-ერთ შთამომავლად უნდა მოევლინა (2 მეფეთა 7). ამ მეფეს ექნებოდა მამაშვილური ურთიერთობა ღმერთთან და ყოველ კაცთაგანს მის ქვეშევრდომად აქცევდა (ფსალმ. 2). მეფე დავითი თავის უფალს უწოდებს მას (ფსალმ. 110:1). მიქა წინასწარმეტყველი მიუთითებს, რომ მისი დაბადების ადგილი ბეთლემია და აღწერს, რომ „ძველითგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (მიქ. 5:2). ესაია აცხადებს, რომ მესია იქნებოდა „მარადისობის მამა და მშვიდობის მთავარი“ (ესაია 9:7).

იესომ იცოდა, რომ თავად იყო დიდი ხნის ნანატრი მესია, თუმცა, ის არ იყო ის მესია, რომელსაც ხალხი ელოდა, ანუ პოლიტიკური მეფე. ის იყო აღთქმული მესია, კაცობრიობის მხსნელი მეფე, რომელიც მსოფლიოს საკუთარი სიკვდილით და მკვდრეთით აღდგომით დაიპყრობდა (მათე 16:13-28). აღდგომის შემდეგ იესო ზეცად ამაღლდა, სადაც ღმერთმა მას ცათა სასუფეველის ტახტი დაუმკვიდრა. ის ახლა სუფევს ყველგან – ზეცაში და დედამიწაზე (მათე 28:18-20). რადგანაც მას მართებს სუფევა, ვიდრე ფეხქვეშ არ მოიქცევს თავის მტრებს. ერთ დღეს ის დაბრუნდება დიდებით და მის ხელისუფლებას ყველა აღიარებს (1 კორ. 15:20-28).

ღვთის სული

ბიბლიაში ადამი მოხსენიებულია, როგორც „მომვლის ხატი“ იესო ქრისტესი (რომ. 5:14). გავლებულია პარალელი ადამსა და ქრისტეს შორის და, აგრეთვე, ნაჩვენებია განსხვავებაც მათ შორის. ადამი იყო კაცთაგან პირველი, ვინც არ დაემორჩილა ღმერთს, ქრისტე კი უცოდველი დარჩა. ადამისგან განსხვავებით, რომელსაც სიცოცხლე მიეცა, როდესაც ღმერთმა ის თიხისგან შექმნა (დაბ. 2:7; იხ. აგრეთვე ყურანი 16:26-29), მკვდრეთით

აღმდგარი იესო ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მათ, ვისაც სწამს ის: „ასეც სწერია: „პირველი კაცი ადამი შეიქმნა ცოცხალ მშვინვად“, უკანასკნელი ადამი კი - ცხოველმყოფელ სულად“ (1 კორ. 15:45). სწორედ იესო არის ის „უკანასკნელი ადამი“, ვინაიდან მისი მისია კაცობრიობის ცოდვისგან ხსნასა და ახალი, ცოდვებისგან გამოსყიდული კაცობრიობის შექმნა იყო.

იესოს მისია

გზავნილი, რომელსაც იესო ქადაგებდა, ისლამში ინჯილის (injil) სახელით არის ცნობილი. ვინაიდან ეს სიტყვა ბერძნულიდან არის წარმოებული, მისი მნიშვნელობა მუსლიმებისთვის უცნობია. მისი არაბული შესატყვისია სიტყვა „ბუშრა“(bushra) ანუ „სასიხარულო უწყება“. სახარების „სასი-ხარულო უწყება“ არის ის, რომ იესო ქრისტეს სახით, მისი სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომის გზით, ღმერთი გახდა „სამყაროს მხსნელი“ (იოანე 4:42). ჩვენი ხსნა დამოკიდებულია მის მოულოდნელ და ძვირფას სიყვარულზე და არა ჩვენს დამსახურებებსა თუ კეთილ საქმეებზე.

ისლამის გადასახედიდან, სასწაულები არის დადასტურება ღმერთის მიერ მოვლენილი წინასწარმეტყველის მისიისა. ყურანი რამდენიმე სასწაულს მიაწერს ქრისტეს, მათ შორის, უსინათლოსა და კეთროვნის განკურნება, მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომა, თიხისგან ჩიტების გამოძერწვა და მათთვის სულის ჩაბერვა და ხალხის სასწაულებრივი დაპურება. (5:110-15).[21] სახარების მიხედვით, ქრისტეს სასწაულებს სულ სხვა დატვირთვა აქვს: ეს არის ნიშნები, რომელიც მიუთითებს ქრისტეზე და გვიმხელს მის ვინაობას. ვიდრე ქრისტე უსინათლოს განკურნავდა, მან თქვა: „სანამდის ამ ქვეყნადა ვარ, ქვეყნის ნათელი ვარ“ (იოანე 9:5). ვიდრე ლაზარეს მკვდრეთით აღადგენდა, მან განაცხადა: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც მე ვწამვარ, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს“ (იოანე 11:25). ხალხი რომ დააპურა, თქვა: „მე ვარ პური სიცოცხლისა; ვინც ჩემთან მოვა, არ მოშივდება, და ვინც მიწამებს, არ მოსწყურდება არასდროს“ (იოანე

21 ყურანი აღწერს ქრისტეს ისეთ თვისებებს, რომელიც არ არის აღწერილი არც ერთ სახარებაში (ყველა დაწერილია პირველ საუკუნეში), არამედ გვხვდება აპოკრიფულ სახარებებში, რომელიც მეორე და მესამე საუკუნეებს მიეკუთვნება. მაგ.: თიხისგან ჩიტების გამოძერწვისა და მათთვის სულის ჩაბერვის შესახებ მოგვითხრობს არა კანონიკური სახარება, არამედ თომას სახარება „იესოს ბავშვობის შესახებ” (2.1–5 [II საუკუნის ბოლო). აგრეთვე, შეადარეთ უფრო გვიანდელი არაბული სახარება ქრისტეს ბავშვობის შესახებ, რომელსაც, როგორც ჩანს, მუჰამედი იცნობდა.

6:35). ქრისტე განსაკუთრებულია არა იმ სასწაულების გამო, რომელსაც ის ახდენდა, არამედ იმ განცხადებების გამო, რომელსაც ამ სასწაულებთან დაკავშირებით აკეთებდა. არც ერთ წინასწარმეტყველს არ განუცხადებია მსგავსი რამ საკუთარი თავის შესახებ. ზოგი მუსლიმი განსაკუთრებით აღტაცებულია ქრისტეს უნარით, სული ჩაბეროს და მკვდრეთით აღადგინოს ადამიანი. არის კი ღმერთი ერთადერთი შემოქმედი და ის ერთადერთი, ვინც აცოცხლებს და კლავს? (2:258; 30:50). ყურანის ტექსტში დაზუსტებულია, რომ იესო სასწაულებს ღვთის მადლით ახდენდა, თუმცა რჩება კითხვა: რა უფლებით აკეთებდა ქრისტე ამას?

ყურანის მიხედვით, ღმერთმა გააძლიერა ქრისტე თავისი მისიის დროს (2:87; 253; 5:110) „სულიწმიდით“ (ruh al-qudus). ღმერთის ერთადერთობის დაკნინების შიშით, მუსლიმი მეცნიერები ხსნიან, რომ „სულიწმიდაში იგულისხმება ანგელოზი ჯიბრაილი (თუმცა სიტყვა ანგელოზი არაბულად არის მალაკ (malak) და არა რუჰ (ruh). არაბული წმინდა წერილი იყენებს ზუსტად იმავე ფრაზას სულიწმიდის, წმინდა სამების მესამე პირის, აღსანიშნავად. ქრისტეს მისიის დროს ღმერთმა ის სულიწმიდით აღავსო (იოანე 3:34). ქრისტე საუბრობს სულიწმიდაზე, როგორც თავის მიმდევარზე, რომელიც გააგრძელებს მის საქმეს მას შემდეგ, როცა ის დატოვებს თავის მოციქულებს და დაუბრუნდება მამას – კიდევ ერთი პირი, რომელიც მის მსგავსად მოწოდებულია დაეხმაროს მათ (იოანე 14:16). იესო გაუგზავნის მას თავის მოწაფეებს, რათა საუკუნოდ იყოს მათთან. ქრისტე მოიხსენიებს მას, როგორც „სული ჭეშმარიტებისა“, რომლის მისიაა გაუძღვეს მის მოწაფეებს ჭეშმარიტებისაკენ (იოანე 16:13). სულიწმიდა გადმოვიდა მოწაფეებზე ქრისტეს ზეცაში ამაღლებიდან მეათე დღეს (მოციქ. საქ. 2).

იესოს უცოდველი ცხოვრება

ბიბლიაში მოცემულია არაერთი ფრაგმენტი, რომელიც ქრისტეს უცოდველობას ადასტურებს (მაგ.: 2 კორ. 5:21; ებრ. 7:27; 1 იოანე 3:5). იმავე ჭეშმარიტებას ადასტურებს ყურანიც. ყურანის მიხედვით, როდესაც ჯიბრაილი მარიამს გამოეცხადა, უთხრა, რომ ის „წმინდა ყრმის“ დედა გახდებოდა (19:19). ისლამური წინასწარმეტყველური ტრადიცია ადასტურებს ქრისტეს გამორჩეულ ბუნებას შემდეგი თვალსაზრისით: „არავინ არის ადამის შთამომავალთაგან, სატანა რომ არ შეეხოს, მარიამისა და მისი ძის გარდა. სწორედ სატანას შეხების გამო ტირის ბავშვი დაბადებისას

ასე ხმამაღლა."[22] თუ ქრისტეს გარდა ყველა ადამიანს დაბადებისას ბოროტი ძალა ეხება, რაზე მეტყველებს ეს გამონაკლისი იესოზე? ახალი აღთქმა არა მარტო ხაზს უსვამს ქრისტეს აბსოლუტურ უმანკოებას, არამედ აკონკრეტებს, რომ სწორედ მისმა მორალურმა სრულყოფილებამ შესაფერისი გახადა იმისათვის, რომ მისი ცხოვრება მსხვერპლად გაეღო ჩვენი ცოდვებისათვის: „შვილნო ჩემნო, ამას გწერთ, რათა არ სცოდოთ, ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, ქომაგი გვყავს მამის წინაშე – იესო ქრისტე მართალი. ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნის ცოდვათა მიმტევებელი" (1 იოანე 2:1-2); იხ. აგრეთვე: ებრაელთა მიმართ 7:26-28).

ქრისტეს მტკიცებანი

1. მას აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება. არავის აქვს ადამიანის ცოდვების მიტევების უფლება, ღმერთის გარდა. ამ შეხედულებას იზიარებენ, როგორც ებრაელები და ქრისტიანები, ისე მუსლიმებიც (იხ. ყურანი 3:135). ერთხელ ქრისტეს დავრდომილი კაცი მოჰგვარეს სარეცლით. ყველა ელოდა, რომ ქრისტე მას უმკურნალებდა, მან კი უთხრა: „შვილო, მოგეტევა შენი ცოდვანი!" ამ სიტყვებმა მწიგნობართა აღშფოთება გამოიწვია. იმისათვის, რომ დაერწმუნებინა კრიტიკოსები, რომ მას ცოდვების მიტევების ძალა შესწევდა, ქრისტე დავრდომილს მიუბრუნდა და უთხრა: „აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში. კაცი მაშინვე აღდგა, აიღო სარეცელი და გამოვიდა ყველას წინაშე ისე, რომ უკვირდა ყველას" (მარკოზი 2:1-12). დააჯილდოვებდა განა ღმერთი იესოს ავადმყოფთა განკურნების უნარით, მას რომ კაცთა ცოდვების მიტევების უფლება არ ჰქონოდა? ქრისტეს სხვა გარემოებებშიც მიუტევებია ცოდვები კაცთათვის (ლუკა 7:36-50; იოანე 8:1-11). საკითხავია, ქრისტეს გარდა რატომ არ მიანიჭა ღმერთმა სხვა წინასწარმეტყველებს ცოდვების მიტევების ძალაუფლება? თუ მართებულია, რომ, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ღმერთს შეუძლია ცოდვების მიტევება, მაშინ იესოს მიერ ცოდვების მიტევება (რომელსაც ის სასწაულით ადასტურებს), მეტყველებს არა უბრალოდ მის ბუნდოვან უნიკალურობაზე, არამედ იმაზე, რომ ის ღმერთთან არის გაიგივებული.

---

22 ბუხარი, ანბია *(Bukhari, anbiya')* [წინასწარმეტყველები], 45.

2. მისი ხელმწიფება ღვთის რჯულზე მაღლა დგას. მოსეს რჯულის მიხედვით, ებრაელ ხალხს ეკრძალება შაბათს მუშაობა. ეს იყო ათიდან ერთ-ერთი მცნება (გამ. 20:8-11). თუმცა, ერთ დღეს ქრისტემ გამოაცხადა: „შაბათი კაცისათვის შეიქმნა, და არა კაცი შაბათისათვის. ასე რომ, ძე კაცისა შაბათის უფალიც არის“ (მარკოზი 2:27). იყო შემთხვევა, როდესაც იესომ ეჭვის ქვეშ დააყენა საკვებთან დაკავშირებული ოდითგანვე არსებული კანონების საფუძვლიანობა, რაც სწორად აქვს გაგებული სახარების ავტორ მარკოზს, რომელიც შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ვინაიდან მის გულში კი არ შედის, არამედ მუცელში, და გარეთ გამოდის, რითაც წმიდა იყოფა ყოველი საზრდო“ (მარკოზი 7:19). უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ იესო უცვლელად განიხილავს ძველი აღთქმის რჯულს, როგორც ჭეშმარიტად ღვთის სიტყვას, ის ხშირად საუბრობს და იქცევა ისე, თითქოს ეს რჯული არის ის, რაც მასზე მიუთითებს; ის, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ის ასრულებს (მაგ.: მათე 5:17; ლუკა 24:44-47; იოანე 5:46).

3. ის ღვთის ახალი ტაძარია. ერთ დღეს ქრისტე აღაშფოთა იერუსალიმის ტაძარში გამართულმა ვაჭრობამ. მან ყველა გარეთ გამორეკა და მოვაჭრეებს უთხრა: „ნუ აქცევთ მამაჩემის სახლს სავაჭრო სახლად.“ ამან ქალაქის მესვეურების აღშფოთება გამოიწვია. იესოს თავისი საქციელის განმარტება მოსთხოვეს. „რა სასწაულით გვიჩვენებ, რომ შეგიძლია ამის ქმნა?“ რაზეც ქრისტემ საკმაოდ ორაზროვნად უპასუხა: „დაანგრიეთ ეს ტაძარი და სამ დღეში აღვადგენ მას” (იოანე 2:19). ეს სიტყვები იყო იესოს მითითება იმაზე, რომ ჯვარცმიდან მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა. ტაძარი იყო მისი ხალხისა და ღმერთის დიდი შეხვედრის ადგილი. ეს იყო მსხვერპლშეწირვის, ცოდვათა მონანიების ადგილი. იესო ამტკიცებდა, რომ ის იყო ტაძარი და რომ თავად გახდებოდა ღმერთისა და ხალხის დიდი შეხვედრის ადგილი. მისი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის გამო, ხალხი თაყვანს სცემდა ღმერთს მისი მეშვეობით. მისი აღდგომიდან ცოტა ხნის შემდეგ მისმა პირველმა მოწაფეებმა თაყვანი სცეს მას, როგორც „უფალსა და ღმერთს” (იოანე 20:28; იხ. აგრეთვე, მათე 28:16-17).

4. ის არის უზენაესი მსაჯული განკითხვის დღეს. იესო აცხადებს, რომ ის იქნება ჩვენი მსაჯული განკითხვის დღეს (მათე: 21-23; 25-31-34; იოანე 5:24-27) და ამით ის იღებს საკუთარ თავზე იმ ფუნქციას, რაც

> მხოლოდ ღმერთს აქვს. ისლამი ეთანხმება იმას, რომ განკითხვის დღეს ღმერთი გამოიტანს საბოლოო განაჩენს. ყურანში ღმერთი აღწერილია, როგორც „განკითხვის დღის მბრძანებელი“ (1:4). ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იესო საკუთარ თავს უწოდებს მას, ვის წინაშეც ადამიანი პასუხს აგებს საკუთარი ცხოვრებისათვის.

სახარების საფუძვლიანი შესწავლა არ ტოვებს არანაირ ეჭვს, რომ, როგორც თავად ქრისტე, ისე მისი მისია, განსაკუთრებულია. მისი განსაკუთრებულობა დევს თავად მის წოდებაში – „ძე ღვთისა“. ბიბლიაში მოყვანილი მტკიცებულებების გამო ქრისტიანები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ იწამონ სამპიროვანი ღმერთი (მოსიყვარულე მამა, მაცხოვარი ძე და კურთხეული სულიწმიდა), რომელიც არის ჩვენ ზევით, ჩვენთან და ჩვენში.

ქრისტიანული პასუხი ისლამურ კონტრარგუმენტებზე ქრისტესთან დაკავშირებით

წინა პარაგრაფში ჩვენ დავუშვით, რომ ყურანი სამართლიანად უარყოფს მცდარ წარმოდგენას სამებაზე – ღმერთის, მარიამის და იესოს სახით (5:116). თუ ბიბლიის მსგავსად, ყურანიც თავისთავად და თავისი ისტორიული კონტექტის მიხედვით უნდა განიმარტოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყურანის სხვა ტექსტი, სადაც უარყოფილია ე. წ. ქრისტიანული სამება, უნდა იყოს გაგებული, როგორც ერთგვარი გაკიცხვა ღმერთი-მარიამი-იესოს კონსტრუქციისა. ღმერთი არ არის სამი (ღმერთები) (4:171); იესო არ არის სამიდან (ღმერთებიდან) ერთ-ერთი (5:76); ქრისტე არ არის ძე ღვთისა (9:30); ღმერთი არ არის ქრისტე (5:17,72); და ღმერთი არც შობს და არც თავად არის შობილი (112:3). რასაც ყურანი რეალურად უარყოფს ასეთ ნაწყვეტებში, არის: ღმერთი-მარიამი-იესოს სამსახოვანი ბუნება, რომელიც არაბული პოლითეიზმის ქრისტიანულ ფორმად იყო მიჩნეული. ასეთი პოლითეიზმის მიხედვით, ღმერთს ჰყავდა მდედრობითი სქესის თანმხლები პირები (6:102; 72:3), ისევე, როგორც ქალიშვილები, რომელთაგან სამი რეალურად მოხსენიებულია (53:19-20; იხ. აგრეთვე: 16:57; 43:19; 53:27).

ყურანის გავრცელებიდან შემდგომ საუკუნეებში მუსლიმი თეოლოგები

აგრეთვე უარყოფდნენ სამების ბიბლიურ აღქმას იმ საფუძველზე, რომ ის ძირს უთხრიდა ერთი ღმერთის იდეას. მათ საამისოდ რამდენიმე არგუმენტი მოჰყავთ:

„ქრისტიანულ დოქტრინას აზრი არა აქვს“

„ღმერთი ან ერთია, ან სამი. ქრისტე ან ღმერთია, ან ადამიანი. შეუძლებელია, ის ერთდროულად ორივე იყოს. სიტყვა „სამება“ არც კი არის ნახსენები ბიბლიაში.“

ეს რაციონალისტური არგუმენტი გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან ისლამი არ არის რაციონალისტური რელიგია. ისლამი გულისხმობს საკუთარი თავით, მათ შორის, გონებით, ღმერთისადმი დამორჩილებას. იმან (რწმენა) ნიშნავს, გწამდეს ღმერთისა და მისი სიტყვის მაშინაც კი, როცა მისი გამოცხადება სცილდება ადამიანის გაგების შესაძლებლობის ფარგლებს. როდესაც მუსლიმები ამბობენ „ალაჰ აკბარ“, განა არ გულისხმობენ ამით, რომ ღმერთი უფრო მაღლა დგას ჩვენზე, მათ შორის ჩვენს ადამიანურ რაციონალიზმზე? მართალია, სიტყვა „სამება“ არის თეოლოგიური სიტყვა, რომელიც ქრისტიანებმა ღმერთისადმი საკუთარი რწმენის გამოსახატად აირჩიეს და ეს სიტყვა ბიბლიაში არსად არის ნახსენები, მაგრამ მისი მნიშვნელობა შესაბამისია ბიბლიის სწავლებასთან. სიტყვა თავჰიდიც *(Taẖrif)* (მონოთეიზმი) არ არის ნახსენები ყურანში, თუმცა მისი თეოლოგიური შინაარსი უდავოა და ეჭვს არ იწვევს მუსლიმებში. ბიბლიაში კავშირი მამას, ძესა და სულიწმიდას შორის არ არის იშვიათობა. მაგალითად, ვიდრე მოციქულებს დატოვებდა, იესომ მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა და დაავალა, მისი მოწმეები ყოფილიყვნენ:

> „მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც. მაშ, წადით, დაიმოწაფეთ ყველა ხალხი და ნათელი ეცით მათ მამის და ძის და სული წმიდის სახელით; ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც გამცნეთ; და, აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე“ (მათე 28:18-20).

„ღმერთისთვის განკაცება შეუფერებელია“

ზოგი მუსულიმი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ღმერთისთვის უბრალოდ შეუფერებელია, დაიმდაბლოს თავი და გახდეს ადამიანი. თუმცა, როგორც მუსლიმებს, ისე ქრისტიანებს სჯერათ, რომ ღმერთი არის დამო-

უკიდებელი და თავისუფლად შეუძლია გააკეთოს ის, რაც მას სურს. ხოლო ჩვენ, როგორც ღვთის მსახურებს, არ გვაქვს უფლება, ეჭვი შევიტანოთ ჩვენს შემოქმედში, რაოდენ ძნელად სარწმუნო არ უნდა იყოს მისი გამოცხადება. ამას ამტკიცებენ მუსლიმებიც: „მას არ მოეკითხება იმის გამო, რასაც იქმს, მათ კი მოჰკითხავენ იმას, რასაც აკეთებენ“ (21:23). მაშ, რა უფლება გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ ღმერთისთვის დამამცირებელია გახდეს ადამიანი (43:81)? თუ ჩვენ ღმერთს ადამიანური სტანდარტებით ვსაზღვრავთ, მის შესახებ საკუთარ წარმოდგენას ვქმნით. თუ ღმერთმა მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, დაიმდაბლოს თავი, რა უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მასში და დავუპირისპირდეთ მას? განა არ შექმნა მან კაცი და ქალი თავის ხატად (დაბ 1:26-27)? განა ეს შეუძლებელს ხდის, დაეუფლოს ამ ხატს და, ასე ვთქვათ, ბინა დაიდოს მასში? განა ყურანში არ არის ნათქვამი, რომ ღმერთმა კაცობრიობა თავის ხალიფად დანიშნა, როგორც მისი წარმომადგენელი დედამიწაზე (2:30)? რაკი ღმერთმა ასეთი ღირსებით შეგვქმნა, მისთვის არც წარმოუდგენელი და არც დამამცირებელია, გაიგივებული იქნას მის ადამიანურ არსებებთან.

„ქრისტე მხოლოდ სიმბოლურად არის ძე ღვთისა“

ზოგი მუსლიმი მეცნიერი აღიარებს, რომ ქრისტე განსაკუთრებული წინასწარმეტყველია, მაგრამ, მაშინ ყველა წინასწარმეტყველი თავისებურად განსაკუთრებულია. მათი მტკიცებით, ქრისტიანებმა არ უნდა აღიქვან პირდაპირი გაგებით წოდება „ძე ღვთისა“, რომელიც მას სახარებებში[23] მეტაფორულად აქვს მინიჭებული. ისინი მიუთითებენ, რომ მსგავსი წოდებით მოხსენიებულია ბიბლიაში ადამიც (ლუკა 3:38), მთავარანგელოზები (იობი 1:6), ისრაელი (გამ. 14:1), სოლომონი (2 სამ. 7:14) და თვით ქრისტეს მოწაფენი (ლუკა 6:35).

თუმცა, ეს არგუმენტი არ ითვალისწინებს, რომ იესო მოხსენიებულია, როგორც ღმერთის მხოლოდშობილი ძე (იოანე 3:16, 18). სათანადოდ არ არის შეფასებული ტექსტი, რომელიც ხაზს უსვამს ქრისტეს შობის, სახელების, მისიის, მტკიცებების და მკვდრეთით აღდგომის უნიკალურობას.

---

23 აბუ ჰამიდ ელ-ღაზალი ამ არგუმენტებს მიჰყვება თავის ცნობილ ტრაქტატში *Al-Radd al-jamil li- ilahiyyat `Isa bi-sarihi l-injil*, რედაქტირებული და თარგმნილი რ. შიდიაკის მიერ, იესო ქრისტეს ღვთაებრიობის შესანიშნავი უარყოფა სახარებაში, არაბულ-ფრანგული გამოცემა, პარიზი, 1939 *(Réfutation excellente de la divinité de Jésus-Christ d'après les évangiles* (Arabic-French ed.; Paris: Presses Universitaires de France, 1939).

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, მის შემდგომ ზეცად ამაღლებასა და ღმერთის მიერ მის აღსაყდრებას კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არა აქვს.

ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, გავაქარწყლოთ არსებული გარკვეული გაუგებრობა. იესოს ღვთაებრივი ძეობა არ არის ფიზიკური და არ ექვემდებარება ჟამთა ცვლას. ის უნდა აღვიქვათ არა პირდაპირ ან სიმბოლურად, არამედ სულიერად, რაც ნიშნავს შემდეგს:

1. იესო ღვთის ძეა არა იმიტომ, რომ ის სასწაულებრივად ჩაისახა მარიამში, არამედ მისი ამგვარად ჩასახვა მოხდა იმიტომ, რომ ის ღვთის მარადიული ძეა.

2. ღმერთმა ადამიანის ბუნება მიანიჭა ქრისტეს, როდესაც ის მარიამში ჩაისახა. ეს გულისხმობს, რომ იესო, როგორც ღვთაებრივი, ისე სრულიად ადამიანური არსებაა და მისი ყურანისეული სახელი „ისა ბენ მარიამი“ (იესო, ძე მარიამისა), სავსებით გამართლებულია.

3. არ შეიძლება ღმერთი დავიყვანოთ მხოლოდ ძის პიროვნებამდე. მართალია, ქრისტე არის ღმერთი (მისი ღვთაებრივი ბუნებიდან გამომდინარე), მაგრამ ფორმულირება – ღმერთი არის ქრისტე (თითქოს ღმერთი გაილია ქრისტეში) სწორი არ არის. ღმერთი არის მამა, ძე და სულიწმიდა.

4. ღმერთის ძის განკაცება სულაც არ გულისხმობს კაცის ღმერთად გადაქცევას. განკაცება სწორედ ადამიანის გაღმერთების საპირისპირო ცნებაა. პირველი გულისხმობს ღმერთის თვითდამდაბლებას, ხოლო მეორე – ადამიანის ღმერთის დონემდე აყვანას.

5. იესო ქრისტეს პიროვნებაში გაერთიანებულია მისი ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება. ქრისტიანები თაყვანს სცემენ ქრისტეს პიროვნებას და არა მის ღვთაებრივსა თუ ადამიანურ ბუნებას. ამ მთლიანობით არ ხდება ადამიანის ბუნების გაღმერთება და არც ღვთაებრივი ბუნების ადამიანურად გარდაქმნა. ეს ორი ბუნება არის განსხვავებული, მკაფიოდ განსაზღვრული და არ ხდება ერთმანეთში მათი აღრევა. ამგვარად, თავიანთ თაყვანისცემაში ქრისტიანები არ

აიგივებენ შემოქმედს იმასთან, რაც მან შექმნა.

6. ღმერთი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ერთიც და სამიც, რაც ცნებათა შეუსაბამობას გამოიწვევს. მასში გაერთიანებულია ერთი ბუნება და სამი პიროვნება. წმინდა სამებაში იგულისხმება მოსიყვარულე ღმერთი, მისი მარადიული სიტყვა და ცოცხალი სული.

7. გამოთქმა „ძე ღვთისა“ ბიბლიაში კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა რამეს აღნიშნავს (როგორც უკვე აღვნიშნეთ). ასევე, მას აქვს სხვადასხვა ელფერი, მაშინაც კი, როდესაც ის აშკარად ქრისტეზე მიუთითებს. ახალი აღთქმის ზოგიერთ მონაკვეთში ის მოწოდებულია, დაადასტუროს, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი, დიდი ხნის ნანატრი დავითის შთამომავალი მეფე. ეს ყველაზე ნათლად ჩანს ისეთ ფრაგმენტებში, როგორიცაა 2 მეფეთა 7:11ბ-16; ფსალმუნი 2 და ესაია 9.

4. ცოდვა და მიტევება

იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი გვასწავლის, რომ ადამიანები მორალურად ანგარიშვალდებულნი არიან მათი შემოქმედისა და მსაჯულის წინაშე. მათ მოეთხოვებათ ღმერთის მიერ გამოცხადებული რჯულისადმი მორჩილება. ამ რჯულისადმი დაუმორჩილებლობას ეწოდება ცოდვა. სამივე რელიგიაში ღმერთი ცნობილია, როგორც მიმტევებელი. ამ პარაგრაფში განხილულია ადამიანური ცოდვა, ღვთაებრივი მიტევება და მათი ურთიერთკავშირი ქრისტიანობასა და ისლამში.[24]

ცოდვა ქრისტიანობასა და ისლამში

ცოდვის განმარტება

ცოდვა არის ღმერთის მცნებების დაუმორჩილებლობა (1 იოანე 3:4). ის არღვევს ჩვენს ურთიერთობას შემოქმედთან, სხვა ადამიანებთან, გარემოსთან და საკუთარ თავთან. ქრისტიანობაში ღმერთი არა მარტო უკმაყოფილოა, როდესაც ჩვენ ვცოდავთ, არამედ ის გლოვობს ამის გამო. ცოდვა უშუალოდ მას აყენებს ზიანს. საბოლოო ჯამში, ჩვენი დანაშაული შეურაცხყოფს თავად რჯულისმდებელს, ჩვენს ზეციერ მამას (ფსალმ. 51:4; ლუკა 15:18). ისლამში ცოდვილი ავნებს მხოლოდ საკუთარ თავს (65:1). ჩვენი საქციელი ღმერთს არ აყენებს ზიანს, რადგან ის ადამიანურ არსებებზე ბევრად მაღლა დგას.

ისლამური სწავლება ცოდვას ხსნის კაცთა უგუნურობის, სისუსტისა და ვერშეფასების, არასწორად მსჯელობის თვალსაზრისით. შესაძლოა, ყოველივე ზემოაღნიშნული სიმართლეს შეესაბამებოდეს, მაგრამ ბიბლიის შეფასება ცოდვასთან დაკავშირებით უფრო ღრმად სწვდება ადამიანის გულს. ცოდვის შემთხვევაში საქმე ეხება ღმრთისადმი ჩვენს შინაგან დამოკიდებულებას. ჩვენ გვსურს, ვიცხოვროთ ჩვენი გზით, ნაცვლად იმისა, რომ ვაღიაროთ ჩვენი მისდამი დამოკიდებულება. გვსურს, თავად გადავწყვიტოთ, რა არის კარგი თუ ცუდი, იმის ნაცვლად, რომ ვენდოთ მას. სწორედ ეს არის ჩვენი დანაშაულისა და მანკიერი ქცევის მიზეზი.

---

24 ამ პარაგრაფში წარმოდგენილია მოკლე მიმოხილვა ჩემი წიგნისა: *„პატიების ძიებაში: მიტევება და სასჯელი ისლამსა ქრისტიანობაში“ (The Search for Forgiveness: Pardon and Punishment in Islam and Christianity;* Leicester: IVP, 2004).

ცოდვის სიმძიმე და სასჯელი

ისლამის ძირითადი მიმდინარეობა ყველა ცოდვას მძიმე დანაშაულად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, აშკარაა ის თუ დაფარული. ცოდვა მართლაც წარმოადგენს ღმერთის რჯულის უხეშ დარღვევას; ღმერთისა, რომელიც ყოველთვის ხელგაშლილია ჩვენდამი და არის ჩვენი უზენაესი მსაჯული.

ხალხი დაისჯება მათი ცოდვებისათვის სიკვდილის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ღმერთი არ გადაწყვეტს, მიუტევოს მათ. ერთადერთი ცოდვა, რომელსაც ღმერთი არასოდეს აპატიებს (თუ ადამიანი არ მოინანიებს მას), შირქი (shirk) ანუ პოლითეიზმია (4:48). კაცი, რომელიც ამ ცოდვას ჩაიდენს, სამარადისო ტანჯვისთვის არის განწირული.

მუთაზილიტური თეოლოგია (ტრადიციული ისლამის ალტერნატიული გამოხატულება) ცოდვებს ძირითად (კაბაირ/kaba'ir) და მცირე (საღაირ/sagha'ir) ცოდვებად ყოფს. ამათგან მხოლოდ ძირითადი ცოდვებია მძიმე ცოდვები და ერთი ცოდვის გამო ადამიანი შეიძლება ჯოჯოხეთში აღმოჩნდეს, თუ ის არ მოინანია. ადამიანმა არ იცის ყველა ძირითადი ცოდვის შესახებ. ეს უცოდინარობა დაბრკოლებას წარმოადგენს: რომ ვიცოდეთ ყველა ძირითადი ცოდვის შესახებ, მეტი ალბათობით შევ-ძლებდით მათთვის თავის არიდებას. წინასწარმეტყველური ტრადიცია ასახელებს შვიდ ძირითად ცოდვას, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად მეტია.[25] ძირითად ცოდვებს შორის არის პოლითეიზმი (22:31), ღალატი, მრუშობა, ქურდობა, მკითხაობა, მკვლელობა (4:93), ობოლთა ქონების უსამართლოდ მითვისება და მოხმარება (4:10), მევახშეობა (2:275), ბრძოლის ველიდან გაქცევა (8:15), გათხოვილი მუსლიმი ქალის ცი-ლისწამება (24:23), მშობლის ურჩობა, ტყუილის თქმა, ცრუ ფიცის დადება, ღვინის სმა და ღვთის წყალობის ბოროტად გამოყენება ან მისი იმედის დაკარგვა, სასოწარკვეთილება.

ბიბლიის მიხედვით, ცოდვისათვის სასჯელი არის სულიერი და ფიზიკური სიკვდილი ამ ცხოვრებაში და მის შემდგომ. ღმერთმა ადამსა და ევას აუკრძალა „კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის" ნაყოფის ჭამა. უთხრა

---

25 მუსლიმი, იმან *(Muslim, iman)* [რწმენა], 37. ეს სწავლება არც თუ ისე განსხვავდება კათოლიკური დოქტრინისაგან მძიმე (ან სასიკვდილო) ცოდვებისა და მისატევებელი ცოდვების შესახებ.

მათ: „არ შეჭამო, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდებით“ (დაბ. 2:17); (იხ. აგრეთვე: რომ. 6:23). ყურანში გადმოცემულ ადამისა და ევას დაუმორჩილებლობის ამბავში აღნიშნულ გაფრთხილებას ვერ ნახავთ. ბიბლიის მსგავსად, ყურანში ნათქვამია, რომ ღმერთმა გააძევა ადამი და ევა სამოთხიდან მათი ურჩობის შემდეგ (დაბ. 2:23-24; ყურანი 2:36; 7:24; 20:123), თუმცა, მუსლიმი მეცნიერები მიანცდამაინც სასჯელად არ მიიჩნევენ ამ განდევნას. სინამდვილეში ორივემ, ადამმაც და ევამაც, მოინანიეს თავიანთი ცოდვა და ღმერთმა მიუტევა მათ.

ცოდვის არეალი

მუსლიმი თეოლოგები ხშირად ეწინააღმდეგებიან ქრისტიანულ დოქტრინას „პირველშობილი ცოდვის“ შესახებ. მათი მტკიცებით, თითოეული ადამიანი თავად აგებს პასუხს საკუთარ ქმედებებზე და როგორც ყურანშია ნათქვამი: „თითოეული სული მხოლოდ საკუთარი თავისათვის მოინაგრებს და არ ასწევს მტვირთებელი სხვათა ტვირთს“ (6:164). ისლამური სწავლების მიხედვით, ყველა ადამიანი უცოდველი იბადება. ადამიანები ცოდვის მქნელნი არიან და არა ცოდვილნი.

ქრისტიანები აცხადებენ, რომ ყველა ადამიანი ერთი ოჯახის წევრია. როცა ჩვენი მშობლები, ადამი და ევა, არ დაემორჩილნენ ღვთის ნებას, მათმა ცოდვამ გავლენა იქონია არა მარტო მათზე, არამედ მათ შთამომავლებზე. ადამის ვაჟის, აბელის არაპროვოცირებული მკვლელობა საკუთარი ძმის – კაენის მიერ, ამის მწარე დემონსტრირებაა (დაბ. 4:1-16; იხ. აგრეთვე: ყურანი 5:30-34). ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანი დაბადებიდანვე ცოდვისკენ არის მიდრეკილი. მისი მანკიერი ბუნება უბიძგებს, ჩაიდინოს ცოდვა. იესო განმარტავს, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ასახავს, თუ ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში: „ვინაიდან შიგნიდან, კაცის გულიდან გამოვლენ: ბოროტი ზრახვანი, მრუშობანი, პარვანი, კაცისკვლანი, სიძვანი, ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, გარყვნილება, თვალის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, უგუნურება“ (მარკოზი 7:21-22).

ყურანში ნათქვამია, რომ „სული სიავისკენ არის მიდრეკილი“ (12:53). ადამიანი თავნებაა და უმადური (70:19), შარიანი (18:54) და ურჩი (96:6). როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, კიდევ ერთი მუსლიმური წინასწარმეტყველური გამონათქვამი ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანს (იესოს და მარიამის გარდა) დაბადებისთანავე შეეხო სატანას ხელი. გარდა ამისა, ყურანი ხაზს უსვამს ცოდვის უნივერსალურობას. ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ

და ვიმსახურებთ ღვთის განაჩენს: „რომ დაესაჯა ღმერთს ხალხი მათი ცოდვებისათვის, ერთ ცხოველსაც კი არ დატოვებდა ქვეყანაზე, მაგრამ უვადებს იგი განსაზღვრულ ჟამამდე“ (16:61). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც შეეხება ადამიანის ცოდვათა მასშტაბებსა და სიღრმეს, ქრისტიანული დოქტრინა და ყურანის სწავლების ზოგიერთი ტექსტი არც თუ ისე შორს არის ერთმანეთისგან, როგორც ამას ქრისტიანები და მუსლიმები დაჟინებით ამტკიცებენ. მიუხედავად ამისა, ბოროტისეული ძალა და მისი მრავალფეროვანი გამოვლინება ადამიანში, მათ შორის რელიგიურ ხალხში, უფრო ნათლად არის ასახული ბიბლიაში, ვიდრე ყურანში.

ცოდვათა მონანიება

ქრისტიანებსა და მუსლიმებს მოეთხოვებათ, აკეთონ კეთილი საქმეები, თუმცა, კეთილ საქმეებს ორივე რელიგიაში განსხვავებული დატვირთვა აქვს. ისლამში მათ გამოსყიდვის მნიშვნელობა ენიჭება, მათი მეშვეობით ხდება ბოროტი ქმედების კომპენსირება, რადგან „კეთილი საქმენი აქარწყლებენ სიავეთ“ (11:114). კეთილი საქმეების შედეგით, უპირველეს ყოვლისა, სარგებლობს მათი ავტორი.

ქრისტიანულ სარწმუნოებაში ეს ასე არ არის. ჩვენ ცოდვების გამოსყიდვის უფლება არ გვაქვს (ესაია 64:6; რომ. 3:20). ჩვენი კეთილი საქმენი მიუთითებს იმას, რომ ჩვენი რწმენა მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს ცხოვრებას. ჩვენი გარდაქმნილი ცხოვრება გვიჩვენებს ღმერთის რეალურ ნამუშევარს ჩვენს გულში. ისევე, როგორც ცხოვრების ხე, ჭეშმარიტი რწმენაც, ბუნებრივია, კარგ ნაყოფს იძლევა: „როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ისე რწმენაც მკვდარია საქმეების გარეშე“ (იაკობი 2:26; იხ. ეფეს. 2: 8-10).

ცოდვების მიტევება ისლამში

ღვთაებრივი უზენაესობა, სამართლიანობა და მოწყალება – ეს ყველაფერი შეესაბამება ცოდვათა ღვთაებრივ პატიებას, როგორც ისლამში, ისე ქრისტიანობაში. მუსულიმები ზოგადად გამოყოფენ ამ სამი ატრიბუტიდან ერთს, რომელიც განსაზღვრავს მათ წარმოდგენას ღვთის შენდობაზე. ეს ატრიბუტიკა დამახასიათებელია ისლამური იდეოლოგიის სამი ძირითადი სკოლისთვის: აშაარიზმი, მუთაზილიზმი და სუფიზმი.

ღმერთი უზენაესია: ის საბოლოოდ შეუნდობს ყველა მუსლიმს

მუსლიმ თეოლოგთა უმრავლესობა ღმერთის უმთავრეს ატრიბუტად მის უზენაესობას მიიჩნევს. მას მოწყალებასა და სამართლიანობაზე წინ აყენებენ. ღმერთი უფლებამოსილია, აკეთოს ის, რაც უნდა: „შეუნდობს იმას, ვისაც ინებებს, და დასჯის იმას, ვისაც ინებებს“ (2:284; იხ. აგრეთვე: 3:129; 5:20; 43; 48:14). მისი შენდობა დამოკიდებულია მის კეთილ ნებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შირქი (პოლითეიზმი) არის ერთადერთი ცოდვა, რასაც უფალი არ პატიობს: „ღმერთი არ მიუტევებს იმას, ვინც მას რამეს ჩაუზიარებს და მიუტევებს ამის გარდა იმას, რასაც ინებებს“ (4:48).

როგორც მონოთეისტურ მორწმუნეებს, მუსლიმებს არ მიუძღვით დანაშაული ერთადერთი მიუტევებელი ცოდვის ჩადენაში. აქედან გამომდინარე, მათი ყველა ცოდვა, პრინციპში, ექვემდებარება შენდობას. შეუნდობს კი უფალი ურჩ და მოუნანიებელ მუსლიმებს მათ ცოდვებს განკითხვის დღეს? ამის პასუხი არავის აქვს, რადგან არავის შეუძლია ღვთის გადაწყვეტილების განსაზღვრა. მან შეიძლება მიუტევოს ყველა ცოდვა და ისინი სამოთხეში აღმოჩნდებიან; ან შეიძლება არ შეუნდოს და ისინი ჯოჯოხეთში წავლენ. ღმერთი გაამხელს თავის საბოლოო განაჩენს მხოლოდ განკითხვის დღეს.

ღმერთი აგრეთვე მოწყალეა. ღვთის წყალობის დადასტურება იქნება ის, რომ ღმერთი არ მიუსჯის ურჩ მუსლიმებს საუკუნო სასჯელს. ისინი გამოისყიდიან თავიანთ ცოდვებს, გამოვლენ ჯოჯოხეთიდან და წავლენ სამოთხეში, სადაც სხვა მუსლიმებთან ერთად გაიზიარებენ მარადიულ ბედნიერებას.[26] სამსჯავრო დღეს ღვთის წყალობა იქნება ასევე ნაჩვენები, როდესაც ის მოციქულისგან თავისი ხალხის მეოხებას მიიღებს. მუჰამედი ღვთის შენდობას სთხოვს იმ მუსლიმებისთვის, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ: „მე ვიქნები მეოხე ჩემი ერის იმ წარმომადგენლებისა, ვისაც მძიმე ცოდვა აქვს ჩადენილი”.[27]

მუჰამედის მეოხება ეფუძნება მის პირად პრივილეგიებს. ის უკანასკნელი წინასწარმეტყველია (33:40) და ღმერთმა მას ყველა ცოდვა უკვე მიუტევა (48:2). წინასწარმეტყველის მეოხების შედეგად ღმერთი ბევრ მუსლიმს მიუტევებს მათ ცოდვებს. ისინი ან პირდაპირ სამოთხეში აღმოჩნდებიან,

26 ბუხარი, იმან (Bukhari, *iman*)[რწმენა], 34.
27 აბუ დავუდი, სუნა (Abu Dawud, *sunna*) [ქცევა], 23.

ან მათი ჯოჯოხეთში ყოფნის პერიოდი უფრო ხანმოკლე იქნება. ამრიგად, ღვთის წყალობა, ერთგვარად, ცოდვილი მუსლიმებისთვის დროებითი სასჯელის ფორმას მიიღებს.[28]

ღმერთის სამართალი იქნება მარადიული ბედნიერება მუსლიმებისთვის და საუკუნო სასჯელი არამუსლიმებისათვის.

ღმერთი სამართლიანია: ის მიუტევებს მხოლოდ მორჩილ მუსლიმებს

მუთაზილიტ თეოლოგებს განსხვავებული ხედვა აქვთ ღმერთის შენდობასთან დაკავშირებით. ისინი ღმერთის მთავარ ატრიბუტად სამართლიანობას მიიჩნევენ, რომელიც მის მოწყალებასა და უზენაესობაზე მაღლა დგას. მკვდრეთით აღდგომის დღეს ღმერთი თავისი ჭეშმარიტი სამართლიანობით განსჯის ყველას. მუსლიმებს არ მიენიჭებათ რაიმე უპირატესობა მათი სარწმუნოების გამო (99:7-8; იხ. აგრეთვე: 10:61; 21:47; 34:3).

მუთაზილიტური სწავლების მიხედვით, შეუნდობელია არა მხოლოდ პოლითეიზმი, არამედ ძირითადი, დიდი ცოდვებიც, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი არ მოინანიებს მათ. მძიმე ცოდვების შენდობა ერთგვარად ეჭვს ქვეშ დააყენებდა ღმერთის სამართლიანობას. ადამიანმა თავი უნდა აარიდოს ცოდვებს, განსაკუთრებით იმ ძირითად, მძიმე ცოდვების ჩადენას, თუ მას სამოთხეში მოხვედრის რაიმე იმედი აქვს: „ხოლო თუ მოერიდებით იმ დიდს (ცოდვებს), რაც ღვთისაგან აგეკრძალათ, მაშინ განგწმენდთ იგი სიავეთაგან და შეგაბრძანებთ (სამოთხის) კურთხეულ შესასვლელში“ (4:31). ერთი მოუნანიებელი დიდი ცოდვის გამო ადამიანი მარადიულ სასჯელისთვის იქნება განწირული. დიდი ცოდვებისგან განსხვავებით, ადამიანმა მცირე ცოდვა შეიძლება გამოისყიდოს კეთილი საქმეებით, რადგან „კეთილი საქმენი აქარწყლებს სიავეთ“ (11:114). იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს არა აქვს ჩადენილი დიდი ცოდვა, ღმერთი შეუნდობს მას მცირე ცოდვას მაშინაც კი, თუ ის არ მოინანიებს მას, რადგან ეს ძირს არ უთხრის მის სამართლიანობას.

28 ამ თეოლოგიაში მოყვანილი დროებითი სასჯელი ჯოჯოხეთში ანალოგიურია რომაულ-კათოლიკური სალხინებელისა, ხოლო წინასწარმეტყველის მეოხება შედარებულია რომაულ-კათოლიკურ „წმინდანთა მეოხებასთან“.

მუთაზილიტი თეოლოგები უარყოფენ მოსაზრებას ჯოჯოხეთში დროებითი სასჯელის შესახებ. მათი განცხადებით, ყურანში არაფერი ადასტურებს ამ მოსაზრებას, ხოლო ის, რაც ჰადისებშია მოთხრობილი ამის შესახებ, არ არის სარწმუნო. იმავე მიზეზით ისინი უარყოფენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წინასწარმეტყველი იქნება მეოხი იმ ბიწიერი მუსლიმებისა, რომელთაც მძიმე ცოდვა აქვთ ჩადენილი. ღმერთის მიერ დიდი ცოდვების მიტევება იქნებოდა მის მიერ საკუთარ სამართლიანობაზე უარის თქმა.

მუთაზილიტურ თეოლოგიის მიხედვით, ღმერთის სამართლიანობა გულისხმობს, რომ სამოთხეში მოხვედრა მუსლიმებისთვის არ არის გარანტირებული. თუ ღმერთის სასჯელს იმსახურებენ, ჯოჯოხეთში სამუდამოდ დარჩებიან. თუმცა, არამუსლიმებისგან განსხვავებით, მათი ტანჯვა შემსუბუქებული იქნება.

ღმერთი მოწყალეა. ის საბოლოოდ ყველა ადამიანს შეუნდობს

სუფიზმი ანუ ისლამური მისტიციზმი მუსულმანური სამყაროს მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. სუფიზმის მიხედვით, ღმერთის მთავარი ატრიბუტი მისი მოწყალეაა. იბნ არაბი (638/1240) მოწყალებას ღმერთის განმსაზღვრელ ატრიბუტად მიიჩნევს. „ის არის მოწყალეთაგან უმოწყალესი“ (7:151) და „მოწყალეთაგან საუკეთესო“ (23:109). მისი მოწყალება „მოიცავს ყველაფერს“ (7:156), „მან მოწყალება დაუწესა თავისთავს“ (6:12; 54). ღმერთის მოწყალება ყოვლისმომცველია; როდესაც ის ადამიანთა ცოდვების მიტევებაში გამოიხატება, მას საზღვარი არ გააჩნია: „უთხარი: ო, ჩემო მონებო, ვინც თავს გახვედით საკუთარი თავის წინააღმდეგ! ღმერთის მოწყალების იმედს ნუ გადაიწყვეტთ; ღმერთი ხომ შეუნდობს ცოდვებს მთლიანად. იგი, ჭეშმარიტად, მიმტევებელია, მწყალობელი“ (39:53).

იბნ არაბის მიხედვით, ეს ტექსტი ცხადყოფს, რომ არც ერთი ცოდვა, პოლითეიზმიც კი, არ დარჩება უპატიებელი ღმერთის მიერ. ის ასევე ცხადყოფს, რომ ღვთის პატიება უპირობოა: ის არ არის დამოკიდებული იმაზე, მოინანიებს ადამიანი ცოდვას, თუ არა. საბოლოოდ, ის არის ყველაზე სრულყოფილი, რადგან მოიცავს ყველას. ღვთის სამართალი შესრულდება მკვდრეთით აღდგომის დღეს, ცოდვილი მუსლიმები და არამუსლიმები ჯოჯოხეთში წავლენ, თუმცა, მათი სასჯელი მარადიული რომ ყოფილიყო, ღვთის წყალობა ამით შეილახებოდა. მისი წყალობა

ისეთია, რომ ის აუცილებლად დაასრულებს ხალხის ტანჯვას. ურჩი მუსლიმი და სხვა მონოთეისტი მორწმუნე გამოვა ჯოჯოხეთიდან და წავა სამოთხეში. დანარჩენები ჯოჯოხეთში დარჩებიან, თუმცა ჯოჯოხეთი თავად გარდაიქმნება. ეს აღარ იქნება დაუსრულებელი ტანჯვის ადგილი. სანაცვლოდ, ის იქცევა ადგილად, სადაც ხალხს ექნება სხვადასხვა სახის მარადიული ბედნიერება.

იბნ არაბი მიიჩნევს, რომ წინასწარმეტყველი არის შუამავალი ღვთის დიდი წყალობისა: „შენ კი მოწყალებად წარმოგგზავნეთ სამყაროთათვის“ (21:107; იხ. აგრეთვე: 34:28). მუჰამედი იყო უკანასკნელი წინასწარ-მეტყველი ფიზიკური გამოცხადების თვალსაზრისით ახ.წ.-ის VI საუკუნეში. თუმცა, ის ასევე პირველი წინასწარმეტყველია, რადგან მისი არსებობა ადამის შექმნის პერიოდით თარიღდება. იერარქიული თვალსაზრისით, მუჰამედი პირველი წინასწარმეტყველია და ყველა წინასწარმეტყველი მისი მოადგილეა. ისინი შესაბამის ხალხს მოევლინნენ, მუჰამედი კი – მთელ კაცობრიობას. ყველა წინასწარმეტყველი უცოდველია და მუჰამედი კი მთავარი წინასწარმეტყველია. ადამიანთა ცოდვები მას ეკუთვნის, როგორც მათ მეთაურსა და წარმომადგენელს. მისი „წარსული ცოდვები“ არის ხალხის ცოდვები ადამიდან მოყოლებილი მის დღემდე, ხოლო „მომავალი ცოდვები” არის ხალხის ცოდვები იმ დღიდან მოყოლებული მკვდრეთით აღდგომამდე. „ღმერთი შეუნდობს მუჰამედს წარსულ და მომავალ ცოდვებს“ (48:2) თავისი ერის (კაცობრიობის) მეოხების საპა-სუხოდ. ღვთის საყოველთაო პატიება მისი „უდიდესი მადლით მოსილების” (2:105) დასტური იქნება.

ცოდვების მიტევება ქრისტიანობაში

იბნ არაბის აქცენტი ღვთის უპირობო და საყოველთაო მოწყალებაზე ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს ღვთის სიყვარულის ქრისტიანულ დოქტრინას. თუმცა, იბნ არაბის შეხედულება წინასწარმეტყველის, როგორც ღვთის სიყვარულის შუამავლის, საკვანძო როლთან დაკავშირებით მკვეთრად ეწინააღმდეგება ბიბლიას, რომელიც ამ როლს იესო ქრისტეს ანიჭებს (იოანე 3:16; 1 ტიმ. 2:5; იხ. აგრეთვე: 1 იოანე 4:8). უფრო მეტ გაოცებას იწვევს ის, თუ რის საფუძველზე მიუტევებს ბიბლიური ღმერთი ცოდვას: ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ ის იმდენად „მოწყალეა”, რომ მზად არის თვალი დახუჭოს ცოდვაზე, არამედ იმიტომ, რომ თავისი ძის სახით ის

ცოდვისთვის სასჯელს თავად იხდის. ამგვარად შენარჩუნებულია როგორც ღვთის სიწმინდის, ისე ღვთის მადლის სრულყოფილება: წმინდა ღმერთი მოითხოვს ცოდვისთვის სასჯელს და შემდეგ, მისი ძის სახით, თავად იხდის ამ სასჯელს. ახალ აღთქმაში იესო ქრისტე წარმოდგენილია, როგორც ერთადერთი შესაფერისი შუამავალი ღმერთსა და კაცობრიობას შორის. ამას სამი მიზეზი აქვს: ის არის ერთადერთი უცოდველი ადამიანი, რომელიც ოდესმე არსებობდა (იოანე 10:46; ებრ. 7:26; 9:14); მან თავი შესწირა ჩვენი ცოდვებისათვის (1 იოანე 2:1-2; ებრ. 2:17-18); და (როგორც ვნახეთ), იგი ღვთის მარადიული ძეა და არა მხოლოდ წინასწარმეტყველი.

ამ საკითხთან მიმართებით განსხვავება ბიბლიასა და იბნ არაბის თეოლოგიურ თეორიას შორის წარმოუდგენლად დიდია. რაც შეეხება ცოდვების მიტევების საკითხს და იბნ არაბის მიერ ღვთის დიდ წყალობაზე ყურადღების გამახვილებას, ის მუსლიმებს შორის ქრისტიანობისადმი უახლოეს მიდგომას წარმოადგენს. მუსლიმთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ რაოდენ მოწყალეც არ უნდა იყოს ღმერთი, ცოდვილებმა თავიანთი კეთილი საქმეებით ცოდვები თავად უნდა გამოისყიდონ.

ქრისტეს, როგორც მაცხოვრის, მისიას წინასწარმეტყველებდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები (მაგ.: ესაია 53:4-12; იხ. აგრეთვე: მათე 26:54; ლუკა 24:44-47). ის მიიცვალა ჯვარზე, როგორც „ტარიგი ღმრთისა, რომელიც იტვირთავს ქვეყნის ცოდვებს“ (იოანე 1:29). მის მიერ ცოდვებისთვის მსხვერპლის გაღება ნაწინასწარმეტყველები იყო მოსეს რჯულში (ეს მსხვერპლშეწირვა აგრეთვე ნახსენებია ყურანის მეორე სურაში, რომლის ზუსტი სახელწოდებაა „დეკეული“ ან „ძროხა“ [აია 67-71; იხ. აგრეთვე: რიცხვ. 19:1-10].)

ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა ქრისტე და აღამაღლა ის თავის სასუფეველში. მისი აღდგომა და ამაღლება არის იმის დასტური, რომ მან სრულყოფილად შეასრულა თავისი მისია. ის შესაფერისი შუამავალია და კარგი მეოხია. ზეცად ამაღლებით ის გახდა ჩვენი მეოხი ღმერთთან: „მერედა, რას ვიტყვით ამაზე? თუკი ღმერთი ჩვენსკენაა, მაშ, ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ? ის, ვინც თავისი ძეც არ დაინდო, არამედ ყველა ჩვენგანისთვის გასწირა იგი, როგორღა არ მოგვანიჭებს მასთან ერთად ყოველს? ვინ გაამტყუნებს ღვთის რჩეულთ? თვით ღმერთი ამართლებს მათ. ანდა ვინ არის მსჯავრმდები? ქრისტე იესო მოკვდა, მაგრამ აღდგა

კიდეც: იგია ღვთის მარჯვნივ, იგია მეოხი ჩვენი“ (რომ. 8:31-34); (იხ. აგრეთვე: ებრ. 7:23-28.)

ისლამური კონტრარგუმენტი ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით

ქრისტეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა არის ის ორი ძირითადი მოვლენა, რაც ღვთის მიტევებას უკავშირდება: „რადგანაც ღმერთმა ქრისტეში შეირიგა ქვეყანა, არ შეურაცხა ხალხს მისი ცოდვები და მოგვცა ჩვენ შერიგების სიტყვა“ (2 კორ. 5:19). თუმცა, მუსლიმების აზრით, ქრისტე არც მომკვდარა და არც ჯვარზე გაუკრავთ. ეს მოსაზრება ეფუძნება ყურანის შემდეგ ტექსტს:

> „და მათი [ანუ ებრაელების] სიტყვების გამო – ჩვენ მოვკალით ალ-მასიჰ ისა იბნ მარიამი (იესო მარიამის ძე) – მოციქული ღმერთისაო; მაშინ, როცა არც მოუკლავთ და არც ჯვარს გაუკრავთ, არამედ მათ ასე მოეჩვენათ... ის კი-ნამდვილად-არ მოუკლავთ! არამედ აღამაღლა ღმერთმა თავისთან და ღმერთი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი!“ (4:157-158).

ისლამური ტრადიციის თანახმად, ვიდრე იესოს დააკავებდნენ, ღმერთი ჩაერია თავისი წინასწარმეტყველის გადარჩენაში. მან გაამართლა იესო და ცოცხალი წაიყვანა ცათა სასუფეველში. მან შექმნა იესოს მსგავსი ადამიანი. ვერც რომაელი ჯარისკაცები და ვერც ებრაელები მიხვდნენ, რომ კაცი, რომელიც ჯვარს აცვეს, არ იყო იესო: „მათ მოეჩვენათ, რომ ჯვარზე გააკრეს იესო”. სამყაროს დასასრულს იესო დაბრუნდება დედამიწაზე. მას ახალი მისია დაეკისრება, რომელიც, პირველისგან განსხვავებით, მეტად წარმატებული იქნება. მას მოუწევს ანტიქრისტესთან შერკინება და ის საბოლოოდ დაამარცხებს მას. იგი განახორციელებს ისლამურ რჯულს და გარკვეული პერიოდი იბატონებს დედამიწაზე. მაშინ ირწმუნებენ ებრაელები მას, როგორც ღვთის წინასწარმეტყველს და ქრისტიანები დარწმუნდებიან, რომ ის არ არის ძე ღვთისა. მაშინ გააცნობიერებენ ებრაელებიც და ქრისტიანებიც, რომ ის არ აცვეს ჯვარს. ის ჩვეულებრივად იცხოვრებს, ვიდრე არ მოკვდება. მუსლიმები მას მუჰამედის გვერდით მედინაში დაკრძალავენ. მისი სიკვდილი მკვდრეთით საყოველთაო აღდგომისა და განკითხვის დღის მოახლოების ნიშანი იქნება (43:61).[29]

---

29 ბუხარი, ანბია (Bukhari, *anbiya'*) [წინასწარმეტყველები], 50; მუსლიმი, ფიტან (Muslim, *fitan*) [ამბოხი], 23.

ყურანში არ არის მოცემული, თუ რა მიზეზით გადაარჩინა ღმერთმა იესო, მაშინ, როცა დაუშვა ბევრი სხვა წინასწარმეტყველის განადგურება ებრაელების მიერ (2:61,91; 3:21,112,181; 4:155; 5:73). მუსლიმი თეოლოგები აპროტესტებენ იესო ქრისტეს ჯვარცმას იმ საბაბით, რომ ის ძირს უთხრის ღვთის ატრიბუტებს:

1. ღმერთის მიერ მისი წინასწარმეტყველის დაღალატება მისადმი ერთგულებასშეარყევდა.

2. მტერს რომ იესო მოეკლა, ღვთის ძლევამოსილება ეჭვქვეშ დადგებოდა.

3. ღვთის უზენაესობა ისეთია, რომ მას არ სჭირდება თავგანწირვა ცოდვათა მისატევებლად (4:48), აქედან გამომდინარე, იესოს სიკვდილი საჭირო არ იყო.

4. ღვთის სამართლიანობა გამორიცხავს იესოს გამომსყიდველურ სიკვდილს ორი მიზეზით. პირველ რიგში, მიუღებელია ვინმეს დასჯა ცოდვებისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია და მეორე, ღმერთი ყველას მოსთხოვს პასუხს მათ ქმედებებზე (6:164; 99:7-8).

ქრისტიანული პასუხი

ქრისტეს ჯვარცმის ისტორიული ჭეშმარიტება ოთხ სახარებას ეფუძნება, რომელთა უტყუარობაში სერიოზული ეჭვის შეტანა შეუძლებელია (როგორც ეს 1-ლი თავიდან ჩანს). ქრისტიანებს სწამთ, რომ ქრისტეს ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა სრულფასოვნად ასახავს ღმერთის ყველა ატრიბუტს: მისი სამართლიანობა ვლინდება იმაში, რომ მან გაამართლა ქრისტე, აღადგინა რა იგი მკვდრეთით. მისი უზენაესი ძალაუფლება ბოროტებაზე კაცობრიობის საუკუნო სიკვდილისგან ხსნაში ვლინდება. ღმერთის სუვერენულობა კარგად ჩანს მის გადაწყვეტილებაში, გადაარჩინოს კაცობრიობა მისი ძის განკაცების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის გზით. როგორც ღმერთის სიყვარულს, ისე მის სამართალს, საზღვარი არა აქვს. ღმერთის სიყვარული შეურიგებელია ცოდვასთან და მისი სამართალი აბსოლუტურია: იგი დამნაშავეს დაუსჯელს არ დატოვებს“ (გამ. 34:7). იგი

არ ეგუება ცოდვას, მათ შორის, ეგრეთ წოდებულ უმნიშვნელო ცოდვასაც კი. მას სურს, შეგვინდოს ცოდვები, მაგრამ არა მისი სამართლის ხარჯზე. იესოს სიკვდილი ჩვენ გამო იყო ღვთის განაჩენი ჩვენს ცოდვებზე. იესომ ნებაყოფლობით გაიღო სიცოცხლე ჩვენთვის. ამგვარად, მან დაგვანახა ჩვენდამი ღმერთის უანგარო სიყვარული მთელი თავისი სისავსით (იოანე 15:13).

თუმცა ის, რომ ღმერთმა იესოს სიკვდილითა და აღდგომით იხსნა კაცობრიობა, არ ნიშნავს, რომ ყველა გადარჩენილია. ჩვენი პასუხის-მგებლობა ისაა, თუ როგორი რეაქცია გვაქვს ღმერთის ამ მიმტევებლურ სიყვარულზე. ვიღებთ ღმერთის შეთავაზებას და ვცხოვრობთ მის შე-საბამისად თუ უარს ვამბობთ მასზე? როდესაც იესომ მოწაფეებს მოუწოდა, მის მოწმეებად დამდგარიყვნენ მსოფლიოში, მან შეაჯამა სახარება ორი ელემენტით: ცოდვათა მიტევება და მონანიება (ლუკა 24:45-48). ადამიანის ცოდვათა მიტევება ხდება იმის საფუძველზე, რაც ღმერთმა უკვე გააკეთა იესო ქრისტეს სახით. ის არის დაუმსახურებელი; ის მთლიანად ეფუძნება არა ჩვენს კეთილ საქმეებს, არამედ ღვთის მიერ გამოვლენილ წყალობას ჩვენ მიმართ. ეს არის ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჩუქარი ჩვენთვის. ეს მხსნელი მადლი თავისუფლად ეძლევა მათ, ვისაც იგი სწამს, მაგრამ ქრისტეს ის საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ეს არის მისი ადამიანური არსებებისადმი ღვთის ჭეშმარიტი სიყვარულის უდიდესი გამოხატულება. მონანიება არის ის, რითაც ვპასუხობთ ამ ღვთის მადლს. ვაცნობიერებთ კი ჩვენს ცოდვებს, ვაღიარებთ მათ ღმერთის წინაშე, ვითხოვთ მის პატიებას და ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვიცხოვროთ ახალი ცხოვრებით? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მივყვებით იესო ქრისტეს, როგორც ჩვენს უფალსა და მაცხოვარს?

5. მუჰამედი

მუსლიმთა განცხადებით, მათ სწამთ ღმერთის ყველა წინასწარმეტყველის, გამონაკლისის გარეშე. იესო ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველია მათთვის. მას პატივს სცემენ და ზოგჯერ მის ყურანისეულ სახელს, „ისას“ (‘Isa), თავიანთ შვილებს არქმევენ. მაშ, ქრისტიანები რატომ არ აკეთებენ იმავეს მუსლიმებთან მიმართებით? რატომ არ მიიჩნევენ მუჰამედს ღმერთის უკანასკნელ წინასწარმეტყველად? განა ეს არ არის ისლამისადმი მიკერძოებული, არაობიექტური მიდგომა და მუსლიმებისადმი ცრურწმენა?

აი, რამდენიმე შესაძლო პასუხი იმ კითხვებზე, რასაც მუსლიმები ხშირად სვამენ:

1. მუსლიმები ცხოვრობენ თავიანთი წმინდა წერილის შესაბამისად, რაც მათ ავალდებულებთ, სწამდეთ ქრისტესი. ქრისტიანებიც იცავენ თავიანთ წმინდა წერილს, რომელშიც მუჰამედის შესახებ არაფერია ნათქვამი.

2. თავად იესო მასთან მოსულ წინასწარმეტყველებს ღვთის მსახურებს უწოდებს, მაშინ, როცა საკუთარ თავს ღვთის ძედ მოიხსენიებს, რომელიც ღმერთის სრული გამოცხადებაა (მათე 21:33-45; ებრ. 1:1-4). ამგვარად, არ არის საჭირო, წინასწარმეტყველი მის გზას მიჰყვეს.

3. მუსლიმებს სწამთ ყურანისეული იესოსი და არა სახარებისეული ქრისტესი. მაგალითად, მათ არ სწამთ ქრისტეს ჯვარცმა და მისი შემდგომი მკვდრეთით აღდგომა.

4. კონკრეტულად რას ვგულისხმობთ სიტყვა „წინასწარმეტყველში“? თუ წინასწარმეტყველი არის ის, ვინც ქადაგებს, რომ ღმერთი ერთია და ყველა უნდა ეთაყვანოს მას, მაშინ მუჰამედი შეიძლება მივიჩნიოთ წინასწარმეტყველად. მაგრამ, თუ „წინასწარმეტყველის“ გზავნილი უნდა შეესაბამებოდეს უკვე მოცემულ ბიბლიურ გამოცხადებას, მაშინ სრულიად გასაგებია, რატომ იწვევს ქრისტიანებში ეჭვს იმ „წინასწარმეტყველის“ სტატუსი, რომლის მიმდევრებიც არ აღიარებენ კაცთა ცოდვებით დატვირთულ, ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ მესიას.

5. ზოგადად რომ ვთქვათ, რატომ უნდა აღიარონ ქრისტიანებმა მუჰამედი წინასწარმეტყველად? რა პირდაპირი მტკიცებულება შეიძლება წარმოვადგინოთ ამ განცხადების სასარგებლოდ? რამდენად დამაჯერებელია ის?

ამ ნაწილში შესწავლილი იქნება ისლამური მტკიცებულებები მუჰამედის წინასწარმეტყველურ როლთან დაკავშირებით. მათ განვიხილავთ ბიბლიის გადასახედიდან, ისევე, როგორც ქრისტიანული დოქტრინის შეფასება მუსლიმთა მიერ ხდება ყურანის გადასახედიდან. ისლამი გვთავაზობს ოთხ ძირითად მტკიცებულებას იმისა, რომ მუჰამედი წინასწარმეტყველი იყო.

მტკიცებულება 1: ბიბლიური წინასწარმეტყველებანი

ყურანი ამტკიცებს, რომ წინასწარმეტყველება მუჰამედის შესახებ დაცულია როგორც თავრათში (თორა), ისე ინჯილში (7:157), რასაც ქრისტიანები ძველსა და ახალ აღთქმას უწოდებენ, თუმცა, არც ერთი ტექსტი არ არის მოყვანილი რომელიმე წმინდა წერილიდან ამ დებულების დასამტკიცებლად. სახარებებში კი, პირიქით, მოცემულია არაერთი ციტატა თორადან იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტე მართლაც დიდი ხნის ნანატრი მესია იყო. ებრაელი წინასწარმეტყველები მოასწავებდნენ მის დაბადებას, გზავნილს, სასწაულებს, სიკვდილსა და აღდგომას.

ისლამურ წინასწარმეტყველურ ტრადიციაში (რომელიც ყურანზე უფრო გვიან დაიწერა), მითითებულია ტექსტი ესაიას წიგნიდან, სადაც საუბარია „უფლის მსახურზე".[30] ეს ტექსტი უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტში. წინასწარმეტყველი ესაია ამ მსახურს აღწერს თავის ოთხ ლექსში სახელწოდებით „მსახურის სიმღერა". მსახური გარკვეული თვისებებით ჰგავს მუჰამედს, ხოლო მისი სხვა თვისება ქრისტეს მისიისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, მეოთხე სიმღერაში აღწერილია ტანჯული მსახური, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს გამომსყიდველი მსხვერპლის სახით გაიღებს. ის მკვდრეთით აღსდგება, ზეცად ამაღლდება და ის პატივცემულია ღმერთის მიერ, რომელიც მას ჩვენს მეოხად დანიშნავს (ესაია 53).

30 ბუხარი, ბუიუ (Bukhari, *buyu`*) [ვაჭრობა], 50; იხ. ესაია 42:1-9.

თანამედროვე მუსლიმები ბიბლიის სხვა ტექსტზეც მიუთითებენ, სადაც, მათი აზრით, მუჰამედზეა საუბარი. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ხშირად მოჰყავთ ციტატა ორი მონაკვეთიდან. პირველი არის წინასწარმეტყველება ახალი მოსეს შესახებ (მეორე რჯული 18:15). სიკვდილის წინ მოსემ თავის ხალხს გამოუცხადა, რომ ღმერთი მოუვლენდა მის მსგავს წინასწარმეტყველს. მუსლიმი აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ ეს წინასწარმეტყველი მუჰამედია. მოსესა და მუჰამედს შორის ბევრი მსგავსებაა მათი ბუნებრივი დაბადებისა და გარდაცვალების, პოლიტიკური თუ რელიგიური წინამძღოლობის, მტერზე უპირატესობის და მათი რჯულის ყოვლისმომცველი ხასიათის თვალსაზრისით. თუმცა, მოსეს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელოვანი მსგავსება აქვს ქრისტესთან. მოსე იყო ღმერთის წინასწარმეტყველი, რომელიც გადასცემდა ღვთის სიტყვას; იესო იყო ღმერთის წინასწარმეტყველიც და ღვთის სიტყვაც. მოსემ იხსნა თავისი ხალხი ფარაონის პოლიტიკური შევიწროებისგან; იესომ საკუთარ ხალხს უფრო დიდი თავისუფლება მიანიჭა: სულიერი თავისუფლება, ვინაიდან იხსნა ისინი ცოდვათა მძიმე ტვირთისგან და მარადიული სიკვდილისაგან. მოსე დროებით გახდა საკუთარი ხალხის მეოხი, მას შემდეგ, რაც მათ თაყვანი სცეს ოქროს ხბოს; ქრისტე ჩვენი მეოხია ზეცად ამაღლების დღიდან და იგი ყოველთვის გაგვიწევს შუამდგომლობას ღმერთთან. იესოც და მოსეც ებრაელი წინასწარმეტყველები იყვნენ, მუჰამედი კი არა. ამრიგად, გარდა იმისა, რომ მოსე მიუთითებს იესოზე, „მეორე მოსე“ გაცილებით უფრო დიდი წინასწარმეტყველია.

მეორე ტექსტი პარაკლეტს ეხება. ზეცად ამაღლებამდე ქრისტემ მოციქულებს გამოუცხადა, რომ მათ პარაკლეტს მოუვლენდა. პარაკლეტი (*paraklētos*) ბერძნული სიტყვაა და ნუგეშინისმცემელს, დამცავს, დამხმარეს, მრჩეველს ნიშნავს (იოანე 16:7, 12-13). მუსლიმი აპოლოგეტების მტკიცებით, ამ წინასწარმეტყველების ობიექტი მუჰამედია. ეს განცხადება ეფუძნება ყურანის ტექსტს, რომლის მიხედვით, იესომ იწინასწარმეტყველა მის შემდეგ „აჰმადის“ (მუჰამედის მეორე სახელი) მოსვლა (61:6). ამ შემთხვევაშიც, ყურანიდან მოყვანილი ეს ტექსტი არ მიუთითებს წმინდა წერილზე აღნიშნული მტკიცების დასასაბუთებლად. გარდა ამისა, ქრისტე აღწერს მას, ვინც მის შემდეგ მოვა, როგორც „წმინდა სულს“ (იოანე 14:26), „სულს ჭეშმარიტებისა“(იოანე 14:16-17; 15:26). უფრო მეტიც, ის მოციქულებს სთხოვს, დარჩნენ იერუსალიმში, სადაც „რამდენიმე დღეში“ მათ სული მოევლინებათ (საქ. 1:4-5). მისი ამაღლებიდან ათი

დღის შემდგე სულიწმინდა მართლაც მოევლინა იერუსალიმში შეკრებილ მოციქულებს (საქ. 2:1-4). ამრიგად, ეს ბიბლიური ტექსტები მიუთითებს სულიერ არსებაზე (სულიწმინდა) და არა ფიზიკურ, ადამიანურ არსებაზე (მუჰამედი).

მტკიცებულება 2: სასწაულები

მეორე ისლამური დადასტურება იმისა, რომ მუჰამედი იყო ღვთის წინასწარმეტყველი, არის მისი სასწაულები. ებრაელებს, ქრისტიანებსა და მუსლიმებს სწამთ, რომ ზოგიერთი სასწაული არის ღვთის მიერ მისი მაცნეების უფლებამოსილების დადასტურება. ისლამური წინასწარმეტ-ყველური ტრადიცია რამდენიმე სასწაულს მუჰამედს მიაწერს.[31] თუმცა, მუჰამედის ყველაზე დიდი სასწაული, ისლამური სწავლების მიხედვით, იყო თავად ყურანი (17:88; 52:34). ეს სასწაული მიუთითებს ყურანის სრულყოფილებაზე, როგორც მისი შინაარსის, ისე ლიტერატურული ფორმის თვალსაზრისით. რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ რწმენას, არის ის ფაქტი, რომ მუჰამედი უწიგნური იყო (7:157-58) და ერთგვარად მო-უმზადებელი იყო, შეექმნა ასეთი გამორჩეული წიგნი. (ყურანის გზავნილი განხილული იქნება მესამე მტკიცებულებაში.)

მოსაზრება მუჰამედის უწიგნურობასთან დაკავშირებით ძირითადად ეფუ-ძნება ყურანის ტექსტს, სადაც ის აღწერილია, როგორს უმმი (უმეცარი) წინასწარმეტყველი (7:157-58). ამ სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა, შევისწავლოთ ყურანის ტექსტის ის ოთხი ეპიზოდი, სადაც ეს სიტყვა გვხვდება. 1. ზოგიერთ ებრაელს ბრალს სდებენ „უმეცრებაში“ თორას არცოდნის გამო (2:78). 2. მუჰამედი მოევლინა „წიგნის ხალხს“ და აგრეთვე „უმეცართ“, ანუ ხალხს, რომელსაც წმინდა წიგნი არა აქვს (3:20); 3. „წიგნის ხალხისგან“ ზოგი (ებრაელი) აცხადებს, რომ არ გა-აჩნია რაიმე ვალდებულება „უმეცართა“ მიმართ, კერძოდ, არაბი ხალხის მიმართ (3:75). 4. „უმეცართ“ (არაბებს) მოევლინა მათგანვე კაცი – წი-ნასწარმეტყველი, კონკრეტულად მუჰამედი (62:2). ოთხივე ეპიზოდი ცხადყოფს, რომ სიტყვა უმმი ყურანის კონტექსტში რელიგიურ უმეცრებას გულისხმობს და არა წერა-კითხვის არცოდნას. მე-7 სურას 157-58 აია,

31 ბუხარი, მანაქიბ (Bukhari, *manaqib*) [სათნოება], 25.

სადაც საუბარია მუჰამედის უმეცრებაზე, არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. ის ხაზს უსვამს ყურანის ე.წ. სასწაულებს. ეს სიტყვა, სავარაუდოდ, გულისხმობს, რომ არაბთა წინასწარმეტყველი მუჰამედი არ იყო გათვითცნობიერებული „წმინდა წერილში“ (მითითება ბიბლიაზე თუ ყურანზე), ვიდრე ყურანი არ გამოეცხადა მას.

ყურანის ე.წ. ზებუნებრივი ლიტერატურული სტილი ღირებულია მხოლოდ არაბულ ენაზე მოსაუბრეთათვის. ნებისმიერი წიგნის ლიტერატურული ღირებულება შედარებითი და სუბიექტურია, რადგან ეს დამოკიდებულია ჩვენს პირად შეფასებაზე. რაც შეეხება თავად ყურანს, არაბულ ენაზე მოსაუბრე ყველა ადამიანი (მათ შორის მუსლიმი) მას არაბული ლიტერატურის შედეგვრად როდი მიიჩნევს. უფრო მეტიც, რომც ვაღიაროთ ყურანის სასწაულებრივი ხასიათი, სასწაული არის მხოლოდ ერთი მაჩვენებელი, რომელიც გამყარებული, დადასტურებული უნდა იყოს სხვა მაჩვენებლებით. თვითგამოცხადებული წინასწარმეტყველი უნდა განისაჯოს მისი გზავნილის შინაარსით და არა იმ სასწაულებით, რასაც ის ახდენს (რჯლ. 13:1-3). ცრუ წინასწარმეტყველებსაც შეუძლიათ ზოგჯერ სასწაულების მოხდენა (მათე 7:21-23; 24:24) და ყველა წინასწარმეტყველს როდი შეუძლია სასწაულის მოხდენა. იოანე ნათლისმცემელი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იყო, თუმცა მას სასწაულების მოხდენა სულაც არ შეეძლო (იოანე 10:41).

მტკიცებულება 3: ისლამური კანონი

მუსლიმ მეცნიერთა მტკიცებით, ებრაული და ქრისტიანული სწავლებისგან განსხვავებით, ისლამური დოქტრინა უფრო სრულყოფილია და ეს ადასტურებს მის ღვთიურ წარმომავლობას. ისინი ამტკიცებენ თავიანთი მოსაზრების სიმართლეს, როდესაც განიხილავენ ამ კანონის სხვადასხვა ასპექტს.

მუსლიმი აპოლოგეტების მიხედვით, ისლამის რელიგიური კანონი არის სწორედ ბალანსი იუდაიზმისათვის დამახასიათებელ სამართალსა და ქრისტიანობისთვის სამაგალითო მოწყალებას შორის. ისლამი არც ძალაზე აგებული რელიგიაა (იუდაიზმი) და არც არარეალურად მშვიდობიანი (ქრისტიანობა). მუსლიმები განიხილავენ იუდაიზმს, როგორც ზედმეტად კონცენტრირებულს ამ სამყაროზე, ხოლო ქრისტიანობას, როგორც სხვა

სამყაროზე კონცენტრირებულ რელიგიას. ისლამი კი პირიქით, ინარჩუნებს წონასწორობას და კონცენტრირებულია, როგორც ამ სამყაროში, ისე მის შემდგომ სამყაროში ცხოვრებაზე.

სიყვარული და სამართლიანობა ერთმანეთის გვერდიგვერდ არის ქრისტიანობაშიც. ქრისტიანებს დაევალათ, ექადაგათ სახარება, რომელიც არსებითად ღმრთის მიმტევებლური სიყვარულის შესახებ არის, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლებს საზოგადოებაში სამართლიანობის განხორციელება დაეკისრათ ღმერთის მიერ (რომ. 13:1-4). ქრისტიანებს შორის ყველა პაციფისტი როდია. ბევრი, შეიძლება უმრავლესობაც, „სამართლიანი ომის“ თეორიას ემხრობა. ისლამის მსგავსად, ბიბლიური ქრისტიანობაც ჰოლისტიკური რელიგიაა, რომელიც არ აცალკევებს სულიერ ცხოვრებას საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრებისაგან. თუმცა, ქრისტიანთა მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განახორციელონ თავიანთი მისია, განსხვავდება მუსლიმთა მიდგომისაგან. ისინი აქცენტს აკეთებენ, როგორც პიროვნებებზე, ისე, ზოგადად, საზოგადოებაზე, ადამიანთა გულების შეცვლაზე და ეს ცვლილება უნდა განხორციელდეს „ქვევიდან ზევით“ და არა „ზევიდან ქვევით“.

მუსლიმთა აზრით, ისლამური სისხლის სამართალის კოდექსი არის შესანიშნავად დაბალანსებული. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია მხოლოდ სამ შემთხვევაში (ღალატი, მკვლელობა და მრუშობა). მოსეს რჯული ითვლება ზედმეტად მკაცრად, ვინაიდან ის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს ძალიან ბევრ შემთხვევაში, მაშინ, როცა ქრისტიანებს სრულებით არა აქვთ კოდიფიცირებული სისხლის სამართლის სისტემა. თუმცა, ქრისტიანობის ამგვარი აღქმა საკამათოა. ის, რომ ქრისტიანებმა უნდა მიუტევონ მათ, ვინც „სცოდავს მათ წინააღმდეგ“ (მათე 18:21-22), არ აუქმებს ხელისუფლების ვალდებულებას, შეასრულოს ღმერთის ბოძებული განაწესი (მათე 22:21; რომ. 13). მთავრობები ფორმირდება იმისათვის, რომ შეიმუშაონ და მართონ სამართლიანობაზე აგებული საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რომელიც ექვემდებარება ცვლილებას დროის, ადგილმდებარეობისა და კულტურის მიხედვით.

თორასა და ახალი აღთქმისაგან განსხვავებით, მორალური სწავლება ყურანში აგრეთვე ითვლება კარგად დაბალანსებულად. თორას ზედმეტად „თავაშვებულად“ მიიჩნევენ (მაგ.: შეუზღუდავი პოლიგამია, ადვი-

ლად გაყრა), ხოლო ახალ აღთქმას – ზედმეტად მკაცრად (იკრძალება გაყრა, პოლიგამია). ამის საპირისპიროდ, ისლამური კანონი აერთიანებს ადამიანურ სისუსტესა და მაღალ ზნეობრივ სტანდარტებს (მრავალ-ცოლიანობა დაყვანილია ოთხ ცოლამდე; გაყრა კანონიერია, თუმცა და-საძრახი).

ქრისტიანული სწავლებაც აღიარებს ადამიანურ სისუსტეებს. მაგ.: გაყრა სრულიად გამორიცხული არ არის (მათე 5:31-32). ამასთან, ქრისტიანებს მოუწოდებენ, იყვნენ ისეთივე სრულყოფილნი და მოწყალენი, როგორც მათი ზეციერი მამა (მათე 5:48; ლუკა 6:36). ღვთის ხალხისთვის სანიმუშო ზნეობრივი სტანდარტი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთის ზნეობრივი სრულყოფილება. ღმერთის ერთ-ერთი ბრწყინვალე საჩუქარი არის მისი სულიწმიდა, რომელიც ძალაუფლებას ანიჭებს მორწმუნეებს, საკუთარი ცხოვრება ააგონ ღვთის სრულყოფილების მიხედვით, რომელიც მან ცხოვრებაში განახორციელა იესო ქრისტეს სახით. და ერთ დღეს, აღდგომის შემდეგ ცხოვრებაში, ახალ ცასა და ახალ მიწაზე, ეს სრულყოფილება სრულფასოვნად იქნება მიღწეული. ახლაც, როცა ჩვენ ვცხოვრობთ იმის მოლოდინში, რაც ჯერ არ არის და რაც იქნება, ძალიან მნიშვნელოვანია ამავდროულად ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ სრულყოფილების ის სტანდარტი, რომლისკენაც ვიღვწით, მაშინაც კი, როდესაც ვნანობთ ჩვენი უამრავი შეცდომის გამო და შემდეგ ისევ ჯვარს ვუბრუნდებით პა-ტიებისათვის.

მტკიცებულება 4: სამხედრო და პოლიტიკური წარმატება

მუსლიმი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მუჰამედის ტრიუმფალური გამარჯვება მტერზე არის დასტური იმისა, რომ იგი ღვთის წინასწარმეტყველი იყო. როდესაც ის ახ.წ.-ით 632 წელს გარდაიცვალა, თითქმის ყველა არაბს უკვე ჰქონდა მიღებული ისლამი. ამას მიიჩნევენ მტკიცებულებად იმისა, რომ ისლამი ღვთის მიერ ბოძებული რელიგიაა, რომელიც წინასწარმეტყველმა მუჰამედმა გაავრცელა. მუსლიმური და ქრისტიანული საზოგადოება თით-ქმის ერთნაირი სიდიდისაა (თუმცა ადამიანთა უმეტესობა არც ქრისტიანია და არც მუსლიმი). მუსლიმებისგან განსხვავებით, ქრისტიანები რელიგიურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ წარმატებას არ უთანაბრებენ ღმერთისადმი ერთგულებას. როგორც ბიბლიის (ებრ. 11:37-40), ისე ყურანის (2:61,91)

მიხედვით, არაერთი ღვთის ერთგული მსახური თუ წინასწარმეტყველი აწამეს. თავად იესო დიდი ეჭვით უყურებდა ადამიანურ წარმატებას და ამქვეყნიურ ძლევამოსილებას (მათე 4:8-10; იოანე 6:15). საკითხავია, რა არის ჭეშმარიტი წარმატება?“ ადამიანის გადასახედიდან, იესოს ჯვარცმა იყო უდიდესი მარცხი. ღმერთის გადასახედიდან კი ეს იყო ბრწყინვალე წარმატება, რადგან ამგვარად მან დაამარცხა კაცობრიობის ნამდვილი მტერი, კერძოდ, ცოდვა, ბოროტება და სიკვდილი (კოლ. 2:13-15). იესოს მკვდრეთით აღდგომითა და ზეცაში მისი აღსაყდრებით ღმერთმა დაგვანახა ქრისტეს გამარჯვება (ფილიპ. 2:9-11).

მოკლედ რომ ვთქვათ, ქრისტიანული თვალსაზრისით, ოთხი ძირითადი მტკიცებულება მუჰამედის, როგორც წინასწარმეტყველის, როლის შესახებ არ არის დამაჯერებელი. ქრისტიანებს ფრიად ახარებთ, რომ მათ ეკუთვნით ისლამური დოგმის „არ არსებობს სხვა ღვთაება, ღმერთის გარდა“ პირველი ნაწილი. თუმცა, ვერ გაითავისებენ მის მეორე ნაწილს: „და მუჰამედი არის მისი მოციქული.” რა თქმა უნდა, მუჰამედი იყო უდიდესი რელიგიური და საზოგადოებრივი რეფორმატორი და გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი. მაგრამ ქრისტიანული დოგმა ხაზს უსვამს ორივეს – ღმერთის ერთობას და ქრისტეს განსაკუთრებულობას: „რადგანაც ერთია ღმერთი და ერთია შუამავალი ღმერთსა და კაცთა შორის: კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი დადო ყველას გამოსასყიდად, რაც დამოწმებულ იქნა თავის დროზე“ (1 ტიმ. 2:5-6).

6. ღვთის სასუფეველი

ბიბლიაც და ყურანიც ხაზს უსვამს ღმერთის საყოველთაო უზენაესობას. ბიბლიაში ღმერთი აღწერილია, როგორც „ღმერთი ცისა და მიწისა“ (დაბ. 24:3; მათე 11:25); ყურანი ღმერთს აღწერს, როგორც „ცისა და მიწის მბრძანებელს“ (2:107; 3:189). ბიბლიაც და ისლამიც ქადაგებს, რომ უფლის სასუფეველი დედამიწაზე დაარსდა. ქრისტიანებისთვის მოვლენილი იესო ქრისტე და ყურანის გამოცხადება მუსლიმებისთვის იყო კაცობრიობის გადასვლა ახალ საფეხურზე. ორივე რელიგიაში, სახარების გამოცხადებამ (საქ. 17:30) და ისლამის წარმოშობამ (3:154; 5:50; 33:33; 48:26), შესაბამისად, დაასრულა უმეცრების ეპოქა. ღმერთის სასუფევლის მოსვლით მსოფლიოს ხალხთა შორის, განსაკუთრებით მორწმუნეთა შორის, ახალი ერა დაიწყო.

ორივე რელიგია, ქრისტიანობაც და ისლამიც, მისიონერულია. ქრისტიანებს დაევალათ, ყოფილიყვნენ ღმერთის მოწმენი დედამიწაზე და გაეფართოებინათ მისი სასუფეველი (ლუკა 24:48). მუსლიმებმაც მიიღეს მსგავსი დავალება (2:143; 22:78; 33:45). თუ როგორ უნდა განახორციელონ ქრისტიანებმა და მუსლიმებმა თავიანთი მისია, ამას კარნახობს ქრისტესა და მუჰამედის შესაბამისი გზავნილი და ის, თუ როგორ იქადაგეს მათ სახარება და ყურანი.

ორი საპირისპირო მიმართულების მოძრაობა

ბიბლიისა და ყურანის შესწავლისას აუცილებლად შევნიშნავთ მკვეთრ განსახვავებას იმაში, თუ როგორ ავითარებს თითოეული სწავლება უფლის სასუფევლის თემას. მარტივად რომ ვთქვათ, საღვთო ომი ძველ აღთქმაში იქცევა სულიერ ბრძოლად ახალ აღთქმაში, მაშინ, როცა სულიერი ბრძოლა მექაში გამომდინარეობს საღვთო ომიდან მედინაში.

იესო

იესო ქრისტემდე ისრაელელები ხელმძღვანელობდნენ იმ შეთანხმებით, რომელიც ღმერთმა ისრაელის ხალხთან მოსეს მეშვეობით დადო. მაშინ ისრაელის ხალხი თეოკრატიული მმართველობის ქვეშ ცხოვრობდა. მათი ცხოვრების ყველა ასპექტს ღვთის რჯული არეგულირებდა, რომელიც

ყოვლისმომცველი იყო (რელიგიური, საზოგადოებრივი, ზნეობრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.). ცოდვისა და მის შედეგად ადამიანისთვის ზედმეტი ძალაუფლების მინიჭების საფრთხის გამო, ღმერთს არ სურდა ძველი აღთქმის მიხედვით არსებული სამი პოზიციის (მეფე, წინასწარმეტყველი და მღვდელმთავარი) ერთ ადამიანში გაერთიანება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თეოკრატიული მმართველობის მიუხედავად, ხელისუფლება იყო დაყოფილი: ისრაელს პატივი უნდა ეცა და დაეცვა ამ სამ წოდებას შორის სხვაობა (მკაცრი გამიჯვნა მეფესა და მღვდელმთავარს შორის), რათა ავტორიტარიზმის რისკი მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი.

მოსესა და მისი შთამომავლის – იესო ნავეს ძის მეთაურობით განხორციელებული სამხედრო დაპყრობის შედეგად ისრაელიანებმა დაიკავეს ღმერთის მიერ მათი წინაპრებისთვის აღთქმული მიწა. ისრაელის ხალხმა განსაკუთრებულ დიდებას მიაღწია დავითის მეფობის დროს. დავითი, სანამ მეფე და სამხედრო მთავარსარდალი გახდებოდა, წინასწარმეტყველი იყო. მის სახელს უკავშირდება არა მხოლოდ უამრავი ფსალმუნი, რომელიც მან შექმნა, არამედ ქალაქ იერუსალიმის დაპყრობაც, რომელიც მან თავისი სამეფოს დედაქალაქად აქცია (1 მატ. 11:4-9). დავითის სამხედრო კარიერა არანაირად არ ასახავდა ღვთის სრულყოფილ ხასიათს. მისი მეფობის პერიოდში წარმოებული მთელი რიგი ომების გამო, ღმერთმა არ დაუშვა, რომ დავითს განეხორციელებინა თავისი გეგმა – აეშენებინა მისთვის სახლი – ტაძარი (1 მატ. 28:3). ღმერთს არ სურდა, მისი სახლის სიწმინდეზე უარყოფითად ასახულიყო ის ძალადობა, რაც ლაქასავით აჩნდა დავითის ცხოვრებას.

იესოს გამოჩენამ რადიკალურად შეცვალა ის, თუ როგორ უნდა გავრცელებულიყო უფლის სასუფეველი. სახარებას ზოგჯერ „სახარებას სასუფევლისას“ უწოდებენ (მათე 4:23; 9:35; 24:14). იესო ღმერთის სასუფევლის მოახლოებაზე მიუთითებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სახარებისა და სასიხარულო ამბის რწმენას: „ხოლო იოანეს შეპყრობის შემდეგ მოვიდა იესო გალილეაში, და ქადაგებდა სახარებას ღმრთისას. და ამბობდა: გასრულდა ჟამი და მოახლოვდა ღმრთის სასუფეველი: მოინანიეთ და იწამეთ სახარება“ (მარკოზი 1:14-15). სასიხარულო უწყება, სახარება არის ღმრთის სასუფევლის ადამიანთა შორის გავრცელების დასაწყისი. მას მოაქვს შერიგება ღმერთთან; ის გლახაკთა მახარებელია და გულით შემუსვრილთა მკურნალია; ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებელია,

ბრმათათვის თვალის ამხელია და ტანჯულთა მშველელია (ლუკა 4:16-27). მისი ყოფნით, ქადაგებით, საქმით, სიკვდილითა და აღდგომით, იესომ არა მარტო გამოაცხადა ღმერთის სასუფეველი, არამედ აამოქმედა კიდეც ის (მათე 12:28).

ის ამტკიცებდა, რომ ღმერთის სასუფეველი არ მოვა სააშკარაოდ (ლუკა 17:20-21; იხ. აგრეთვე იგავები სასუფევლის შესახებ: მათე 13). ის არ იქნება გრანდიოზული და სანახაობრივი, სანამ არ დადგება „დასასრული“ (მათე 10:22; 24:6;13-14). ქრისტე საუბრობდა ისტორიის დასასრულზე, რომელიც დაგვირგვინდება მისი მოსვლით. ამ საკითხთან დაკავშირებით ის საუბრობს ღმრთის სასუფევლის დამკვიდრებაზე „ძალით” (მარკოზი 9:1). უფრო მეტიც, ამ სასუფეველს ის თავის სამეფოს უწოდებს (მათე 16:28).

ქრისტეს მისიაში ხორცშესხმული ღმერთის სასუფეველი სამი ძირითადი ნიშნით ხასიათდება:

1. ეს არის სულიერი სასუფეველი, ამქვეყნიური პოლიტიკური ხელისუფლებისაგან განსხვავებული და ზემდგომი. ქრისტე ამბობდა, რომ მისი სამეფო, სასუფეველი არაამქვეყნიური, არამედ ზეციურია (იოანე 18:36). ერთხელ მას ხალხისგან გაქცევა მოუწია, როდესაც ძალით გამეფება დაუპირეს (იოანე 6:15). ებრაელი ხალხი, მათ შორის, თვით იესოს მოწაფეებიც, იმედგაცრუებულნი დარჩნენ იმის გამო, რომ ის არც კი განიხილავდა ისრაელის რომაული ოკუპაციისაგან განთავისუფლებას (ლუკა 24:19-27; მოციქულთა საქმენი 1:6-8). ქრისტეს არც თავად სურდა, გამხდარიყო პოლიტიკური ლიდერი და არც მოწაფეებისთვის უნდოდა ეს. მას არ სურდა, მისი ხელისუფლება გაიგივებული ყოფილიყო რაიმე პოლიტიკურ სისტემასთან ან ძალასთან: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმრთისა” (მათე 22:21).

2. ეს არის არაძალადობრივი სასუფეველი. ქრისტეს არასოდეს მიუმართავს ძალისთვის, მითუმეტეს ძალადობისთვის, მტერის დასაძლევად ან სასუფეველში ხალხის შესაყვანად. მას სურდა, ღვთის სიტყვის ძალით დაერწმუნებინა ხალხი და არა მახვილით. როდესაც დააპატიმრეს, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მისი მოწაფეების დიდი შეშფოთების მიუხედავად, მან ამჯობინა მოეკლათ, ვიდრე

თავად მიემართა ძალადობისთვის თავდაცვის მიზნითაც კი (იოანე 18:10-11). ის მიუთითებს ძალადობის მანკიერ წრეზე: „ჩააგე მახვილი ქარქაშში, რადგანაც ყველა, ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება“ (მათე 26:52). „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან“ – ეს სიტყვები იყო ერთადერთი, რაც მტრებმა გაიგონეს ჯვარზე გაკრული იესოსგან, რომელსაც იქვე წარწერა ჰქონდა „ეს არის იუდეველთა მეფე“ (ლუკა 23:34). ამრიგად, ღვთის სასუფეველში ცხოვრება გულისხმობს მტრის სიყვარულს და ეს გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის საღვთო ომს ან პირად შურისგებას: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდით თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის. რათა იყოთ შვილნი თქვენი ზეციერი მამისა“ (მათე 5:43-45); (იხ. აგრეთვე რომ. 12:14.)

3. ეს არის მსოფლიო სასუფეველი, რომლის ინტერესები სცილდება სახელმწიფოებრივ ინტერესებს. დედამიწაზე პირველად გამოჩენასა და მეორედ მოსვლასა და ღვთის სასუფევლის დამკვიდრებას შორის პერიოდს ქრისტე უწოდებს „წარმართთა ჟამს” (ლუკა 21:24). ეს ის პერიოდია, რომელიც ეძლევა ყველა ერს დედამიწის ზურგზე, რათა მათ შეძლონ სახარების გზით გადარჩენა (რომ. 11:25-26). იესოს მისიამ მართლაც ხელმისაწვდომი გახადა ღვთის სასუფეველი ყველა ერისათვის (საქ. 1:8).

სახარება არის დედამიწაზე ღვთის სასუფეველის გავრცელების ძირითადი საშუალება. ის ყურადღებას ამახვილებს ადამიანისადმი ღვთის უცვლელ და გამომსყიდველ სიყვარულზე. იესო ქრისტეს გზავნილი, მისი ცხოვრება და სიკვდილი, მკვდრეთით აღდგომა, ამ სიყვარულის განსახიერებაა. იესო ქრისტეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა ქრისტიანული სარწმუნოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებით იესომ კაცობრიობას ახალი და მარადიული სიცოცხლის, უდიდესი იმედის, კარი გაუღო. სახარება მოუწოდებს ხალხს, აღიარონ იესო ქრისტე როგორც უფალი და მაცხოვარი. მოვა დღე, როდესაც ის, ვინც ქრისტე მეფედ არ იწამა, მის, როგორც მოსამართლის, წინაშე წარდგება (მათე 25:31-46; საქ. 17:30-31; ფილ. 2:9-11).

მუჰამედი

ყურანში მუჰამედი წარმოდგენილია სანიმუშო პიროვნებად ყველა მორწმუნესათვის (33:21), ხოლო ჰადისი გვაწვდის ინფორმაციას მისი ცხოვრებისა და სწავლების შესახებ. ყურანის გზავნილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ისლამზე“, რაც შემოქმედი ღმერთისადმი თავდადებას, დაქვემდებარებას ნიშნავს. ღმრთისადმი დაქვემდებარება მისი რჯულის (შარიათი) დამორჩილებას გულისხმობს. სიტყვა „ისლამ“ იმავე ფუძიდან გამომდინარეობს, რაც სიტყვა „სალამ“ (მშვიდობა). ღმერთისადმი დაქვემდებარებას მოაქვს მშვიდობა ღმერთსა და ხალხს შორის. ისტორიულად ეს გულისხმობს მშვიდობას მუსლიმებსა და მათ პოლითეისტ მოწინააღმდეგეებს შორის (5:33-34).

თორმეტი წელი (610-622) უქადაგებდა მუჰამედი ისლამს თავის ურწმუნო თანამოქალაქეებს, მექას მოსახლეობას. ბევრი მის გზავნილს მტრულად შეხვდა და მხოლოდ რამდენიმე ათეული ადმიანი დადებითად გამოეხმაურა მას. ღმერთმა უთხრა მუჰამედს, ყოფილიყო მომთმენი (43:88-89) და შემწყნარებელი საკუთარი მტერის მიმართ: „აჰა, ჟამი მოწევნულია და მიუტევე მათ მშვენიერის მიტევებით“ (15:85). მუჰამედის ქადაგება მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო. „მოუწოდე მათ შენი გზისაკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით და ეკამათე იმით, რაც საუკეთესოა (16:125). მუსლიმებს მოუწოდებდა, შეძლებისდაგვარად კარგად მოპყრობოდნენ „წიგნის ხალხს“ (ანუ ებრაელებსა და ქრისტიანებს) (29:46; იხ. აგრეთვეე: 3:64).

622 წელს მუჰამედმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც სერიოზული შედეგი იქონია მის შემდგომ მოღვაწეობაზე. ის მექაში საკუთარი ხალხის დაპირისპირების მომსწრე გახდა, რის გამოც ის თანმხლებ პირებთან ერთად მედინაში გადაიხვეწა. მუსლიმთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. ამავე დროს წარმოიშვა კონფლიქტი მედინელ ებრაელებთან. მათ, პოლითეისტ არაბებთან ერთად, ბრალი დასდეს მუჰამედს შეთქმულებაში. ასეთ ვითარებაში წინასწარმეტყველმა ახალი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე და პოლიტიკური ლიდერი და სამხედრო მეთაური გახდა. შეიცვალა, აგრეთვე, ყურანისეული გამოცხადების შიინაარსი. მუსლიმებს გამოეცხადა „აია მახვილის შესახებ“, რომელიც ავალებდა მუსლიმებს, ებრძოლათ თავიანთი მტრების წინააღმდეგ. ამრიგად, „საღვთო ომი“ არა მარტო ნებადართული იყო,

არამედ სავალდებულოც გახდა მუჰამედსა და მისი მიმდევრებისათვის. ერთ-ერთი ცნობილი წინასწარმეტყველური გამოთქმის მიხედვით:

> „მე მიბრძანეს ვებრძოლო ხალხს, სანამ ისინი არ იტყვიან „არ არსებობს სხვა ღვთაება, ღმერთის გარდა", როგორც კი ამას აღიარებენ, მე არ მექნება უფლება, დავეპატრონო მათ ქონებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი ღმერთის რჯულს დაარღვევენ. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ ღმერთის წინაშე".[32]

ახ.წ.აღ.-ით 624 წელს მედინელ ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გარდამტეხი მომენტი დადგა. ისინი მთლიანად გაანადგურეს. 630 წელს მუსლიმთა არმია ტრიუმფით შევიდა მექაში. ქალაქის მბრძანებლები მათ დანებდნენ. ამ გამარჯვებას მაშინვე მოჰყვა მონოთეისტური მსახურების დაწესება ქააბას ტაძარში. ბევრი არაბული ტომი დაარწმუნეს, ახალი რელიგია მიიღოთ (49:13). მომდევნო რამდენიმე წელიწადში მუსლიმთა რაოდენობა მნიშვნელოვნდან გაიზარდა და მათი გავლენა მთელ რეგიონში უფრო მეტად გაძლიერდა. მუსლიმები კვლავ ეწეოდნენ ისლამის ქადაგებას, თუმცა ახლა მათი ქადაგება საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებასაც ითვალისწინებდა. „წიგნის ხალხს" ისლამის მიღებას არ აიძულებდნენ, თუმცა ისინი ისლამის კანონს უნდა დამორჩილებოდნენ და სულადი გადასახადი (ჯიზია; 9:29) ეხადათ. მუჰამედი 632 წელს გარდაიცვალა. არაბთა უმეტესობა მას აღიარებდა არა მარტო როგორც წინასწარმეტყველს, არამედ, როგორც უდიდეს სოციალურ რეფორმატორს, გამორჩეულად ქარიზმატულ პოლიტიკოსსა და ნიჭიერ სამხედრო მეთაურს.

ისლამში ღვთის სასუფეველი არის საყოველთაო წესი: წინასწარმეტყველი მოევლინა ყველა ერს (3:20; 21:107). მუსლიმი თემი უნდა დაემორჩილოს ღვთის რჯულს, რომელიც მუჰამედს გამოეცხადა მედინაში მისი მეორე მისიის პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ მუსლიმები ვალდებულნი არიან, გამოიყენონ ძალა მათზე თავდასხმის ან მათთვის ისლამის ქადაგებაში ხელის შეშლის შემთხვევაში. ჯიჰადი (სიტყვასიტყვით „ბრძოლა") გულისხმობს მტკიცე და სრულ ვალდებულებას, იბრძოლო ღმერთის მიზნი-

32 ბუხარი, იმან (Bukhari, *iman*) [რწმენა], 17.

სათვის. იმ შემთხვევაში, თუ ღვთის მიზნებსა და მუსლიმურ თემს საფრთხე ემუქრება, მუსლიმებმა ხელში უნდა აიღონ იარაღი და შეებრძოლონ მტერს, მაშინმაც კი, როდესაც თავს არიდებენ ბრძოლას (2:216; 4:77). ამიტომ, შეიარაღებული ბრძოლა ან საღვთო ომი (qital) არის ჯიჰადის ლეგიტიმური ფორმა. ფრაზაში, რომელსაც წინასწარმეტყველს მიაწერენ, ნათქვამია, რომ „მოჯაჰედი [მებრძოლი] არის ის, ვინც იწყებს ბრძოლას საკუთარი თავის წინააღმდეგ."[33] ამრიგად, ჯიჰადი, როგორც სულიერი ბრძოლა, ავსებს და არ ეწინააღმდეგება ან აბათილებს ჯიჰადს, როგორც სამხედრო ლაშქრობას.

ილსამური რჯული უზრუნველყოფს ღვთის კანონის განხორციელებას მუსლიმთა თემში. ებრაული რჯულის მსგავსად, შარიათი ყოვლისმომცველი კანონია, რომელიც არეგულირებს ადამიანთა (როგორც ინდივიდების, ისე საზოგადოების) ცხოვრების ყველა ასპექტს (რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ.). თორაში მოცემული შურისძიების წესი (ლევ. 24: 17-21) ასევე მოქმედებს შარიათშიც (5:45). ისლამური სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას სამ შემთხვევაში: მკვლელობა, ღალატი და სექსუალური აღვირახსნილობა.[34] იგი ასევე ითვალისწინებს ფიზიკურ სასჯელს გარკვეული დანაშაულისათვის: ხელის მოკვეთას ქურდობისათვის (5:38) და გაწკეპლვას გათხოვილი მუსლიმი ქალის ცილისწამებისათვის (ღალატში დადანაშაულებისათვის) (24:4-5), აგრეთვე, ალკოჰოლის მოხმარებისათვის.[35]

საღვთო ომი და სახარება

ქრისტეს მოწაფეებმა, თავიანთი მასწავლებლის გზის მიყოლით, გაავრცელეს სახარება ებრაელ ხალხში და არა მარტო მათთან. ერთ თაობაში სახარებამ მიაღწია ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა ქვეყანასა და ქალაქში, მათ შორის რომშიც, რომის იმპერიის დედაქალაქში. ქრისტიანებს ქადაგებისას ძალა არასოდეს გამოუყენებიათ. სამი საუკუნის გამავლობაში

33 თირმიდჰი, ფადაილ ალ-ჯიჰად (Tirmidhi, *faḍa'il al-jihad)* [ჯიჰადის უპირატესობა], 2.

34 ბუხარი, დიათ (Bukhari, *diyat*) [სისხლიანი ფული], 6. უნდა აღინიშნოს, რომ მოსეს რჯული ასევე ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას მკვლელობისათვის (მეორე რჯლ. 19:21), ღვთის გმობისთვის (ლევ. 24:15-16) და მრუშობისათვის (ლევ. 20:10).

35 ბუხარი, ჰადად (Bukhari, *ḥudud*) [კანონით გათვალისწინებული სასჯელი], 3.

ქრისტიანები ცხოვრობდნენ, როგორც რელიგიური უმცირესობა და ზოგჯერ იდევნებოდნენ კიდეც. იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანების შემდეგ ქრისტიანობა იმპერიის რელიგიად იქცა. ის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამ კონტექსტში ზოგიერთმა ქრისტიანმა ღვთისმეტყველმა განავითარა „სამართლიანი ომის“ ცნება – კონცეფცია, რომელის მიხედვით, ომის გამართლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება გარკვეულ მკაცრ კრიტერიუმებს. ამ კონტექსტშიც კი ზემოაღნიშნული ღვთისმეტყველები თავს არიდებდნენ „საღვთო ომის“ ფრაზის გამოყენებას. ისინი „სამართლიან ომს“, ზოგადად, მთავრობის და არა ეკლესიის პასუხისმგებლობად მიიჩნევდნენ.

ქრისტიანობასა და ქრისტიანულ სახელმწიფოთა ხელისუფლებებს შორის ფარულ გარიგებას ხშირად მოსდევდა ხოლმე რელიგიური დევნა (მოძმე ქრისტიანთა, ებრაელთა და ერეტიკოს ქრისტიანთა დევნა) ან რელიგიური ომები არაქრისტიანთა წინააღმდეგ (მაგ., ჯვაროსნული ლაშქრობები). რელიგიური ძალადობა ქრისტეს სახელის შეურაცხყოფა იყო. დღეს ქრისტიანებს ესირცხვილებათ ის ძალადობა, რომელიც მათ მოძმე ქრისტიანებს ჩადენილი აქვთ მსოფლიოში მთელი ისტორიის განმავლობაში (ანტისემიტიზმი, ჯვაროსნული ლაშქრობები, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა, ქსენოფობია). მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის დასავლურ ქვეყნებში, ქრისტიანული თემი რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს, როგორც ეს პირველ საუკუნეებში იყო. ამით ისევ იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების სწავლებას ვუბრუნდებით. ქრისტიანული ხედვის მიხედვით, სულიერი ბრძოლა არის საღვთო ომის ერთადერთი მისაღები და სწორი ფორმა (ეფეს. 6:10-17). ღმრთისადმი ლოცვის დროს ქრისტიანები სთხოვენ მას, სასუფეველი მოავლინოს „როგორც ცაში, ისე ქვეყანაზეც“ (მათე 6:9-13).

ეს არის ღმრთისადმი თხოვნა, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა აღიაროს იესო ქრისტე, როგორც მათი ზეციერი მეფე, და სასუფეველის ღირებულებები (ღმერთზე კონცენტრირება, ღმერთთან შერიგება, სამართლიანობა, მშვიდობა, სიყვარული, მიმტევებლობა და სიმართლე) გავრცელდეს ჩვენს სამყაროში.

ჯიჰადი და შარიათი

წინასწარმეტყველის ისტორიული როლი ისლამში თვალნათლივ გვიჩვენებს ისლამური რჯულის გლობალურ ხასიათს. ის იყო ერთდროულად

წინასწარმეტყველი, პოლიტიკური ლიდერი, სოციალური რეფორმატორი და სამხედრო მეთაურიც. გარდა ამისა, ისლამს ტრადიციულად აღიქვამენ, როგორც რელიგიასა და მთავრობას (დინ ვა დავლა *(din wa dawla))* და, როგორც რელიგიას ამ ცხოვრებაში და მის შემდგომ (დინ ვა დუნია *(din wa dunya)).*

იმ პერიოდისათვის, როდესაც წინასწარმეტყველი გარდაიცვალა, არაბეთი მთლიანად ისლამური რჯულის ქვეშ მოექცა. ოთხმა ხალიფამ, რომლებიც მართლმორწმუნე ხალიფების სახელით არიან ცნობილნი, თავდაპირველად ითავა ისლამის ფართო მასშტაბით გავრცელება. მათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. დამასკო მუსლიმებს 635 წელს ჩაბარდა, იერუსალიმი – 638 წელს, ეგვიპტე და სპარსეთი – 642 წელს, მათ მოჰყვა ჩრიდლოეთ აფრიკა და ესპანეთი დასავლეთით, ხოლო ინდოეთის სუბკონტინენტი – აღმოსავლეთით. 732 წელს, წინასწარმეტყველის გარდაცვალებიდან ზუსტად ასი წლის შემდეგ, მუსლიმთა არმიამ პირველი დიდი მარცხი განიცადა პუატიესთან (საფრანგეთის ცენტრალური ნაწილი). ამ დროისთვის ისლამმა უკვე მოიცვა საკმაოდ დიდი ტერიტორია, მათ შორის ის ტერიტორიებიც, რომელიც ოდითგანვე ქრისტიანულად ითვლებოდა. მუსლიმი მეცნიერები ამ სწრაფ და გრანდიოზულ ისლამურ გამარჯვებაში (ელ-ფუტუბატ ელ-ისლამია *(al-futuhat al-islamiyya)*) ისლამის ღვთაებრივი წარმომავლობის ნიშანს ხედავენ.

ისლამური კანონი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ ვრცელდებოდა ახლადდაპყრობილ ტერიტორიებზე. ქრისტიანები (და ებრაელები) თავს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად გრძნობდნენ თავიანთი „ზიმი“ (dhimmi) სტატუსის გამო.[36] ამ სტატუსით გარანტირებული იყო მათი, როგორც რელიგიური უმცირესობის, სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობა, თუმცა, ამით ისინი არ უთანაბრდებოდნენ მუსლიმ მოსახლეობას. მათზე ხშირად ხდებოდა ზეწოლა. ზოგჯერ კი იდევნებოდნენ კიდეც. საბოლოოდ კი, უმეტესობამ ისლამი მიიღო. მრავალ ისლამურ ქვეყანაში შარიათის

36 სიმართლე რომ ვთქვათ, საუკუნეების განმავლობაში ებრაულ თემს ევროპაში ცუდად ეპყრობოდნენ. ქრისტიანულ ანტისემიტიზმს საერთო არაფერი ჰქონდა ქრისტეს სწავლებასთან (რომელიც თავად ებრაელი იყო).

კანონი კვლავ წარმოადგენდა კანონმდებლობის ძირითად წყაროს, რაც ნიშნავდა, რომ ქრისტიანული თემი ამ ქვეყნებში კვლავ განიცდიდა სერიოზულ დისკრიმინაციას.[37]

ბრძოლა ისლამურ რეფორმასა და ისლამურ რადიკალიზმს შორის

ის, რომ დღეს მსოფლიოს მუსლიმური მოსახლეობის 25% არაისლამურ ქვეყნებში ცხოვრობს, მუსლიმები აიძულა, გადაესინჯათ შარიათის სწავლება. რეფორმატორები იმ დაკვნამდე მივიდნენ, რომ ისლამური კანონი, მათ შორის მისი სისხლის სამართლის კოდექსი, საჭიროებდა გადახედვასა და განახლებას, რათა მორგებულიყო თანამედროვე საზოგადოების მითხოვნებს. მათ კარგად ესმით, რომ მუსლიმი პოლიტიკოსები და რელიგიური ლიდერები ხშირად თვითნებურად და ბოროტად იყენებენ ისლამს საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად. ისინი მიუთითებენ, რომ ყურანი ავალებს მუსლიმებს, ყველა საქმე „ერთმანეთთან მოთათბირებით“ (42:38) მოაგვარონ ისე, როგორც ამას წინასწარმეტყველი თავის თემთან აკეთებდა (3:159). ამ და სხვა ტექსტში ისინი ისლამური რეფორმისა და დემოკრატიის აღმოცენების მარცვალს ხედავენ. მათი დაკვირვებით, მექაში მუჰამედი მეტწილად წინასწარმეტყველი იყო. მედინაში მან შემთხვევით პოლიტიკური ლიდერის როლი ითავა, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, იმ პერიოდში ის ყველაზე შესაფერისი იყო ამ ფუნქციის შესასრულებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისლამი არ უნდა გავაიგივოთ პოლიტიკურ ძალაუფლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

მუსლიმი რეფორმატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყურანი ხელს უწყობს რელიგიურ თავისუფლებას: „დაე არ იყოს იძულება სარწმუნოებაში“

---

37 ასეთი დისკრიმინაციის მაგალითია ის, რომ ისლამური კანონის მიხედვით, მუსლიმ კაცს აქვს უფლება, ცოლად შეირთოს ქრისტიანი ქალი, ქრისტიან კაცს კი მუსლიმი ქალის ცოლად მოყვანის უფლება არა აქვს (5:5); ქრისტიანს შეუძლია ისლამის მიღება, მუსლიმის გაქრისტიანების შემთხვევაში კი მას ღალატისთვის გაასამართლებენ (ბუხარი, ჯიჰადი, 149). ზოგიერთ ქვეეყანაში (მაგ., მალაიზიაში), მუსლიმის გაქრისტიანებისა და ღალატისთვის გაუსამართლებლობის შემთხვეევაში, მას არ შეუძლია ქრისტიანზე ქორწინება, ვინაიდან ახალმოქცეული მაინც სარგებლობს მუსლიმური სამართლებრივი სტატუსით და შარიათის სასამართლო არ დაუშვებს მის შეცვლას. ქრისტიანებს არ შეუძლიათ წამყვანი სახელისუფლო პოზიციების დაკავება მუსლიმურ თემში, ვინაიდან მხოლოდ მუსლიმს შეუძლია მოძმე მუსლიმების ხელმძღვანელობა.

(2:256; იხ. აგრეთვე: 5:102; 10:99).[38] მათი გაგებით, ჯიჰადი არის რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა აუცილებელი რეფორმების გასატარებლად და მუსლიმი საზოგადოების მანკიერებების (უწიგნურობა, კორუფცია, უმუშევრობა) აღმოსაფხვრელად. ისინი კონტექსტუალურად და რაციონალურად განმარტავენ ისლამურ წყაროებს (ყურანი და ჰადისები). ბოლო წლებში ისლამურმა რადიკალიზმმაც აღმავლობა განიცადა. მუსლიმ რადიკალებს ისლამური ფუძემდებლური ტექსტები პირდაპირი გაგებით აქვთ აღქმული. მათ სურთ, შარიათი სრულად განხორციელდეს მუსლიმების თემში. მათი პოპულარობა, როგორც ჩანს, იზრდება, როდესაც მუსლიმური თემი გარკვეული ფორმით უსამართლობას (ეკონომიკური ექსპლუატაცია, სოციალური იზოლაცია, პოლიტიკური ზეწოლა) განიცდის. მუსულიმი ექსტრემისტები კიდევ უფრო შორს მიდიან. ისინი ხშირად უმართებულოდ იყენებენ ისლამურ წმინდა წერილებს თავიანთი მოძმე მუსლიმების (რომელთაც ნომინალურ, ერეტიკულ და ფარისეველ მუსლიმებად მიიჩნევენ) და დასავლური ქვეყნების (რომელთაც კორუფციული ისლამური რეჟიმის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ) წინააღმდეგ ტერორისტული აქტების გამართლების მიზნით. მუსლიმთა გულებისა და გონების მოსაგებად მუსლიმ რეფორმისტებსა და რადიკალებს შორის დაუცხრომელი ბრძოლა მიმდინარეობს. შეუძლებელია დარწმუნებით იმის თქმა, თუ რა შედეგს გამოიღებს ყოველივე ზემოაღნიშნული დროთა განმავლობაში, თუმცა, ევროპისა თუ სხვა ეკლესიების ისტორიამ დაგვანახა, რომ უფრო მეტად თავმდაბალნი და ნაკლებად კრიტიკულნი უნდა ვიყოთ ჩვენ მიერ იმის შეფასებაში, თუ როგორ ებრძვის მუსლიმური თემი რელიგიის როლს პოლიტიკაში.

38 ეს ტექსტი ტრადიციულად აღიქმება, როგორც აკრძალვა: არ შეიძლება ებრაელთა და ქრისტიანთა ისლამზე იძულებით მოქცევა, ისევე, როგორც მუსლიმებს არ შეუძლიათ სხვა რელიგიის თავისუფლად მიღება.

7. დასკვნითი მოსაზრებები

ერთი რამ ცხადია, რომ ქრისტიანები და მუსლიმები იზიარებენ გარკვეულ საერთო ვალდებულებებს. ებრაელებთან ერთად, ჩვენ ვართ მონოთეიზმის მტკიცე მიმდევრები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანები ეყრდნობიან კომპლექსურ მონოთეიზმს (სამება), რასაც ებრაელები და მუსლიმები უარყოფენ. სამივე ტრადიცია ისწრაფვის ღმერთზე ორიენტირებულობისკენ, რომელიც გაცილებით მაღლა დგას გაუთავებელ თავკერძობასა და ეგოისტურობაზე, მერკანტილობასა და მომხმარებლურ ინტერესებზე. გონიერი არსებების უპირველესი ვალდებულებაა, აღიარონ მათი ხორციელი ბუნება და სამივე ტრადიცია ამასაც იზიარებს. ის წარმოქმნის სხვა საერთო ღირებულებებს (მიუხედავად იმისა, რომ ამ ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესი განსხვავებულია): ოჯახის დიდი დაფასება, თანამორწმუნეებისადმი ერთგულება და სხვა ადამიანებზე ზრუნვა.

თუმცა, ქრისტიანები და მუსლიმები ნაკლებად გულახდილნი იქნებოდნენ ერთმანეთთან, რომ არ ეღიარებინათ დიდი განსხვავება თავთავიანთ ხედვაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს სწამს, რომ უფლის სასუფეველი უკვე დადგა და ერთ დღეს მოიკრეფს ძალას, ორივეს განსხვავებული ხედვა აქვს ღვთის სასუფეველის დადგომის დროსა და მის ბუნებასთან დაკავშირებით. ერთი მხარე მიიჩნევს, რომ ღვთის სამეფო მოევლინა ქვეყანას ქრისტეს პიროვნების, მისი სიკვდილის, აღდგომისა და ამაღლების სახით. მან განვითარება ჰპოვა ქრისტეს სახარების მეშვეობით ადამიანთა ძლიერ ტრანსფორმაციაში, რომელიც წარმოადგენს ადამიანს, ეკლესიას, რომელიც მოელის ადამიანთა მკვდრეთით აღდგომას ქრისტეს დაბრუნებასთან ერთად; მეორე მხარე ღვთის სამეფოს დადგომას ხედავს ისლამის ტრიუმფალურ წარმატებაში, მათ შორის, სამხედრო წარმატებაში, განსაკუთრებით მისი არსებობის პირველ საუკუნეში; იმაში, რომ ადამიანები სწავლობენ ღვთისადმი მორჩილებას, რომელიც მათ მუჰამედის სახით მოევლინათ; იმაში, რომ ღვთის ნება აისახა შარიათში. ქრისტესადმი მიმბაძველობამ საფუძველი ჩაუყარა ერთი სახის რელიგიას, ხოლო მუჰამედისათვის მიბაძვამ, რომელიც ძლიერი მეომარი და მქადაგებელი იყო – მეორეს.

გარდა ამისა, ის, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ადამიანის ღმერთთან შერიგება, არსებითად განსხვავდება ორივე ტრადიციაში. ბიბლიაზე დაყრდნობილ ქრისტიანობაში ღვთის მადლი აგვირგვინებს ყველაფერს – დამნაშავე ადამიანთა მათ შემოქმედდთან შერიგება ხდება იმ მსხვერპლის მეშვეობით, რომელიც თავად ღმერთმა გაიღო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის სახით. სულიწმიდა ეხმარება ქრისტიანებს, იცხოვრონ მონანიებული და მორჩილი ცხოვრებით და არ აირჩიონ სხვაგვარი ცხოვრება. ისლამში, რომელიც აქცენტს ღვთის წყალობაზე აკეთებს, სამოთხეში მოხვედრის იმედი არსებითად დამოკიდებულია ღვთისადმი მორჩილებაზე, მონანიებაზე, ძირითადი ცოდვების თავიდან აცილებაზე და იმის რწმენაზე, რომ კეთილი საქმეებით გარკვეულწილად შესაძლებელია ჩადენილი ბოროტება გამოისყიდო.

ქრისტიანობისა და ისლამის პოლარიზაციის ძირითადი მიზეზი იესოსა და მუჰამედის განსხვავებული შეფასებაა. შეუძლებელია, ორივე რელიგიის მტკიცება ჭეშმარიტი იყოს: ისინი, როგორც ვნახეთ, არსებითად ექსკლუზიურია. ასეთი აღიარება არასოდეს ეფუძნება სიბოროტესა და სიძულვილს. თავისთავად, ორივე მხარე ვალდებულია, გვითხრას სიმართლე ისე, როგორც მას ის ესმის. თუმცა, ის უნდა მივიღოთ თავაზიანად, პატივისცემით, ყურადღებით მოსმენით. როდესაც ჭეშმარიტების მტკიცება ურთიერთგამომრიცხავია და საქმე ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, ერთგული მოწმე მოითხოვს პატიოსან და ღირსეულ დაპირისპირებას, გულწრფელ და თავაზიან კამათს. საკითხები არა მხოლოდ თეოლოგიას, არამედ ისტორიასაც ეხება. მაგალითად, თუ დადგინდა, რამდენადაც ისტორიას შეუძლია რაიმეს დადგენა, რომ იესო მკვდრეთით აღდგა,[39] ამას განსხვავებული მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ იესოს ვინაობისა და მისი ჯვარზე მსხვერპლის გაღების გაგების თვალსაზრისით, არამედ ნებისმიერ ხედვათა სისტემისათვის, რომელიც, ნაწილობრივ თუ სრულად, ამ მტკიცების უარყოფაზეა დამოკიდებული.

39 აქვე, მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ ნ. თ. რაითის შესანიშნავი წიგნი „მკვდრეთით აღდგომა ღვთის ძისა“, მინეაპოლისი: ფორტრესი, 2003 (N. T. Wright, *The Resurrection of the Son of God* (Minneapolis: Fortress, 2003).

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

დანიელ უ. ბრაუნი, ახალი შესავალი ისლამში (Brown, Daniel W. A *New Introdu ction to Islam*.), II გამოც. Oxford: Blackwell, 2007; მყარი და დაბალანსებული ხედვა ისლამურ სწავლებასა და ისტორიაზე. განიხილავს რწმენის ალტერნატიულ გამოხატულებას მუსულმანურ საზოგადოებაში (მაგ.: მისტიკური ისლამი, პოლიტიკური ისლამი).

კოლინ ჩეპმენი, ჯვარი და ნახევარმთვარე: ისლამის გამოწვევების პასუხად (Chapman, Colin. *Cross and Crescent: Responding to the Challenges of Islam*.), Nottingham: IVP, 2007. ისლამური სწავლებისადმი თანადგომა და კრიტიკული მიდგომა. შეისწავლის ქრისტიანულ-მუსლიმურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს ევანგელისტურ-ქრისტიანული გადასახედიდან. შესანიშნავი შესავალი ქრისტიანულ-მუსლიმური ურთიერთობების საკითხებში.

ქრეგ კენეტი, მინარეთის ძახილი (Cragg, Kenneth. *The Call of the Minaret*), III გამოც. Oxford: Oneworld, 2000. პირველად გამოიცა 1956 წელს; პერიოდულად ხდება მისი ხელახლა გამოცემა. ეს ქრეგის პირველი ფუნდამენტური ნაშრომია. ის ნაყოფიერი მწერალი და ისლამის წამყვანი ქრისტიანი მკვლევარია. მას სიღმისეულად აქვს შესწავლილი ისლამი, კარგად ერკვევა ისლამურ საკითხებში და გათვითცნობიერებული აქვს მისი მისია.

ჩარლზ კურზმანი, გამოც: ლიბერალური ისლამი: მასალათა კრებული (Kurzman, Charles, ed. *Liberal Islam: A Source Book*), Oxford: Oxford University Press, 1998. ეს რეფორმისტ მუსლიმ მეცნიერთა ძალზე მნიშვნელოვან სტატიათა კრებულია. მასში გაშუქებულია მთელი რიგი სენსიტიური საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ქალი ისლამში; ისლამური სისხლის სამართლის კოდექსი; ადამიანის უფლებები; სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობა. ის გვთავაზობს ახლებურ და კრიტიკულ ხედვას ისლამურ წმინდა წერილსა და ტრადიციებზე.

შაუკათ მაკარი, წინასწარმეტყველი და მესია: არაბ ქრისტიანთა ხედვა ისლამსა და ქრისტიანობაზე (Moucarry, Chawkat. *The Prophet and the Messiah: An Arab Christian's Perspective on Islam and Christianity*), Downers

Grove: IVP, 2001. აპოლოგეტური მიდგომა მუსლიმ თეოლოგთა მიერ დანახული ისლამისტური დოქტრინისადმი. ამ სტატიის საკითხები უფრო ფართოდ არის გაშუქებული წიგნში, რომლის ბრიტანული გამოცემის სათაურია „რწმენა რწმენის პირისპირ: დიალოგი ქრისტიანობასა და ისლამს შორის“.

ტარიქ რამადანი, ისლამი, დასავლეთი და თანამედროვეობის გამოწვევები (Ramadan, Tariq. *Islam, the West and the Challenges of Modernity*), Leicester: Islamic Foundation, 2003. ევროპის ერთ-ერთი გავლენიანი მუსლიმი ლიდერი, რამადანი, მიიჩნევს, რომ ისლამს განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია დასავლურ საზოგადოებაში. მუსლიმთა როლია, იყვნენ ღმრთის მაღიარებელნი, თამამნი და შემოქმედებითნი ამ უაღრესად სეკულარულ ცივილიზაციაში.

ავტორის შესახებ

შაუკათ მაკარი 2006 წლიდან ორგანიზაცია “World Vision International”-ის კონფესიათაშორისი ურთიერთობების დირექტორია. დაიბადა სირიაში. მინიჭებული აქვს სორბონის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი ისლამისმცოდნეობის დარგში. თორმეტი წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ატარებდა ლექციებს ისლამისმცოდნეობაში ინგლისის საერთაშორისო ქრისტიანულ კოლეჯში.

აღმასრულებელი ოფისი
6-9 The Square, Stockley Park
Uxbridge, Middlesex
UB11 1FW
United Kingdom

World Vision International
800 West Chestnut Avenue
Monrovia, CA 91016-3198
USA

საერთაშორისო სამეკავშირეო ოფისი
Chemin de Balexert 7-9
Case Postale 545
CH-1219 Châtelaine
Switzerland

ევროკავშირის სამეკავშირეო ოფისი
33 Rue Livingstone
1000 Brussels
Belgium

გაეროს სამეკავშირეო ოფისი
919 2nd Avenue, 2nd Floor
New York, NY 10017
USA

World Vision
Georgia